

729
1970

+



חברת האנשים העליונים



3

საქართველოს თეატრალური საზოგადოების

მონაშენი

№ 3 (55)

მბიბი—036060

11358



რედაქტორი — **ერეკია ჯარელიშვილი**
პასუხისმგებელი მდივანი — **გურამ ბათიაშვილი**

სარედაქციო კოლეგია: დ. ანთაძე, ვ. გოძიაშვილი, ო. ევაძე,
ნ. გურაბანიძე, დ. მჭედლიძე,
ბ. ჟღენტე, ნ. შვანგირაძე, გ. ციცი-
შვილი, ა. ხორავა, დ. ჯანელიძე.

გ რ ი ე მ ე უ ა ლ უ რ ი მ ო მ ზ ა უ რ ო ბ ა

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი ერთ თვეს იმყოფებოდა საგასტროლოდ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და პოლონეთში. თეატრმა სპექტაკლები გამართა ბერლინში, დრეზდენში, ლაიპციგში, პოზნანსა და ვარშავაში. თეატრს ბრწყინვალე წარმატება ხვდა, ქართველმა მსახიობებმა მოხიბლეს გერმანელი და პოლონელი მაყურებლები.

გასტროლების მონაწილეებმა „თეატრალური მოამბის“ რედაქციის თანამშრომელს უამბეს:

მიხეილ თუმანიშვილი:

მ ძალიან მაინტერესებდა გერმანული თეატრალური კულტურის დღევანდელი დონე.

მომხიბლა „დოიტშე თეატრის“ კოლექტივმა. ეს სწორედ ის თეატრია, რომელსაც მიაშურა ბრეტის „ბერლინერ ანსამბლის“ რამდენიმე ჩინებულმა წარმომადგენელმა და, მათ შორის, რეჟისორმა ვეკერმა. ამ თეატრში მე ვნახე არისტოფანეს „შვიდობა“ და „ფაუსტის“ პირველი ნაწილი. ეს უკანასკნელი ადრე ვაიმარშიც მქონდა ნახული, მაგრამ ახალმა დადგამმა მომხიბლა რეჟისორული გემოვნებითა და აქტიორული პროფესიონალიზმით. აღმაფრთოვანა გერმანული მსახიობის პასუხისმგებლობის გრძნობამ.

„კომიშე ოპერაში“ ვნახე შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმარი“. ეს იყო მეტად საინტერესო სპექტაკლი.

ამ სპექტაკლებიდან მიღებული ჩემი შთაბეჭდილება ასეთია: ჩვენი საშუალო სპექტაკლი გაცილებით დაბალი დონისაა, ვიდრე გერმანელების, მაგრამ ჩვენი გამარჯვებული, საუკეთესო სპექტაკლი იმათსა არაფერში დაუდებს ტოლს. მგონი აჯობებს კიდევ.

ჩვენი საგასტროლო რეპერტუარიდან ასეთ გამარჯვებულ სპექტაკლებად მიგვანია „სამანიშვილის დედინაცვალი“ და „ანტიგონე“. პირველს უდიდესი წარმატება ხვდა წილად გერმანიაშიც და პოლონეთშიც. გაიმარჯვა წმინდა წყლის ეროვნულობამ, ქართულმა კოლორიტმა. ამას უსვამდნენ ხაზს გერმანელები და პოლონელები.

„ანტიგონეს“ წარმატებას იმით ხსნიდნენ, რომ ეს იყო ქართული სპექტაკლი. „თქვენ „ანტიგონესაც“ კი ქართულად თამაშობით“ — ამბობდნენ ისინი.

შეიძლება ბევრს კიდევ გაუკვირდეს ჩვენა ასეთი დიდი წარმატება, მაგრამ ეს ფაქტია. ამასთან, როგორც ჩანს, გარეთ გასული კაცის ფსიქიკა სხვა არის, იგი მეტი პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდება ყველაფერს.

მოეწონათ ჩვენი მსახიობების პროფესიული ოსტატობაც. რომ არაფერი ვთქვათ ს. ზაქარიაძის ბრწყინვალე წარმატებაზე, რ. ჩხიკვაძემ, ერ. მანჯგალაძემ, გ. გეგუქორმა, ს. ჭიათურელმა, ზ. კვერენჩხილაძემ და სხვებმა მოხიბლეს მაყურებელი. რ. ჩხიკვაძის ყოველ გამოჩენას ტაშით ხვდებოდნენ. ზ. კვერენჩხილაძე რამდენიმეჯერ გააჩერეს ქუჩაში და მადლობა გადაუხადეს იმ საამოვნებისათვის, რაც მისმა თამაშმა განაცდენია მათ.

რა შედეგს გამოიღებს ეს გასტროლები თეატრის ცხოვრებაში — ჯერჯერობით ამის თქმა ძნელია, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ჩვენ ვიგრძენით ჩვენი საქმიანობის ავ-კარგი.

ეროსი მანჯგალაძე:

მ ძალიან მოკლედ გადმოგცემთ ჩემს შთაბეჭდილებას. გასტროლების დროს ერთ სპექტაკლში ვმონაწილეობდი. ეს იყო ს. ქვდენტის „მიწის შვილები“. ქართული მიწის ჩინებული შვილები ისე ბრწყინვალედ გამოიყურებოდნენ ევროპაში, რომ მეც მიკვირდა. ბევრი სცენა, რომელიც ჩვენში უქმარისობის გრძნობას იწვევდა, იქ ბრწყინვალედ წავიდა. მაგრამ ეს როდია მთავარი — მთავარი ის არის, რომ მასპინძლების წინაშე ჩინებულად წარსდგა მთელი თეატრი, ბრწყინვალედ წარმოვადგინეთ სპექტაკლები.

ასე რომ „მიველით, გენახეს და გავიმარჯვეთ“.

ბიოგრაფიული ბეჭედი:

რომა საგასტროლო რეპერტუარი დგებოდა, ეპოქმანობდით, „სამანნიშვილის დედინაცვლი“ წაგველი თუ არა. ბოლოს გადავწყვიტეთ, რომ იგი გავგვერთიანებინა „სიბრძნე-სიცრუსთან“ და ისე წარმოგვედგინა — როგორც ქართული კლასიკა. ესეც დიდი რისკი იყო, რადგან ამ სპექტაკლებს არაფერი აქვთ საერთო ერთმანეთთან, ენობრივადაც სხვადასხვა ხასიათისანი არიან. ჩვენ გვეშინოდა მივიღოდა თუ არა გერმანულ და პოლონულ მსაყურებლებთან დ. კლდიაშვილის ის ცრემლნარევი ღიმილი, რაც ასე ხიბლავს ჩვენს მსაყურებელს და მკითხველს.

და აი, დრეზენში „მიწის შილების“ შემდეგ ქართული კლასიკა ვითამაშეთ. ძალიან კარგად მიიღეს „სიბრძნე-სიცრუსა“, მეორე მოქმედება კი „სამანნიშვილი“ იყო. ველაედით, მაგრამ როგორც კი დაიწყო პლატონისა და ბეკინას დიალოგი და მე ვუთხარი „ამაჩვენს“ — სერგო ზაქარიაძეს „შილი გეყოლება, მამა, შილი“, ვიგრძენით, რომ საქმე ცუდად არ მიდიოდა, ხოლო, როცა სცენაზე გამოჩნდა რ. ჩხიკვაძე — კირილე, მე კი ჩემი „ცხენი“ ავანაჩაქაქე, უკვე ვერავითარი განსხვავება ვეღარ ვიგრძენი თბილისში და გერმანულ მსაყურებელს შორის. ისეთივე რეაქცია იყო თითქმის თბილისში ვყოფილიყავით. ამაში დიდად დაგვეხმარა გივი მარგველაშვილის ბრწყინვალე თარგმანი. მე ბედნიერად მიმანჩნა თავი, რომ დ. კლდიაშვილის ეს ჩინებული ნაწარმოები კარგად გავაგებინეთ გერმანულ და პოლონულ მსაყურებელს. მე მგონია, სპექტაკლის დიდ გამარჯვებაზე ლაპარაკობს ერთი დეტალი — მასპინძლები გვეუბნებოდნენ — დ. კლდიაშვილის ამ ნაწარმოებში სერვანტისისებური სევდა იგრძნობო.

იშვითი წარმატება ხვდა წილად ჩვენს სპექტაკლების რეჟისურას. როგორც გერმანიაში, ისე პოლონეთში მას მაღალ შეფასებას აძლევდნენ. მსახიობებიდან ძალიან მოეწონათ ს. ზაქარიაძე, რ. ჩხიკვაძე, ედ. მაღალაშვილი, ზ. კვერნჩხილაძე, ბ. კობახიძე და სხვები.

რობერტ სტურუა:

ამჟამად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თეატრალურ ცხოვრებაში მეტად ცხარე პაუკრობა მიმდინარეობს. ერთნი ამტკიცებენ, რომ გერმანულმა თეატრმა ცალმხრივ აითვისა ბერტოლდ ბრეჰტის თეატრალური პრინციპები,

მეორე ჯგუფს კი მიანჩნია, რომ ბრეჰტის თეატრალური შემოქმედებობა სწორედ ისე უნდა იქნას ათვისებული, როგორც ახლა ხდება. ჩვენმა სპექტაკლებმა კიდევ უფრო ვააცხოველეს ეს კამათი. რუსთაველის თეატრის სპექტაკლებში მათ დაინახეს, რომ ბრეჰტის პრინციპები სწორად არის გავებული, რომ ბრეჰტი მხოლოდ შიშველი ინტელექტუალიზმისაკენ კი არ მოგვიწოდებს, არამედ ინტელექტთან ემოციაც უნდა იყოს შერწყმული. როცა ახლა ჩვენი თეატრის ამ წარმატებაზე ვფიქრობ, ვრწმუნდები, რომ სწორედ ინტელექტის და ემოციის სინთეზმა განაპირობა იგი. უცხოელ მსაყურებელს მოეწონა ჩვენი თეატრის ეროვნული ხასიათი. პოლონეთში, მაგალითად, ჩვენ გვეუბნებოდნენ: ჩვენ ვდგამთ კარგ სპექტაკლებს, ეს სპექტაკლები არაფრით ჩამორჩება ევროპის საუკეთესო თეატრების დონეს, მაგრამ ის პოლონური არ არის, სადაც გაქრა ჩვენი ეროვნული ხასიათი.

თეატრალური საზოგადოებრიობა და მსაყურებელი ადაფრთოვანა ს. ზაქარიაძემ. გამოჩენილი გერმანული რეჟისორი ვეკრტი ამბობდა, რომ დღევანდელ ევროპაში, და შეიძლება მთელ მსოფლიოშიც, სერგო ზაქარიაძეა ერთადერთი მსახიობი, რომელსაც ძალუძს ახლებურად ითამაშოს ბრეჰტის გალილეო.

„სამანნიშვილის დედინაცვლის“, „სიბრძნე-სიცრუს“ და „ანტიგონეს“ წარმატება ხომ დიდი იყო. მაგრამ, მე მგონი, არანაკლებ მოეწონათ „9 სცენა“. ამ სპექტაკლში შესული იყო სცენები სხვადასხვა წარმოდგენებიდან. მსაყურებელმა თვალნათლივ დაინახა მსახიობთა გარდასახვის უნარი.

გარდა ზინა კვერენჩხილაძისა, რომელიც საყოველთაოდ აღიარებულ იქნა, დიდი პატივისცემით ექცეოდნენ თითოეულ მსახიობს, მთელ დასს.

სალომე ჟანჩელი:

მე მხოლოდ ერთ სპექტაკლში „9 სცენაში“ ვმონაწილეობდი. ამიტომ უფრო მეტი საშუალება მქონდა ყურადღება მიმექცია დარბაზის რეაქციისათვის. შესანიშნავად მიიღეს ჩვენი სპექტაკლები, იმდენად კარგად, რომ არც კი ველოდით. ძალიან მოეწონათ „ცხრა სცენა“. სტილისტურად ერთმანეთისაგან განსხვავებულ სპექტაკლებში მსახიობთა ოსტატობა ხიბლავდა მსაყურებელს.

გასტროლების ასეთი წარმატება კიდევ უფრო მეტს გევალებს.

ინსაუვროვის თეატრალური აქტივობები

ვაქან პოქეში სცენაზე გურამ ბათიაშვილი

ზორაული ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის ვარსკვლავმა, შავმა მარგალიტმა პელემ რიოდენეანეიროში განაცხადა, რომ უნდა დასწეროს რამდენიმე სიმღერა ან უნდა მოგვევლინოს როგორც კინომსახიობი. ბრაზილიისათვის შორეულ საქართველოში ეურნალისტმა ამ ფაქტს მიუძღვნა 200—300 სტრიქონიანი კომენტარი. ვაზეთებმა კი არ დააყოვნეს და ქვეყანას მოსდეს ეს ამბავი. თბილისში კი, რუსთაველის პროსპექტზე თუ მარჯანიშვილის ქუჩაზე ქართველმა რეჟისორმა დადგა კარგი ან ცუდი სპექტაკლი. მაგრამ ამის შესახებ არავინ არაფერს ამბობს. რატომ ხდება ეს? უბრალოდ, გაუგებარია ქართველი რეჟისორის მიერ დადგმულ სპექტაკლს რატომ უნდა შევხვდეთ დღემოლით, თანაც ორანზოვანი დღემოლით, მითუმეტეს, რომ ამ სპექტაკლს საფუძვლად უდევს დიდი პოეტის ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებები. ჩვენ ხშირად საკუთარ თავს ვებრძვიით, ვცდილობთ ჩვენსავე თავს წავართვათ საკუთართ აღფრთოვანების უფლება.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრში ახალგაზრდა რეჟისორი ლევან მირცხულავა დიდ შემოქმედებით რისკზე წავიდა. მან გადაწყვიტა სცენაზე წარმოედგინა ვაჟა-ფშაველას „აღუდა ქეთელური“ და „სტუმარ-მასპინძელი“, წარმოედგინა არა ამ პოემების ინსცენირება, არამედ თვით პოემები, ისევე როგორც ისინი დიდმა პოეტმა შექმნა. ყველა დამერწმუნება, რომ გაცილებით რთულია ნაწარმოები ასეთი სახით გადაიტანოთ სცენაზე, ვიდრე ინსცენირებული, დრამატურულ ჩარჩოში მოქცეული. ახალგაზრდა რეჟისორი მაინც წავიდა შემოქმედებით რისკზე, მას თავისი მხატვრული ჩანაფიქრი ჰქონდა და არაფერი დაიშურა მისი განხორციელებისათვის.

რევაზ მირცხულავა კარგა ხანს მუშაობდა ამ ორ პოემაზე, მუშაობდა კიუბად, გატაცებით. მე მინახავს როგორი გულისყურით მიჩერებოდა იგი მხატვარ ა. კაკაბაძის მიერ შექმნილ მაკეტს და სათუთად იხილავდა მის ყოველ დეტალს. და აი, ბოლოს სპექტაკლიც დაიბადა. იმ დღიდან

ექვსი-შვიდი თვე გავიდა, ვათვალიერებ ქართული პრესის ფურცლებს. არავითარი გამოხმაურება, არცერთი სტრიქონი თეატრის ნამუშევარზე, გონებაში ერთხელ კიდეც ჩამოვთვლი ქართველ თეატრმცოდნეთა გვარებს... მაგრამ პრესაში მაინც არც ერთი სიტყვა... ნუთუ მათ ვაჟა-ფშაველას გმირების სცენაზე ასვლა ისეთ უმნიშვნელო-მოვლენად მიიჩნიეს, რომ დღემოლი ირჩიეს? ნუთუ არ შეიძლებოდა გულწრფელი და პიროვნული საუბარი სპექტაკლის ავის და კარგის ირვევლე?!!

დღეს რომ ახალგაზრდა რეჟისორი ხელს ჰკიდებს ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებს და სურს ვაჟა-ფშაველას სამყარო სცენაზე გადმოიტანოს, მას აუცილებლად თავისი მისწრაფებები ამოძრავებს, აქ სპექტაკლს დიდ შემოქმედებით შემართებასთან. რ. მირცხულავამ იცის ვაჟას ფილოსოფიის მარადიულობა, მან იცის, რომ პოეტის მრწამსი უკვდავია. დიდმა პოეტმა გვიჩვენა ადამიანების დაუთკებელი სწრაფვა სინათლისა და სულიერი სიმაღლისაკენ. ვაჟას პერსონაჟები, აუცილებლად შემოხვევაში, ცენტრალური პერსონაჟები, ისინი, რომლებიც პოეტის ფილოსოფიის მატარებლად გვევლინებიან, იბრძვიან სიყეთისა და ჰუმანიზმისათვის, მათს ყოველ მოქმედებას სწორედ ეს სიყეთე და ჰუმანიზმი უდევს საფუძვლად. გავიხსენოთ ალუდა ქეთელურის სიტყვები:

ვისაც მტრობა მოწყურდეს
ვადოს სახლის კარია,
სისხლ დაიგუბოს კერაში,
თვითონაც შიგვე მდგარია.

სისხლშია ჰქონდეს ქორწილი,
იქ დაიწეროს ჭვარია.

სისხლში დაიგოს ლოგინი
გვერდს დაიწვიოს ცოლია,
ბევრი იყოლოს შვილები
ბევრი ვაჟი და ქალია,
იქვე საფლავი გათხაროს
იქ დაიმარხოს მკვდარია.



პოეტმა იცის თუ რა ღრმად შეუძლია ფესვები გაიდგას ბოროტებამ, მას სწამს, რომ ბოროტება ბოროტების სათავეა:

შენ რომ სხვა მოპკლა, შენც მოგკვლენ, მკვლელს არ შარჩენს გვარია.

სწორედ ამ „მტრობა მაწყურებული“ ადამიანების წინააღმდეგ იბრძვიან ვეჯას ადამიანები. ისინი იმ ლეგენდარულ, ზღაპრულ ადამიანებს მოგვაგონებენ, რომლებიც უძველესი დროიდან თან მოპკობოდნენ კაცობრიობას. და სიკეთისათვის ბრძოლას ასწავლიდნენ. თავის ერთ-ერთ წერილში ვაჟა-ფშაველა წერდა:

„რას მომაგონებს მოდრებულელი, გაშვეებული ცა, რომლიდანაც ელვა გამოვარდება და კაცს ზიანს აძლევს, ცხოველები თრთიან, მცენარეებსაც კანკალი აიტანთ, ბუნება გამტყნარებული, სულღანებულია.“

ეს მოვლენა მომაგონებს გამბედავს, სიმართლის მოყვარულ კაცს. ის ბევრს აწყენინებს, მაგრამ მისი სიტყვა კაცობრიობის წყლულს მალამოდ დაედება, მისი სიტყვა გააღვიძებს კაცობრიობის გულს, როგორც წვიმა — გამხმარ დედამიწას.“

როცა ვაჟა-ფშაველა ამ სტრიქონებს წერდა, უთუოდ თვალწინ ედგა თავისი პოემების გაბედული, სიმართლის მოყვარული პერსონაჟები, რომელთა სიტყვაც კაცობრიობის წყლულს მალამოდ ედება.

როცა რეჟისორი ლევან მირცხულავა ამ პოემებს ჰკიდებდა ხელს, მას მხოლოდ იმის სუროვილი არ ამოძრავებდა, რომ თეატრის რეპერტუარში ქართული კლასიკა ჰქონოდა, მას უნდოდა, რომ სცენაზე გამოეყენა ვეჯას ადამიანები, რომელთა იდეებიც კაცობრიობას გულზე მალამოდ მიეცხებოდნენ.

ამას გარდა, ლ. მირცხულავა, როგორც დამდგმელი, ერთი დიდი სირთულის წინაშე იდგა. რეჟისორის ფერტუცვლელად და თავისი მომხიბლაობით უნდა მიეტანა მაყურებელამდე ვეჯას აზრითა და ემოციით, სინატიფითა და დრამატინებით აღსავსე სიტყვა. ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება მთ უფრო აუცილებელი იყო, რომ რეჟისორმა სწორედ პოემები წარმოადგინა სცენაზე და არა მათი ინსცენირება. რასაკვირველია, ვეჯას სიტყვისათვის მაშინაც აუცილებელია ანგარიშის გაწევა, როცა რეჟისორი ვეჯას პეისად გადაკეთებულ ნაწარმოებს დგამს, მაგრამ აქ მაინც ვეჯას პოეზიის პირველ წყაროსთან გვაქვს საქმე და სიმძიმეც სწორედ ვეჯას სიტყვას დააქისა. ჩვენს სცენას ვეჯას ბევრი ნაწარმოები ახსოვს, მაგრამ პოემების თავისივე პირველქმნილი სახით წარმოდგენის ცდარ. მირცხულავას ერთ-ერთ პირველს ეკუთვნის. მაგრამ ასეა თუ ისე, პოემა მაინც ლიტერატურული ქმნილებაა, თეატრს კი თავისი კანონები აქვს და, რასაკვირველია, პოეზიისა და თეატრის სინთეზი არც ისე უბრალო საქმეა. ამიტომ რეჟისორმა, რომელმაც თვითონვე გააკეთა პოემების სცენური ექსპლაცაცია, ზოგი რამ ამოიღო ორივე პოემიდან, შეამცირა ტექსტი. ეს მოხდა უმთავრესად იმ ტექსტების ხარჯზე, რომელიც ბუნების აღწერას მოიცავდა. ეს თავისთავად ბრწყინვალე პოეტური პასაჟები მოადუნებდა სპექტაკლის რიტმს. აბსოლუტურად დააცილებდა ერთმანეთს სპექტაკლის პერსონაჟებს და მხატვარ ამირ კაკაბაძის მიერ სპექტაკლის მხატვრულ გადაწყვეტას, რადგან თავისთავად ცალ-ცალკე დარჩებოდა სპექტაკლში პოეზია და თეატრი. რეჟისორმა პოეტის ტექსტი ქოროს მისცა და სწორედ მას დააქისრა ეთამაშა ეპიზოდების შემთავსებელი როლი. ქორო ამ სპექტაკლში აქტიური, ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია, რომელიც ჩინებულად მოერგო სპექტაკლის ხასიათს, მის რეჟისორულ ჩანაფიქრს. მაგრამ ამ ჩინებულად ჩაფიქრებულ ქოროსაც და მასობრივ სცენასაც აქვს ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი, მასობრივ სცენებში რეჟისორის სურდა ეჩვენებინა მოქნილი, პლასტიკური, ელასტიკური ადამიანები. აქ ყველაფერი ხმლის მოქნევასავით ზუსტი და გამოზომილი უნდა იყოს, მაგრამ რამდენი უკმარისობის გრძნობა გვეუფლებათ, როცა ხედავთ, რომ ბევრ მსახიობს სწორედ იქ ღალატობს სხეულისადმი კონტროლის გრძნობა, სადაც ეს ძალზე საჭიროა. გავიხსენოთ მუცალთან გამარჯვებული ალუდას და თემის შეხვედრის სცენა. რაოდენ ექსპრესიული და მოხეივანი იგი. აქ ერთხელ კიდევ რწმუნდებით, რომ „ოღს ლხინი გამარჯვებულია უხდება“. რეჟისორმა ჩინებულად ჩაიფიქრა ეს ეპიზოდი. გამოავლინა პერსონაჟთა ხასიათები, მათი ბუნება და მსახიობებმაც კარგად შეასრულეს თავიანთი ზემოცანა, მაგრამ შემდეგ სცენებში, როცა უნდა გამოვლინდეს პლასტიკა, ბრწყინვალე დიქცია, ძალიან დიდი უკმარისობის გრძნობა გვეუფლება.

თუ „ალუდა-ქეთულაურისა“ და „სტუმარ-მასპინძლის“ სცენურ ხორცშესხმას ერთიმეორესთან შემარისპირებით განვიხილავთ, დაინახავთ, რომ „სტუმარ-მასპინძლის“ გაცილებით დაბალ დონეზე დგას. ეს ფაქტი დამაფიქრებელია. პოემა „სტუმარ-მასპინძელში“ გაცილებით მეტია დრამატურგია, ვიდრე ალუდა ქეთულაურში“. ამქდან გამომდინარე, თითქმის პირიქით უნდა მომხდარიყო, „სტუმარ-მასპინძლის“ წარმატება თვითღანვე განადღებელი უნდა ჰქონოდა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ ერთი რამ მოხდა — ან რეჟისორი არ გაყვავა ბოლომდე თავის მიერ არჩეულ ხაზს, ან კიდევ მსახიობებმა გადაუხვიეს რეჟისორის ჩანაფიქრს. უფრო კი ეს



უკანასკნელი უნდა ვივარაუდოთ. მ. მებურიშვილი (ჯოჯოლა), ელ. ყიფშიძე (აღაზა) და ლ. ცხვარიაშვილი (ზვიადური) შეეცადნენ გადმოეცათ თავიანთი პერსონაჟების ხასიათები. მაგრამ ჩვენ მოგვეჩვენა, რომ საამისოდ მათ ძალზე ცოტა იფიქრეს, მათი განწყობილებანი გამოვიდა ზოგადი.

რასაკვირველია, ზემოაღნიშნული იმას არ ნიშნავს თითქოს ამ სამეულს (მ. მებურიშვილს, ელ. ყიფშიძეს და ლ. ცხვარიაშვილს) არ ჰქონდეთ ჩინებულის სცენებიც, განსაკუთრებით კი ელ. ყიფშიძის.

ი. ტრიპოლსკიმ მონახა გმირის მთავარი ნიშანი, მან მონახა ის, რითაც საინტერესოა და ნამდვილად დიდი ალუდა. ი. ტრიპოლსკის პერსონაჟი ფიქრიანი და განმსჭველი ადამიანია, რაოდენად მკაცრია მსახიობი თავისი თავის მიმართ! იგი უაღრესად ლაბიარტული, ძუნწი მოპარობებით ცდილობს გახსნას გმირის შინაგანი სამყარო. წარმოგვიდგინოს ტრაგიკული პიროვნების ბუნება.

აღნიშვნის ღირსია სპექტაკლში ალუდას ცოლის ლელას როლის შემსრულებლის მანანა სიხარულიძის წარმატება. სპექტაკლში იგი

თითქმის არცერთ სიტყვას არ წარმოთქვამს, მაგრამ მინც რამდენს ლაპარაკობს, ლაპარაკობენ მისი ხელები, თვალები. მსახიობი ჩინებულ სახეს ქმნის ადამიანისას, რომლის სუნთქვაც კი დამოკიდებულია საყვარელი პიროვნების განწყობილებაზე, მაგრამ ეს თვისება მისი მონური ხასიათით კი არ აიხსნება, არამედ დიდი სიყვარულით მეუღლისადმი. გვიხსენოთ მ. სიხარულიძე — ლელა გამარჯვებული ალუდას შეხვედრის სცენაში. განწყობილებათა რამდენი გრადუსი შეინიშნება მის სახეზე. აქ ყველაფერი ერთ მხატვრულ მთლიანობაშია მოქცეული და ამიტომაც სრულყოფილების შთაბეჭდილებას სტოვებს. ასევე უშუალოა და მართალი თ. თეთრაძის დედა.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ შეიქმნა უზადო სპექტაკლი. მაგრამ გულგრილობის ღირსი იგი არ არის, და საერთოდ, შემოქმედების არცერთი ნიმუში არ იმსახურებს გულგრილობას, რადგან ყოველი საქმის მკაცრი მტერი გულგრილობაა, გულგრილობა ანგრევს წლობით აშენებულს, ამხსნევს ოცნებებს, ჰკარავს მომავლის იმედს.

„ჰ ა კ ი ა ძ ბ ა“ ალექსანდრე ეშუტია

საქართველოს სსრ ხელოვნების
დამსახურებული მოღვაწე

ლემო ქიაჩელი „ჰაკი აძბა“ ქართული პროზის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ნაწარმოებია. მასში სრული გამოვლინება ჰპოვა ძველის ნგრევისა და ახლის დამკვიდრების გამოსახვის საშუალებათა მხატვრულმა მთლიანობამ. აქ მწერლური სიტყვა სოციალურ ძალთა გადაადგილების დუღილში იზადება და სახეთა მხატვრული დამკვიდრების დიდი ძალაც აქვს. ამიტომ გამოირჩევა იგი თხრობის შინაგანი ექსპრესიით და გარეგნული იერის მონუმენტური უბრალოებით. ყველა ამ თვისებათა გამო შესაძლებელი გახდა ნაწარმოები სცენაზე „ასულიყო“.

შ. დადიანის სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო თეატრმა „ჰაკი აძბას“ სცენურ შესაძლებლობათა მოსინჯვის მიზნით გადასწყვიტა მისი გადანერგვა რამპის იქით... რეჟისორ შ. ჩერქეზიშვილს და შემოქმედებით კოლექტივს ხელთ ჰქონდა კამიტონ გაწერულის მიერ პასუხისმგებლობითა და მონდობებით გაკეთებული ინსცენირება. სპექტაკლი მაყურებელმა მიიღო. უფრო მეტიც,

მას გარკვეული წარმატებაც ხვდა წილად. ჰაკი აძბა (საქ. სსრ დამსახურებული არტისტი ა. როგავა) — ეს უბრალო, სიმართლესაგით მარტივი ადამიანი სცენაზე საინტერესო პიროვნება აღმოჩნდა. მსახიობის განცდები უშუალოა, მაგრამ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჰაკი აძბას სცენური სახე ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის დახვეწილი. მსახიობი ზოგჯერ (მე-3 და მე-4 სურათი) ერთგვარ ხელოვნურობას ამჟღავნებს, სიძნელეებისაგან თავის დაღწევის მსახიობურ „ხერხს“ მიმართავს. მართალია, მაყურებელი ჰაკი აძბას ამ მოქმედებას თითქოს ბუნებრივ ეშმაკობაში უთვლის, რაც იმას ნიშნავს, რომ მის მიერ შექმნილ სახეს მთლიანი ნიშნები აქვს, მაგრამ მსახიობმა როლზე მუშაობა კვლავ უნდა განაგრძოს და დედანთან მეტად დაახლოვოს. სცენურად საინტერესო და მხატვრულად მომგებიანი ჩანს უკანასკნელი სურათი კრეისერზე: ქალაქ სოხუმის დელეგაციის წევრებს რაჟდენ თორიას (ბ. ცომაია, საქ.

სსრ დამსახ. არტ.), ნარიქ ეშვას (ბ. ტორუა), თოუხან მარშანს (ვ. ახვლედიანი), ბესლეთს (ვ. გაბისონია), ქალაქის თავის სამსონ დავანაძის (საქ. სსრ დამსახ. არტისტი შ. მოსია) მეთაურობით, „შმიდტის“ ნაკატორღალ კაპიტან კუხმა კილვასთან (საქ. სსრ დამსახ. არტისტი პ. წულაია) მიჰყავთ თეთრგვარდიელი აფხაზი თავადი — რევოლუციური კრეისერის მეზღვაურის ვასილ ხრისტიანსკის (ა. იობაშვილი) მკვლეელი უჯუშ ემბა (გ. გელაშვილი), რომელსაც თან ახლავს მისი ძიძიშვილი ჰაკი აძბა. სამხედრო ხომალდის ზარბაზნების მრისხანე ლულების ფონზე წინდახედული და ცბიერი ქალაქის თავი თავის გამცემლორ საქმეს სისხლის ფასად აგვარებს და ემურება უკან, ხმელეთზე, დაბრუნებას... კრეისერის კაპიტანი კილვა რევოლუციური შურისძიებით სახეანთებული დგას რკინის მოაჯირებიან ბოჯირზე... აქ ორივე მსახიობი (შ. მოსია, ა. წულაია) ღირსეულად ართმევენ თავს შემოქმედებით ორთაბრძოლას, რითაც ორი დაპირისპირებული სამყაროს პოლიტიკური და მორალური სურათის სცენური სიძლიერე უზრუნველყოფილ იქნა.

კუხმა კილვას — სრულიად ახალი ტიპის ადამიანის სახეს მსახიობი პ. წულაია ჰაკი აძბასთან ურთიერთობაში თანდათან ავლენს. რევოლუციური სამხედრო საბჭოს დავალებით შავი ზღვის წყლებში მოპატრულე კრეისერის კაპიტანი „მრისხანედ“ წოდებული და ტრადიციების მონა — გლეხი აძბა, ორივე ერთი კლასის შვილი, ერთმანეთისათვის უცხონი რჩებიან. ეს ფინალური სურათი რეჟისორმა და მსახიობებმა დამაჯერებლად მოხაზეს, ვამბობთ მოხაზეს, რადგან რეჟისორისა და აქტიორთა მხრივ ისინი შემდეგ სრულყოფას საჭიროებენ.

სპექტაკლში მოფიქრებულად თამაშო-

ბენ და დამაჯერებლობას მიაღწიეს ტრეპუბლიკის დამსახურებულმა მსახიობებმა: ე. კედიამ (შოუპარი), დ. გოგიჩაიშვილმა (აიშე), მ. ტოგონიძემ (ლილი); მსახიობებმა — ნ. ჭანტურია, ნ. კობტაშვილი, ვ. გაბისონია.

მსახიობი გ. გელაშვილი პირველსა და უკანასკნელ სურათში მიუახლოვდა უჯუშ ემბას რთულ, წინააღმდეგობებით სავსე სახეს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ მხოლოდ მიახლოებაა.

რესპუბლიკის დამსახურებულმა მსახიობმა ბ. ცომაიამ (რაჟდენ თორია), მსახიობმა ვ. ახვლედიანმა (თოუხან მარშანი) საინტერესო სახეები შექმნეს.

სპექტაკლში სიცოცხლის ხალისი და კოლორიტულობა შეაქთ ახალგაზრდა ნიჭიერ მსახიობებს — ა. იობაშვილს, მ. ავაქიშვილს, მსახიობებს — კ. ფაჟავას, ჯ. ქობალიას, ა. გაგნიძეს, ვ. ნიკოლიშვილს, რ. ცხადაიას, ი. გასვიანს.

სპექტაკლის მხატვარს ი. პეტრაიტის (საქ. სსრ დამსახურებული მხატვარი) უფრო მეტი გამომგონებლობა და გადაწყვეტის სისადავე მოეთხოვებოდა. ის ნიჭიერი მხატვარია, მაგრამ ზოგჯერ გაიტაცებს ხოლმე ცალკეული სადადგმო ეფექტის დაუსრულებელი გადრმავება და მთავარი ჩრდილში რჩება. ეს შენიშვნა განსაკუთრებით ეხება „ჰაკი აძბას“ მე-4 სურათის მხატვრულ გადაწყვეტას.

თეატრმა ლეო ქიჩელის „ჰაკი აძბა“ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის სახელოვან იუბილეს მიუძღვნა. გრძნობდნენ რა ამ დიდ პასუხისმგებლობას, კაპიტონ გაწერელიამ და რეჟისორმა შალვა ჩერქეზიშვილმა არაფერი დაიშურეს იმისათვის, რომ შეექმნათ ამაღლებული აზრისა და გრძნობების სპექტაკლი.

ახალი სხენაკი სისოხსლა

ია ააულაძე

ვანიონ დარასელის პიესამ „კიკვიძე“ („ლივიზია № 16“) თავიდანვე დიდი ინტერესი გამოიწვია და საქართველოს თეატრებში მისი განხორციელების მდიდარი და საინტერესო ტრადიცია შეიქმნა. დღესაც კარგად ახსოვს მაყურებელს როგორი ტრიუმფით მიდიოდა ის რუსთაველის თეატრში მთავარი გმირის რო-

ლის აკაკი ვასაძის შესრულებით. „კიკვიძე“ სამოქალაქო ომის თემაზე დაწერილი ერთი ბრწყინვალე პიესათაგანია. ავტორმა შესძლო არა მხოლოდ აღებული დროისათვის დამახასიათებელი ტიპები დაეხატა, არამედ უაღრესად დამაჯერებელი სიტუაციებიც შეექმნა და განმა-

ზავისუფლებელი მოძრაობის მთელი პათოსი ეგრძნობინებინა.

მოზარდ მაცურებელთა სარეცენზიო სპექტაკლიც არსად არ ღალატობს დრამატურგის ჩანაფიქრს და ნორჩ მაცურებელზე ძლიერ იდეურ-ემოციურ ზეგავლენას ახდენს. სპექტაკლში სამოქალაქო ომის დროინდელი ატმოსფერო სუფევს და უკვე ლეგენდად ქცეული ადამიანები ჩვენს წინაშე ცოცხლად წარმოსდგნენ, როგორც ხალხის პეროიკული სულისკვეთების და თავდადების დაუწყ წყარო მაგალითები.

დადგმა განახორციელა ახალგაზრდა ნიჭიერმა რეჟისორმა თ. ჩხეიძემ. წარმოდგენის პირველი სცენებიდანვე ჩანს რეჟისორის სწორი მიმართულება. თ. ჩხეიძემ საოცარი სითბოთი და სიყვარულით გააცოცხლა ვ. დარასელის პიესის პერსონაჟები და შეუქმნა მათ მკვეთრი სამოქმედო ასპარეზი სპექტაკლში. დაკვირვებული თვალით შექმნილ თვითულ ეპიზოდში, მიზანსცენასა და სურათში იგრძნობა რეჟისორის ნიჭიერება და უდაო გემოვნება. სწორედ არის გადაწყვეტილი ყველა პრინციპული მნიშვნელობის სცენა, განსაკუთრებით ძლიერია თავისი შინაარსითა და განწყობილებით მეორე მოქმედება და სპექტაკლის ფინალური სცენები. საინტერესოდაა გადაწყვეტილი სპექტაკლში რიტმის საკითხი.

ჩვენს წინაშე წარმოსდგა ნამდვილი კიკვიძე გარეგნულად მკაცრი, მტრისადმი უღმობელი, უშიშარი, და, ამავე დროს, უაღრესად თბილი, ადამიანური ღირსებებით სავსე კეთილშობილი გმირი. სცენური მონაცემებით დაჯილდოებულმა რ. მიქაბერიძემ საინტერესოდ განახსებინა სახელგანთქმული დივიზიის მეთაურის სახე. იგი უშუალო, ძალდაუტანებელი და მართალია. განსაკუთრებით ძლიერია მსახიობი მეორე და მესამე მოქმედებაში, სადაც კიკვიძის ყველაზე საპასუხისმგებლო და დამაბული მომენტებია შექმნილი, ახალგაზრდა მსახიობი მთელი სისრულითა და პათოსით წარმოგვიდგენს თავისი გმირის საბრძოლო წარმატებას.

ცბერი და მოღალატე შილინის სახე კარგად გახსნა რესპ. დამს. არტისტმა რ. თავართქილაძემ, რომელსაც დიდი ხანია კარგად იცნობს ჩვენი მაცურებელი არა ერთი და ორი საინტერესოდ შექმნილი სცენური სახით. ნიჭიერი მსახიო-

ბი ყოველ ახალ როლში გარდასახვის ნაირსახეობას აღწევს. იგი ღრმად წვდობა მოღალატის ფსიქოლოგიას და ვიკივენებს რამდენად სამიში შეიძლება აღმოჩნდეს შინამტერი.

ძველი კაზაკის მინაი კორმუნოვის კოლორიტულ, მართალ სახეს ქმნის რესპ. დამს. არტისტი ფ. სონდულაშვილი.

გენერალ სიტნიკოვის რთულ ხასიათს დამაჯერებლად წარმოგვიდგენს რესპ. დამს. არტისტი გ. დეისაძე. თავისი როლის საუკეთესო შესრულებით გამოირჩეოდნენ რესპ. დამს. არტისტი გ. რევაზიშვილი (მედოვსკი), ვ. მაზმიშვილი (ბრაგინი), რესპ. დამს. არტისტი ბ. ჯაფარიძე (ელიზავეტა დანილოვნა), ნ. ცერცვაძე (ტიტკო), ვლ. მექვაბიშვილი (ხომენკო), ო. ბალათურია (დუდნიკოვი) და სხვანი. გვხიზლავენ ეპიზოდური როლების შემსრულებლებიც, რომლებიც დიდი შემოქმედებითი პასუხისმგებლობით ეკიდებიან ამ საინტერესო სპექტაკლს.

დამდგმელ რეჟისორსა და როლების შემსრულებლებთან ერთად სპექტაკლის მხატვრული გაფორმების კარგ კომპოზიციურ გადაწყვეტასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მოზარდ მაცურებელთა თეატრის სცენა პატარაა და, შეიძლება ითქვას, მოუხერხებელიც. ის მხატვრის ფანტაზიას დიდ გასაქანს არ აძლევს. მიუხედავად ამისა, მხატვრებს მ. ჭავჭავაძისა და ა. რამიშვილს გამოუმჯდამებიათ განზოგადების კარგი უნარი. სპექტაკლში გამოყენებული დეკორაცია მოქმედებათა შეცვლის მიხედვით იცვლის თავის შინაარსს. წარმოდგენის ფონი ყველა მოქმედებაში კარგად შეეფარება პიესის შინაარსს.

კარგად შერჩეული მუსიკა (მუსიკალური გაფორმება — კ. ჟღენტის) ორგანულად ერწყმის სპექტაკლის ხასიათს.

წარმოდგენამ უჩვეულოდ აგვადილვა. ნახევარი საუკუნე გავიდა კიკვიძის დაღუპვიდან და ჩვენ ყოველთვის სიხარულით ვვლით მასთან შეხვედრას. ისეთი ადამიანის ცხოვრება, როგორც კიკვიძე იყო, მოზარდ მაცურებელს ასწავლის თუ როგორ უნდა უყვარდეს სამშობლო და როგორ უნდა იბრძოდეს მისი ღირსებით. ლეგენდარულმა დივიზიამ გაიმარჯვა, მაგრამ გამარჯვება თავისით არ მოსულა, მას მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

ტრაგიკული ფინალის მიუხედავად სპექტაკლი ღრმად ოპტიმისტურად წარმოგვიდგება და განადიდებს სამშობლოს ღირსეულ შვილებს, ნორჩ მაცურებელში

საბჭოთა პატრიოტიზმის კეთილშობილურ გრძნობას ადვილებს. „დივიზი № 16“ („იკვიძე“) კარგი საჩუქარია მოზარდი მაცურებლისათვის.

ს ი ს უ ე რ ე კ რ ა ნ ე ე

მერაბ გავია

ჩხვნი სატელევიზიო თეატრი ნაყოფიერად მუშაობს. გ. ბაიცივის პიესა „დუელი“, რომელიც 6 ივნისს ვნახეთ ცისფერ ეკრანზე, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წარმატებაა.

საყურადღებოა, რომ ჩვენმა სატელევიზიო თეატრმა იპოვნა სადადგმო და საშემსრულებლო სტილი, რომელიც აუცილებლად მოითხოვს შემდგომ დახვეწასა და ახალი ფორმებით გამდიდრებას.

მ. ბაიცივის „დუელი“ საბჭოთა კავშირში უკვე აღიარებული და საყოველთაოდ მოწონებული პიესაა. იგი თარგმნა გურამ ბათიაშვილმა. მასში ასახულია ორი საპირისპირო მორალური მრწამსის უკომპრომისო ორთაბრძოლა. თუ ნაწარმოებს ღრმად ჩავეყვირდებით, დავინახავთ, რომ მას ორი ხაზი აქვს. ორივე მათგანს სიუჟეტურ-ლომპოზიციური მნიშვნელობა გააჩნია. პირველი ხაზი წარმოადგენს ცხოვრებისეულ, რეალურ, კონკრეტულ ურთიერთობას, მეორეს კი დიასოლოგიური ქვეტექსტების გადმოცემა აქვს დაკისრებული.

პიესაში სამი თანაბრად აქტიური მოქმედი გმირია — ნაზი, ისკანდერი და აზიზი. ნაზის და ისკანდერის ცხოვრება ჩვეული კალაპოტით მიმდინარეობს. მაგრამ უეცრად ნაზის ცხოვრებაში შემოიჭრება ორი მორალური კონცეფცია. ერთი პუმანური, აზიზის სახით, მეორე მიზანტროპული, ისკანდერის სახით. ნაზი ამ ორთაბრძოლის მსაჯულია.

სიუჟეტის მეორე ნაწილში მებრძოლთ მთელი არსება ორთაბრძოლის სამსხვერპლოზე მიაქვთ. საერთო მნიშვნელობის მორალურ აზრებს მათთვის პირადი მნიშვნელობა აქვს (რადგან იგი პირადად მათ ეხებათ)... მსაჯული — ნაზი კეშმარიტების სასწორს აზიზისაკენ ხრის. ისკანდერი შინაგან კრიზისს განიცდის. უკვე ჩამოყალიბების პროცესშია მორალური კონცეფციების წრედი — ადამიანი უნდა იყოს ბედნიერი. ბედნიერებისათვის აუცილებელია ოცნება, რომ იოცნებო, იდეალი უნდა გავაჩნდეს. არ შეიძლება გავაჩნდეს იდეალი, თუკი მორალურად წმინდა არა ხარ. არ შეიძლება იყო მორალურად წმინდა, თუკი კეთილი არა ხარ. არ შეიძლება იყო კეთილი, თუკი თავგანწირვა არ შეგიძლია. აქედან გამომდინარეობს დასკვნაც, რომ ადამიანს, თუნ-

დაც თავისივე ბედნიერებისათვის, სჭირდება ეს დადებითი იდეალები.

სატელევიზიო სპექტაკლმა შესძლო ჩვენამდე მოეტანა აზრობრივი პერიპეტეიების ეს რთული ნახაზი, თუმცა დამდგმელმა კოლექტივმა რატომღაც უარი თქვა ზემოხსენებულ სუბიექტურ ასპექტზე. სიმ მაგალითად, მან ამოიღო ერთი მრავალმნიშვნელოვანი დიალოგი ნაზისა და გოგონას შორის. ნაზი გოგონას აზიზის ნაანდერძევე წერილს გადასცემს:

„(განაწყენდა და ზურგი შეაკეთა. მე წერილი გავეტოლე).“

მე — აჰ, წაილე.

გოგონა — რატომ?

მე — წაიკითხე, მაშინ, როცა ადამიანებისადმი რწმენას დაკარგავ და მოგაჩვენება, რომ ადამიანები სულმდაბალი არიან.

გოგონა — ასეთი რამეებიც ხდება?

მე — ხდება.“

ერთი შეხედვით, ამ დიალოგს პესიმისტური ელფერი დაჰკრავს, განსაკუთრებით სიტყვები: „როცა ადამიანებისადმი რწმენას დაკარგავ“, მაგრამ ეს დიალოგი მიგვითითებს იმაზე, რომ ნაზისათვის ამ წერილს საყოველთაო მორალური რწმენა მოაქვს, ამავე დროს ეს სცენა გზას უხსნის ნაწარმოების იდეურ პერსპექტივას.

პიესა სიმბოლურია, ამ სტაჟის საუკეთესო გაგებით. სიმბოლური და რეალური შერწყმულია, რათა ნაწარმოები აზრობრივად უფრო ტევადი გახდეს. ამ ნაწარმოების იდეურ-ესთეტიკური აღმშაბარკვეულ ინტელექტუალურ შრომასაც მოითხოვს. ეს ცოტადენ ართულებს კიდევ მისი გასტყუვრების საქმეს, მაგრამ სპექტაკლმა დავგარწმუნა, რომ ჩვენს სატელევიზიო თეატრს დიდი მხატვრული შესაძლებლობები გააჩნია.

რეჟისორულ ალლოს არ უღალატია ა. ნინუასათვის. სპექტაკლის თითოეული მონაწილის შინაგანი სამსახობო ბუნება და გარეგნობა შეესაბამება „დუელის“ პერსონაჟების მხატვრულ-სახასიათო სამყაროს. სატელევიზიო დადგმაში მას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ იგი კინემატოგრაფს წაავსებს.

სატელევიზიო თეატრის საშემსრულებლო არჩევანი შეუზღუდველია. მას შეუძლია ნებისმი-

ერი თეატრიდან მოიწვიოს ნებისმიერი მსახიობი. ცხადია, ეს ტიპაჟის შერჩევის საუკეთესო პირობებს ქმნის.

ტელესპექტაკლში სამთა ურთიერთობა ცხოვრების ცოცხალ სურათს მოგვგონებს სწორად არის გახსნილი თითოეულის ხასიათი. მოქმედებას თან ახლავს პოეტური ზეაწეულობა.

ძნელაა თავი შევიკავოთ და პირდაპირ არ ვაღიაროთ—ბრწყინვალე გამოღვა ნათელა მუხლოშივილის დებიუტი. გრძობათა მრავალფეროვნება, მოქნილი ფსიქოლოგიური განწყობილებანი, ფრაზის, სიტყვის საუკეთესო შეგრძნება, გულბრწყველობამდე დასული უშუალობა, ზომიერების უტყუარი გრძობა.

ბრწყინვალეა ირაკლი უჩანეიშვილი. საუკეთესოდ ხედავს და გადმოსცემს იგი წინააღმდეგობებით აღსავსე, მიხატრბული იდეებით განსჭვალულ კეთილ ისკანდერს, რომელმაც აზიზის სიტყვებით თუ ვიტყვი, „თვითონ არ იცის, რომ კეთილია“. მსუბუქად, საინტერესოდ დეტალებით, მისაბამი ფსიქო-ფიზიკური წონასწორობით მიჰყავს მას მთელი როლი.

ნორა მგალობლიშვილია სანიმუშო ტაქტით წარმოსაბა ფსიქოლოგიურად ღრმა, შეიძლება ითქვას, ფილოსოფიური, ობტიმისტური და, ამავდროს, ტრაგიკული გმირი — აზიზი.

საერთო თეატრალურ გამას ერწყმის გოგონას ეპიზოდი, რომელსაც ნაწელი სარაქიშვილი ასრულებს.

დადგმის საერთო ჯაჭვში გვხვდება სუსტი რგოლები, ჩვენ მოგვეჩვენა, რომ ეპიზოდებს ამ სატელევიზიო სპექტაკლში არასაკმარისი დრამატული კავშირითიერთობა აქვთ. თვით ბაიკეფთანაც ვხვდებით ანალოგიურ მოვლენას. მაგრამ პიესაში ეს პირობითი პლანები შეესებოდა ლირიკული და პოეტური გადახვევებით და, რაც მთავარია, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოქმედების მკაფიურბედი „მინაგანი მონოლოგის“ თხრობით ფორმაში გადმოცემით. პიესა პირდაპირ ასე იწყება:

„მე ქალი ვარ, სახელად ნახის მეძახიან, ახლახან ოცდაორი წლისა გავხდი.

ორ ახალგაზრდა კაცს ჰქვიათ: ისკანდერი და აზიზი, ეს არის და ეს, — პიესაში მეტი არავინაა. თუმცა შემდეგ გამოჩნდება გოგონა“.

სწორედ ამ თხრობით ტონს ბოლომდე ინარჩუნებს ნაწარმოები, და როცა მას კითხულობთ, რწმუნდებით, რომ ამის გარეშე არც წარმოიშვება ნაწარმოების ემოციური აღქმის და აზრის ერთიანობა.

ორღვსაც რეჟისორმა მხატვრული ინტერპრეტაციის დროს უუვადოდ ეს მომენტი, ცხადია,

იგი რაღაც სხვა მხატვრული მომენტი შეეცვალა. ჩვენი აზრით, რეჟისორი ინტეგრირულად გრძობდა ამის მოთხოვნილებას. ამაზე მეტყველებს ერთ-ერთი ცენტრალური სცენის, აზიზის და ნახის ბოლო შეხვედრის მხატვრული გადაწყვეტა. სადაც ნახის სულიერი მოძრაობა, მინაგანი მონოლოგი ცხადდის არის გახსნილი — „სად იყავი აქამდე? მე გელოდი, მთელი ჩემი სიცოცხლე გელოდი, მაგრამ შენს ნაცვლად სხვები მოლოდინდ...“

ჩემის აზრით, პიესის ამ მხატვრული სპეციფიკის გათვალისწინება სჯობს იყო მუშაობის დასაწყისში, მთელი სპექტაკლის მხატვრულ კომპოზიციური გააზრების დროს.

პიესა სიმბოლურია. ტელესპექტაკლში კი აზრობრივ-ესთეტიკურ სიმბოლოებს არ დაეთმო ჭეროვანი ადგილი, დაიკარგა გმირთა ორპირობის ვარემოცვა — ზღვა უკაცრიელი ადგილი, ვერტმეფანის ყოლისმომცველი გუგუნი, ბუნების სურათები „ზღვის მოტივი, რატომღაც ისკანდერთან შეხვედრის სცენების კუთვნილებაა, რის გამოც იგი მხატვრულად აღარ ზოგადდება. პიესაში ზღვის სიმბოლური ხასიათი რეჟისორს არ გამოჰპარია. ფინალურ აკორდად მან სწორედ ზღვა აირჩია, მაგრამ ეს მხოლოდ აზრობრივი კომპოზიციის და სრულიად არ არის სამი მოქმედი პირის ცხოვრების სიმბოლური ლეიტმოტივი.

სატელევიზიო თეატრში მხატვრის ფუნქციები მნიშვნელოვნად გაზრდილია. აქ იგი დეკორატორია და ოპერატორიც. თემურ გოცაძის დეკორაცია მოხერხებული და ლაკონიურია. საინტერესოა ზღვის პირობითი პანორამა. მაგრამ საერთო ჩანაფიქრის გამო, მხატვარი მხოლოდ თეატრალურ მხატვრულ დარჩა, ამან კი სპექტაკლში სტატიურობის ელფერი შემოიტანა.

ტელევიზიაში არ უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ ერთი ხედვითი წერტილით, რომელიც თეატრისთვის არის დამახასიათებელი. სხვადასხვა ხედვითი წერტილები (ზედა ხედვითი პლანების ჩათვლით) მნიშვნელოვნად გაამდიდრებენ მინასცენების კომპოზიციურ ნახას.

საქართველოს სატელევიზიო თეატრი უაღრესად პროგრესული მოვლენაა ჩვენს თეატრალურ ცხოვრებაში. მას დიდი პერსპექტივები აქვს, როგორც ჩანს, მის საფარში ნიჭური შემოქმედით მოუყრიათ თავი. ამას კიდევ ერთხელ გვიდასტურებს ბაიკეფის „დუელის“ წარმატება. გადაუჭარბებულად შეიძლება ითქვას, რომ თუ სატელევიზიო თეატრი ასეთივე ადამალობით განაგრძობს სვლას, ჩვენ მართებულად შევიძლია ვიამაყოთ საუკეთესო მიღწევები.



უიქრეზი მუსიკალურ ხელოვნების პრობლემები... მირა ფიჩხაძე

ხელოვნება დღეს მასობრივი გახდა. ბუნებრივია, როგორც არაადროს, გაიზარდა მისი თაყვანისმცემელთა და შემფასებელთა რიცხვი. მუსიკალურ ხელოვნებას, ერთ-ერთ ყველაზე პოეტურს და პოპულარულს, შეიძლება ითქვას, შემფასებელი დღეს განსაკუთრებით ბევრი ჰყავს. ეს შემფასებელი და თაყვანისმცემელი ამჟღავნებენ იშვიათ დაინტერესებას მუსიკალური კულტურის ბედით. გასაოცარია ასეთი მოყვარულის კომპენტენტურობა; ხშირად მისი მსჯელობა გამოირჩევა ცოდნის ისეთი სიღრმით, რომ უნებლიედ ჩაგაფიქრებთ, მრავალსაჭირობოროტო საკითხს აღგიძრავთ. თვითონ მხოლოდ მოყვარულია, სხვა პრეტენზია არ აქვს, მაგრამ ხელოვნებისაგან მეტს მოელის, უფრო უყუთესს, უმაღლეს მხატვრულ ზეშთაოვნებას, მოითხოვს ხელოვნების როგორც ინტერპრეტატორებისაგან, ისე მისი ჰუმანიტარი შემფასებლებისაგან.

მაგრამ როგორია პროფესიონალ შემფასებელთა პოზიცია, რომელთა ავტორიტეტული აზრი უნდა გახდეს კრიტერიუმით მთელ რიგ მოვლენათა აღქმის დროს?!

ერთის შეხედვით, ჩვენი მუსიკალური ცხოვრების არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა არ რჩება (ან არ უნდა დარჩეს!) მუსიკალური კრიტიკის ყურადღების გარეშე. რეცენზიების, ინფორმაციების, ცნობების სიმრავლე ჩვენი პრესის ფურცლებზე მეტად დიდია, მაგრამ ხშირად ამ სიმრავლეში იკარგება მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი პრობლემები. ეს რეცენზიები და წერილები იმდენად შეზღუდულია ინფორმაციული ცნობებით რომ პრინციპულად გაუმეჩბეღელი რჩება საინტერესო ნაწარმოებები, რომლებიც მთელ რიგ შემთხვევებში, წარმოადგენენ ეტაპს არა მარტო ამა თუ იმ შემოქმედის, არამედ ეროვნული კულტურის განვითარებაში.

ისმება საკითხი: ჩვენი მუსიკის მცოდნეები და კრიტიკოსები რაციონალურად იყენებენ თუ

არა მუსიკალური კრიტიკის მრავალფეროვან ფორმებს — დაწყებულს პატარა საგაზეთო შენიშვნებით და დამთავრებულს ვრცელი, განზოგადოებული წერილებით?!, ხშირად ვხვდებით თუ არა პრესის ფურცლებზე ისეთ სტატიებსა და რეცენზიებს, სადაც დასმულია მნიშვნელოვანი პრობლემები თანამედროვე მუსიკალური შემოქმედებისა და მიუკერძოებლად შეფასებულია ხელოვნების ახალი ქმნილება?

ღრმა, განზოგადოებული შეფასება ახალი ნაწარმოებისა დიდად ესაჭიროება მსმენელს, რომლისთვისაც ხშირად, ყველაფერი გასაგებია და მისაწვდომი არ არის. ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებით იზრდება მუსიკალური კრიტიკოსის მისია, რომელსაც ძალუძს დაეხმაროს მსმენელს გაერკვეს მუსიკალური ხელოვნების საიდუმლოებაში.

ასეთი ღრმა და პრინციპული შეფასება ესაჭიროება თვით ავტორსაც. ის აუცილებლად გულისყურით მოეცილება მას, კონცერტებს (უმეტეს შემთხვევაში) და, ნაწილობრივ, თეატრალურ პრემიერებს ჩვენი პრესაში, ასე თუ ისე, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა. მაგრამ სინანულს იწვევს ზოგჯერ მათი პროფესიული დონე ხშირად ეს რეცენზიები შედგენილია წინასწარ გამოზადებული, ტრადიციული სქემის მიხედვით. სტერეოტიპური აზრებითა და ფრაზებით. ამიტომაც მათში ხდება შემსრულებელთა ინდივიდუალობისა და სტილის ნივთიერება. ამგვარი რეცენზიები იწვევენ მკითხველში უნდობლობას, ხოლო კომპეტენტურ მოყვარულთა შორის სკეპტიკურ დიმილს.

საკმაოდ მუსიკა დღევანდელ ეტაპზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია თანამედროვე მოწინავე მსოფლიო ხელოვნებისა. მისი ჩანერგვა ჩვენი მსმენელის ყოფაცხოვრებაში მუსიკალური კულტურის მოღვაწეთა უპირველესი ამოცანაა.

მუსიკალური ნაწარმოების გაგება, მისი შეგრძნება ხელოვნების საიდუმლოების შემცირებას



უახლოვდება. არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს გასაგები და გაუგებარი მუსიკა, ისევე როგორც საფუძველს მოკლებულია მისი დაყოფა „სერიოზულ“ და „მსუბუქ“ (ე. ი. „არასერიოზულ“) მუსიკად. თუ მხატვრულ მოვლენებს ჭეშმარიტი, დიდი საზომით მივუღებებით, ლაბირაჟი შეიძლება, ერთის მხრივ, მუსიკალური ხელოვნების ყანრობრივ მრავალფეროვნებაზე, ხოლო, მეორე მხრივ, მისი ავტორების ნიჭისა და ნაწარმოებების მხატვრულ დონეზე. ყოველივე ღირსშესანიშნავი, მაღალმატრულ, ნიჭიერი ყოველთვის იბოვის თავის ღირსეულ ადგილს ეროვნული კულტურის განვითარებაში.

სხვადასხვა ეპოქის, მიმართულების, სტილის ნაწარმოებთა გავების, აღქმის ხარისხი არ შეიძლება იყოს ერთნაირი. ბუნებრივია, რომ ჩვენი სმენა, იმის გამო, რომ ძველმოხილავზე შეჩვეულია და შესისხლბორცეულია აპრობირებულ მუსიკალურ კლასიკასთან, მის ინტონაციურ სამყაროსთან მას ბევრად უფრო სწრაფად და ადვილად აღიქვამს, ვიდრე თანამედროვე ნაწარმოებებს, სადაც ასე ფართოდ არის გამოყენებული ახალი გამომსახველი ხერხები და საშუალებები.

ამიტომაც ამ უკანასკნელის უფრო აქტიური და გულმოდგინე პროპაგანდა საჭირო, რადგანაც ერთხელ მოსმენილს შეუძლია შექმნას მხოლოდ საერთო შთაბეჭდილება, მაგრამ ვერ გახდება გასაგები და ნათელი ბოლომდე. პირველი შთაბეჭდილება კი ხომ ადვილი შესაძლებელია, მცდარი იყოს! უნდობლობა ახლის მიმართ მთელ რიგ შემთხვევაში ფსიქოლოგიურ ფაქტორს წარმოადგენს. ორი ათეული წლის წინათ პროკოფიევის გენიალური შემოქმედება დიდი სიძნელებით, მძიმედ იღამდა ფეხს და გაუბეღავად იკაფავდა გზას ფართო აუდიტორიისაკენ. იყო დრო, როდესაც მას თანამედროვე მუსიკალურ ხელოვნებაში „გაუგებრობის“ სინონიმად თვლიდნენ. ახლა პროკოფიევი საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ხელოვანია და მსმენელისათვის მან ღირსეული ადგილი დაიკავა მსოფლიოში ცნობილ კომპოზიტორთა გვერდით.

თბილისის საოპერო თეატრმა ერთ-ერთმა პირველმა საბჭოთა კავშირში დადგა პროკოფიევის საუკეთესო ოპერა „სეიონ კოტკო“. დადგა მშვენიერად. სპექტაკლმა ახლებურად გამოამყარა შემოქმედებითი კოლექტივის პოტენციური შესაძლებლობანი. ამგვარ სპექტაკლებს თეატრი სათუთად უნდა ინახავდეს თავის რეპერტუარში.

„სეიონ კოტკოს“ მსგავსი ნაწარმოებები თავისი პოპულარობით ჯერ-ჯერობით ვერ გაუწევენ მეტოქეობას ისეთ ოპერებს, რომლებსაც საუკუნოვანი სცენური ისტორია გააჩნიათ. მაგრამ მათი მნიშვნელობა ამის გამო სრულიადაც არ მცირდება. მით უფრო საჭიროა გამოინახოს უფ-

რო ეფექტური ფორმები ამგვარი ნაწარმოებებს პროპაგანდისა, რათა მსმენელმა აღიქვას მისი ნოვატორობა.

ხშირად ქართულ კომპოზიტორთა მიეღი რიგი საინტერესო ნაწარმოებები მხოლოდ რამდენჯერმე სრულდება და შემდეგ დაუმსახურებლად დაიწყებებს ეძლევა იმაზე ბევრად უფრო ადრე, ვიდრე მას მსმენელი შეეჩვევა.

ქართული საბჭოთა საოპერო ქანრის არსებობის 50 წლის მანძილზე შეიქმნა ნაწარმოებები, რომლებმაც, უდავო მხატვრულ ღირსეუბების წყალობით, თავის დროზე, მსმენელის ყურადღება და ინტერესი გამოიწვიეს. მაგრამ ისინი დაუმსახურებლად დაიწყებული აღმოჩნდნენ. ხოლო მსმენელის ახლანდელ თაობას წარმოადგენდა კი არა აქვს მათზე, შესაძლოა ეს გარემოება იწვევს ჩვენი თეატრის „რეპერტურულ ერთფეროვნებას“. მეტი სიყვარული თეატრის მხრივ ქართული საბჭოთა საოპერო მუსიკის საუკეთესო ნიმუშებისადმი მსმენელში გამოიწვევდა მეტ ნდობას დღევანდელი ხელოვნებისადმი, რომელს გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე საბჭოთა მუსიკის არსებობა და განვითარება.

თანამედროვე მუსიკალური ხელოვნების ბედი ერთნაირად არის დამოკიდებული როგორც მის შემქმნელებზე, ასევე მის შემსრულებლებზე. ქართული კომპოზიტორები, რომელთა წინაშე საბჭოთა საოპერო კლასიკის შექმნის უმნიშვნელოვანესი ამოცანა დგას, განსაკუთრებით დაეძებენ ამგვარ შემოქმედებით კავშირს.

ჩვენი რესპუბლიკის ერთადერთ საოპერო თეატრს (თუ არ ჩათვლით ქუთაისის ფილიალს), ევალება შექმნას ფართო, მრავალფეროვანი რეპერტუარი, დაწყებული კლასიკით და დამთავრებული თანამედროვე ავტორებით. ბუნებრივია, მარტო მას გაუძნელდება იკისროს თანამედროვე საოპერო ლიტერატურის პროპაგანდის მისია. ეს პროპაგანდა კი ძლიერ ინაჟირობა დღევანდელ ხელოვნებას, მის მსმენელს, რომელმაც უნდა შეიყვაროს ეს ხელოვნება. რამდენად უფრო ეფექტური იქნებოდა ეს პროპაგანდა, რომ რესპუბლიკაში არსებობდეს პატარა შემოქმედებითი კოლექტივი (მსოკვის საბჭოთა ოპერის ანსამბლის მსგავსი, შეიძლება მას ექსპერიმენტული ანსამბლი ეწოდოს), რომელიც გახდება არა მარტო ინტერპრეტატორი, არამედ ნამდვილი ენთუზიასტი საბჭოთა ოპერისა, გადაიქცევა იმ ჭეშმარიტ შემოქმედებით ლაბორატორიად, სადაც ჩაისახება დღევანდელი ღღის ხელოვნება. ამ კოლექტივის აუცილებლად ეყოლება თავისი მუდმივი მსმენელი და სწორედ აქ დაიბადება ახალი ხელოვნების აუდიტორია.

იმისათვის კი, რომ ამ კოლექტივში მოვიღ-



ნენ ახალი მუსიკის ინტონაციურ სამყაროსთან შესისხლორცებული მომღერლები, ამისათვის მათ ჯერ კიდევ ფონსერვატორიის კედლებში უნდა უღვივდებოდეს დიდი სიყვარული და პატრიისცემა საბჭოთა რეპერტუარისადმი.

მრავალფეროვანია დღეს საბჭოთა მუსიკის პროპაგანდის ფორმები. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, ტელეგადაცემებს, ხელოვნების ე. წ. „შინ მიტანას“. ხშირად ეს ფორმები განაპირობებენ მსმენელის ესთეტიკურ გემოვნებას. ამიტომ მუსიკალურმა კრიტიკამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიუქციოს მუსიკალური ტელეგადაცემების მხატვრულ დონეს. განუხრელად უნდა ვიბრძოდეთ ამ გადაცემების მაღალი აუტენტურობისათვის.

ბოლო დროს სულ უფრო და უფრო მწვევდება კამათი ამჟამად ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული — საესტრადო მუსიკის ირგვლივ. რომელსაც რატომღაც „მსუბუქს“ უწოდებენ. ეს, ერთხელ და სამუდამოდ ნაპოვნი იარაღი, რატომღაც უშინაარსობისა და ფუქსავატობის სინონიმად იქცა. გასართობი, თუ მას კეშმარტი ხელოვნების სახომით მივედგებით, სრულიად არ არის ფუქსავატობის ინდენტური. მუსიკის ისტორია იცნობს არა ერთ მაგალითს, როდესაც წარსულის გენიალური კომპოზიტორები, რომლებმაც შექმნეს სრულიად „სერიოზული“ ხელოვნება, არაერთხელ მიმართავდნენ გასართობ ენარს და მათ შთამომავლობას მისი უბაღლო ნიმუშები დაუტოვეს.

მაგრამ თანამედროვე საესტრადო გასართობ

მუსიკას (მხედველობაში გვაქვს ქართული ეროვნული ესტრადა) სხვა მხარეც გააჩნია. ესეიგი სერიოზული დაფიქრება ესაჭიროება.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ მუსიკალური ხელოვნების არც ერთ დარგში არ ხდება ისეთი ნიველირება ეროვნული სტილისა, როგორც საესტრადო ენარში. არსად ასეთი ძალით არ მოქმედობს უცხოური ზეგავლენა, როგორც თანამედროვე ესტრადაზე. სწორედ ეს იწვევს მრავალი ქართული სიმღერების ასეთ მსგავსებას დასავლეთის მოდურ, ე. წ. „შლიაგერული მუსიკის“ ნიმუშებთან. ქართული საესტრადო მუსიკა კი უფრო ფართოდ რომ იყენებდეს წარსულის — ქართული რომანსისა და ლირიკული სიმღერის მდიდარ წყაროებს (რასაკვირველია, შერწყმულს თანამედროვე გამომსახველ ხერხებთან) ის შეინარჩუნებდა მკაფიო ინდივიდუალურ, ეროვნულ სახეს.

ამიტომაც მეტად დამაფიქრებელია თანამედროვე ქართული საესტრადო ენარის განვითარების გზები. რეპერტუარის ერთფეროვნება და შემსრულებლების მანერა. ის ფორმებია, რომლებსაც ვისმინებ და ვიხილავთ მრავალნაირი საესტრადო კონცერტების დროს.

ხელოვნება დღეს მასობრივი გახდა. ამავე დროს, საოცრად ამაღლდა მისი მხატვრული დონე, გაიზარდა მისი პოტენციალური შესაძლებლობანი. ალბათ ამიტომ, თავისი განვითარების პროცესში ის აყენებს მრავალ საინტერესო პრობლემას, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვენ.

ბ. შარვაშიძის დაკარგული პიესა „კომლი უცეცხლოდ“ სოლომონ ლავიჯვილი

ზიორბი მიხეილის ძე შარვაშიძე მე-19 ს. მეორე ნახევრის ქართული ლიტერატურული და კულტურული ცხოვრების საკმაოდ კოლორიტული ფიგურაა. მიუხედავად იმისა, რომ მას დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა არ დარჩენია, თავისი შემოქმედებით იგი მაინც მრავალმხრივ და საინტერესო მწერლად გვევლინება. მას კალამი უცდია პოეზიასა და დრამატურგიაში, მთარგმნელობითსა და პუბლიცისტურ სარბიელზე.

ბ. შარვაშიძის შემოქმედებიდან დღემდე ცნობილია 50-ზე მეტი ლექსი, ერთი პოემა „გვადანის ციხე“, პიესები „გიორგი მესამე“, „მომაკვდავნი სურათნი“, აგრეთვე 20-ზე მეტი რეცენზია ქართულ სათეატრო დადგმაზე და რამდენიმე საყურადღებო პუბლიცისტური წერილი.

აღსანიშნავია, რომ მისი პიესები სხვადასხვა დროს წარმატებით იდგმებოდა ქუთაისისა და თბილისის სცენებზე. ამის ნათელი დადასტურებაა ქართულ და რუსულ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული მრავალი დადებითი რეცენზია და წერილი.

90-იანი წლების ქართული და რუსული ჟურნალ-გაზეთები საყურადღებო ცნობას გვაწვდიან: მაყურებელთა დიდი მოწონებით სარგებლობდა ბ. შარვაშიძისავე მესამე პიესა, ერთ-მოქმედებიანი კომედია „კომლი უცეცხლოდ“. აღსანიშნავია, რომ ამ კომედიას დადებითად აფასებდა აკაკი წერეთელი. შემდგომში ეს პიესა დაკარგულად ითვლებოდა და ამიტომაც იგი არ შესულა ბ. შარვაშიძის თხზულებათა აკად. ს. ჩანაშისაყულ გამოცემაში. ამ გამოცემას წამძღვარებული აქვს სახელოვანი მეცნიერის გამოკვლევა, სადაც აღნიშნულია: „...მესამე პიესა ბ. შარვაშიძისა „კომლი უცეცხლოდ“. დრამატული სურათი ერთ მოქმედებად, პირველად ნათამაშევი ყოფილა ქუთაისში, კ. მესხის თეატრში, 14 ნოემბერს 1893 წ. სამწუხაროდ ამჟამად პიესა ჩვენთვის ხელმოუწვდომელი აღმოჩნდა“.

ინტერესი ამ პიესისადმი განსაკუთრებით

გაცხოველდა ზემოდ აღნიშნული გამოცემის შემდეგ. კომედიას 1952 წ. მიაკვლია ცნობილიმა თეატრმცოდნემ, აწ განსვენებულმა სერგი გერსამიამ, რომელმაც 1967 წ. მიგვითითა როგორც პიესის ადგილსამყოფელზე ასევე ზოგიერთ საინტერესო ფაქტზე პიესის ირგვლივ (პიესა დაცულია საქართველოს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმში, № 524).

პიესის შინაარსი მოკლედ ასეთია: გრაფი გასფარო ალფიერი თავის მეუღლე სეზარინას ბრალად სდებს ღალატს. კარდინალი, სეზარინას ბაბა, ვადასწყვეტს გამოიძიოს კომფლიქტის საბაბი. სეზარინა ცდილობს დაუმტკიცოს მეუღლეს თავის უღანაშუალობა, მაგრამ გრაფი მას არც კი უსმენს. კარდინალი გულდასმით უსმენს ორივე მხარეს, აგრეთვე, მოწმეებს, რის შედეგადაც ირკვევა: რომ საპატიო სტუმრების შესახებდრად სამზადისის შემოწმებისას გრაფი თავზე წასდგომა დივანზე მწოლარე მეუღლეს, რომელსაც პატი გიო სან როა ფეხს უშეღდა. გაშმაგებული გრაფი ფიზიკურ შეურაცხყოფას მიაყენებს მეუღლეს, მძიმედ დაჭრის პაეს და თავსაც სასიკვდილოდ იმეტებს. მაგრამ გულმოდგინე მკურნალობით გადაარჩენდა მათ. შემდეგ ირკვევა, რომ მთელი ამ საქმის ვითარება ყველაზე კარგად იცის ერთ-ერთმა მსახურმა ანტონიომ. გამოძახებული შინამოსამსახურე დაწერილებით ყვება ყოველივეს, რაც ნახა. პიესა ბოლონაკულთაა და ამ წყდება.

ამ პიესის დადგმებთან დაკავშირებით თავის დროზე გამოქვეყნებული ანოტაციები საშუალებას გვაძლევს გავიაზროდ ფინალი. ანტონიო დაწერილებით აღწერს რაც მან ნახა და ყველასათვის ნათელი ხდება მომხდარი ამბის შინაარსი: გრაფის მეუღლემ სეზარინამ სტუმრებთან საზეიმო შეხვედრის თადარიგისას ფეხი იღძო, რის გამოც გული შეუწყუხდა. ამ ამბის შემსწრე პაყმა ქალბატონი ტახტზე დაასვენა და სახელდახელო დახმარება გაუწია. სწორედ ამ დროს შეუსწრო გრაფმა, რომელსაც ექვიანობამ თავგზაუბრად და ჩააფანინა ის რაც ზემოდ გვჭონდა აღნიშნული... ამრიგად ეს დიდი ურზაური წარმო-

შობილა არაფრისათვის, კვამლი განდა უცეცხლოდ.

დიდ ინტერესს იწვევს მიმოწერა აღნიშნული პიესის ირგვლივ ს. გერსამიასა და შ. დადიანს ზორის, რითაც დგინდება გიორგი შარვაშიძის ბიოგრაფიის, რამდენიმე საყურადღებო დეტალი პირველყოვლისა, გავეცნოთ ს. გერსამიას წერის:

„ძვირფასო შალვა!

მე ვწერ შრომას „გიორგი შარვაშიძე და ქართული თეატრი“. მისი ავტორობით ცნობილია ერთმომქმედებიანი პიესა — „კომლი უცეცხლოდ“. ჩვენ მიერ შეკრებილი ცნობებით ეს პიესა დაუღვამთ პირველად ქუთაისში 1893 წ. დაუღვამს კოტე მესხს. სპექტაკლში თქვენც მივიღიათ მონაწილეობა და შევიკრებოდათ ექიმ რუბინის როლი.

ჩვენს ხელთ არსებული პიესის ეკზემპლარს, რომელიც დაწერილია გ. შარვაშიძის ხელით, აწერია, რომ ის ეკუთვნის იტალიელ მწერალს ვინმე როლენცო ჩელისს, რომ ის დაწერილია მე-17 საუკუნის იტალიის ცხოვრებიდან აღებულ მასალაზე და პიესის მთარგმნელია — „ნ. წ.“

ასე გამოდის რომ გ. შარვაშიძე არამცთუ ავტორი, მთარგმნელიც კი არ არის, უბრალო გადამწერია, უკეთეს შემთხვევაში კი რედაქტორი.

თქვენ კარგად იცნობდით გ. შარვაშიძის, იცნობთ პიესას „კომლი უცეცხლოდ“ და გითამაშნიათ კიდევ ამ პიესაში. ამიტომ ამ საიდუმლოების ამხსნელი ცნობები უშუალოდ გეძენებათ და გთხოვთ მომაწოდოთ წერილობით. სახელდობრ ამიხსნათ, შეეხებოდეთ საკითხებს:

1. თქვენი აზრით პიესა ვის ეკუთვნის.
2. თუ გ. შარვაშიძის კუთვნილებაა, რამ გამოიწვია ის, რომ ავტორი სხვა ნაჩვენები,
3. პიესას რად ეწოდება „ნათარგმნი“, 4. თუ გ. შარვაშიძის კუთვნილებაა, რად მიმართა ავტორმა მისტიფიკაციას. 5. ვინ არის მთარგმნელი „ნ. წ.“ და სხვა, რაც საჭიროდ მიიჩნით საკითხის გაშუქებისათვის, ეს თქვენ უკეთესად იცით.

მარად თქვენი პატივისცემელი სერგო გერსამია 5/III, -52. თბილისი.

ს. გერსამიას წერილში წამოჭრილ ფრიალ საგულისმო კითხვებს შ. დადიანი მისთვის ჩვეულებრივ პასუხისმგებლობით მოჰყიდებია და ვრცელად, დასაბუთებულ პასუხს გაუცვია ადრესატისათვის. პასუხი შუქს ჰყენს კომედიის ირგვლივ არსებულ ბუნდოვან საკითხებს და მნიშვნელოვნად დაესმარება დაინტერესებულ პირთ სინამდვილის აღდგენის საქმეში. აი ეს წერილიც:

„...ეს იყო 1893 წ. როდესაც მე პირვე-

ლად შევდგი ფეხი ქუთაისის პროფესიონალურ დასში, რომელსაც მაშინ მეთათრობდა კოტე მესხი. ძვირფასი კოტე გაფაციცებით ეძებდა ქართულ ორიგინალ პიესებს დასადგმელად და აი ერთ-ერთი რეპერტუარის დროს მან მოგვიტანა ერთმომქმედებიანი პიესა „კომლი უცეცხლოდ“ და წაგვიკითხა, თან როლებიც გავკინაწილა.

პიესაში მოქმედ პირად იყვნენ გამოყვანილი იტალიელები და მოქმედებაც იტალიაში წარმოებდა. პიესა თითქო თარგმანის შთაბეჭდილებას სტოვებდა, მაგრამ ძალიან მალე გამოირკვა ყველა ჩვენთვის, რომ ნაწარმოებთ ეკუთვნოდა შარვაშიძეს.

ეს პიესა გიორგის რუსულად ჰქონდა დაწერილი და პიესის დედანი ქუთაისის ოჯახებში ხელიდან ხელში გადადიოდა.

როგორც შემდეგ გავიგეთ „კომლი უცეცხლოდ“ ავტორიოგრაფიული ხასიათისა იყო და იტალიაში, გასაგებ მიზეზების გამო, განგებ ჰქონდა ავტორს მოქმედება გადატანილი.

რაც პიესაში მოთხრობილია ის პირადად ჰქონდა გიორგის შემთხვეული, მაგრამ ყოველგვარ გაუგებრობის თვიდან ასაცილებლად, მოქმედ პირთა სახელები შეცვლილი ჰქონდა.

ახლა მახსენდება რომ პიესაში გამოყვანილი პაეის როლი ერთ-ერთი მისი ძიძიშვილის საქციელით იყო ჩაგონებული. ამაზე ხშირად ლაპარაკობდნენ კულუარებში.

რაც შეეხება პიესაში გამოყვანილ ცოლის როლს, ეს ვითომ გიორგის ცოლის ალტერეგო იყო, მაგრამ ჩვენ ყველამ ვიცოდით, მთელმა საზოგადოებრიობამ, რომ გიორგის მეუღლე იყო მეტად შესანიშნავი, უმწიკვლო ზნეობის ქალი და მას არავითარი, მის პიროვნებას ჩრდილს რომ მიაყენებდა, ისეთი რამ არასოდეს თავის ცხოვრებაში არ ჩაუღვნიდა.

და აკი პიესაშიც ის ყოველად უმანკო აღამიანდ მოჩანს და მის გარშემო დატრიალებული ტრაგედია გაუგებრობაზე იყო აშენებული.

ერთი სიტყვით, პიესა ეკუთვნოდა და ეკუთვნის გიორგი შარვაშიძეს.

რაც შეეხება ვილად ლორენცო ჩელისს, რომლის პიესიდანაც არის ვითომდა „კომლი უცეცხლოდ“ გადმოთარგმნილი, ჩვენს დასში მომუშავეებმა მაინც მაშინ ამისი არაფერი ვიცოდით, მხოლოდ, როდესაც გავიგეთ, რასაკვირველია, ესეც მოვაწერეთ ავტორის ერთგვარ ხერხს, რომ თავის თავი მიეჩქალა, როგორც ზევით ვთქვი, გასაგებ მიზეზების გამო.

ახლა ტექსტი, როგორც ვთქვი, გ. შარვაშიძეს რუსულად ჰქონდა დაწერილი, მაგრამ რა კი კოტე მესხს უნდოდა ის ქართულად წარმოედგინა, ხომ უნდა ჰქონოდა თარგმანი და აი მან ვაიგო, რომ რუსულიდან ამ პიესას მთარგმნელიც ჰყავდა.

ეს იყო გიორგი შარვაშიძის დის, ბაბოს ქმარი, ნიკოლოზ (კოლია) წულუკიძე.

ის ამ დროს ქუთაისის ციხეში იჯდა პოლიციასთან რაღაც შეტაკების გამო და სასჯელს იხდიდა. ის არ იყო პროფესიონალი მწერალი, მაგრამ გემოვნება განვითარებული კაცი იყო, რუსულისა და ქართულის კარგი მცოდნე და იმიტომ მოჰკადა თარგმანს ხელი. საფიქრებელია ისიც, რომ ამითი უნდოდა მის სასახელო ცოლისძმისთვისაც ესაიამოვნებინა.

ცხადია, თვითონ გიორგის შეეძლო თავისი პიესა გადაეთარგმნა და შეიძლება, ბევრად უკეთესადაც. მაგრამ აქ უპირატესობა სიძეს დაუთმო.

ამგვარად, ჩვენ ხელთა გვქონდა „ნ. წ.“ მიერ ნათარგმნი გიორგი შარვაშიძის პიესა „კომლი უცეცხლოდ“.

სრული სახელი და გვარი უთუოდ იმიტომ არ მოაწერა მთარგმნელმა, რომ კო-

ლია წულუკიძეს მთელი ქუთაისი იცნობდა და არ უნდოდა, რომ საპატიმროში მყოფი ტუსაღის სახელით გამოსულიყო ლიტერატურაში.

ამგვარად, ვიმეორებ, რუსულად დაწერილი პიესა „კომლი უცეცხლოდ“ ყოველ ექვს გარეშე ეკუთვნის გიორგი შარვაშიძეს და ამ პიესის მთარგმნელი ნიკოლოზ (კოლია) წულუკიძე „ნ. წ.“-ს ინიციალებს შეფარებული.

მოსახსენებელია, ისიც რომ „კომლი უცეცხლოდ“ რამდენიმეჯერ გავიმეორეთ ქუთაისში, რაც იმ დროს იშვიათი იყო და დიდი გამარჯვების მათუწყებელი“.

როგორც ვხედავთ, შ. დადიანის წერილი ამომწურავად პასუხობს წამოჭრილ ყველა საკითხს, რომელიც ლოგიკურად ისმის „კომლი უცეცხლოდ“ სათეატრო მუზეუმისეულ ჯერჯერობით ერთადერთი ცალის გაცნობისას.

„კომლი უცეცხლოდ“ საინტერესო დრამატული ნაწარმოებია, რომელიც საშუალებას იძლევა უფრო სრული წარმოდგენა ვიქონიოთ მისი ავტორის, უბრეტენზიო და დღეისათვის მივიწყებული მწერლის და საზოგადო მოღვაწის გ. შარვაშიძის სამწერლო ნიჭზე, მის დამსახურებაზე ქართული თეატრის წინაშე.

11358





როსა ჩეჩოსოკი დაქვიჩვაბით მუხაოს

ელენე კვიციანი

3. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სახალხო თეატრების სპექტაკლების კონკურსი დასრულდა. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 9 სახალხო თეატრმა. ჩვენ არ შევედგებით ყველა სპექტაკლის გარჩევას. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ თითოეულ კოლექტივს ენერჯია არ დაუზოგავს, რათა ჯეროვნად წარმოდგარიყო თბილისელი მსაუბრის წინაშე. თუ მათმა შრომამ ზოგ შემთხვევაში სასურველი შედეგი ვერ მოიტანა, ამის მიზეზი უმთავრესად იმ დრამატურგიულ მასალაში უნდა ვეძებოთ, რომელზეც სპექტაკლები იყო აგებული. მართალია, ჩვენ არც ისე განვიხილეთ ვართ თანამედროვე პიესების ბრწყინვალე ნიმუშებით, მაგრამ ისე არ ვაღაბრებულა ჩვენი დრამატურგიის არსენალი, რომ რამდენიმე თეატრის დასავლეთურადი პიესები არ მოიპოვებოდეს. საქირთა, რომ სახალხო თეატრებმა შემდგომში მეტი სიფრთხილე და მომთხროვნელობა გამოიჩინონ პიესების შერჩევაში, დაუკვირდნენ მათს იდეურსა და მხატვრულ ღირსებებს. ყოველი სპექტაკლი ზნობრივი სიკეთით, სულთერით სიფაქიზით უნდა ავსებდეს დაინტერესებულ მსაუბრებს.

კონკურსზე რამდენიმე ახალგაზრდა რეჟისორის შემოქმედებას ვავეცინათ. საყურადღებოა რენე აბესაძის მიერ დადგმული „კიკვიძე“ (უშანგი ჩხეიძის სახელობის ზესტაფონის სახალხო თეატრი) და ანზორ შერგელაშვილის მიერ დადგმული „სად ხარ ჩემო მეზობლო“ (კოტე მარჯანიშვილის სახელობის ყვარლის სახალხო თეატრი).

რ. აბესაძეს დაუდგამს ვანიონ დარასელი

„კიკვიძის“ პირველი ვარიანტი, რომელიც გაცილებით დამჯერებელია, სისხლსავსე, სადა და სალი, ვიდრე ამავე პიესის სხვათა მიერ ნებისმიერად შესწორებული ვარიანტები. ეს ფაქტი, უდავოდ, მიგვიჩვენებს რეჟისორ აბესაძის მაღალ გემოვნებაზე.

პიესა რეჟისორს გახსნილი აქვს, როგორც პეროიკული ღრამა. მას საფუძვლიანად და სწორად დაუმუშავებია სპექტაკლის თითოეული სცენა თუ მიზანსცენა. აპოთეოზამდე არის აყვანილი უკანასკნელი სცენა.

არმიელები ბრძოლის ველს შორიდან თვალყურს ადევნებენ. (პიესის ავტორს ბატალური სცენები კულისებში აქვს გატანილი). ხედავენ თუ როგორ შემოეხვია მრავალრიცხოვანი მტერი კიკვიძეს და როგორ მამაცურად იგერიებს იგი მათ. სპექტაკლის ეს ადგილი იმდენად სრულყოფილია რომ მებრძოლების რეპლიკებისა და ემოციების საშუალებით მსაუბრელები უშუალოდ განიცდის და თითქოს თავისი თვალით ხედავს ბრძოლის ველზე შექმნილ ვითარებას, მტრებით გარშემორტყმულ კიკვიძეს. სპექტაკლში სცენისმოყვარეთა უმეტესობა პროფესიულად თამაშობს. ცხადია, ეს შედეგია იმ დიდ დაძაბული და ნაყოფიერი შრომისა, რომელიც რეჟისორის ჩაუტარებია სცენისმოყვარეებთან.

როლები შემსრულებლებიდან, პირველ რიგში, აღსანიშნავია ნ. წერეთელი — მინია კომუნოვის როლში. ცნობილია, რომ უარყოფითი პირობის სცენაზე გამოსწორება, ზნობრივად, ნაყლებად დამჯერებელია. ნ. წერეთელი თანდათანობით იცილებს თავიდან ძველ მრწამსს და საბოლოოდ სრულად გამოკვეთს კახაის მხატვრულ სახეს.

ოსტატობით გამოიქრწა გ. ბეფუაშვილმა ში-
ლინის იერსახე. მოღალატე და გაიძვერა შილინი
„კაცური-კაცივით“ აამეტყველა სცენაზე, ხოლო
ქვეტექსტით როლში ისეთი შტრიხები ჩააქსო-
ვა, რომ მაყურებელს ეჭვი აღუძრა შილინის საქ-
ციულზე.

ე. კიკვიძისადმი დიდი ნდობით და სიყვარუ-
ლით აღჭურვილი, თბილი, ადამიანური, ამასთან
ერთად, მტკიცე და პრინციპულია რ. ლულუნი-
შვილის ხოშნენყო.

ნ. ჭანკეტაძის მიერ შესრულებული პრასკო-
ვია კორშუნოვა მოხუცებული კახაი ქალის
სრული მხატვრული სახეა.

გრიშუტკას როლს მცირეწლოვანი ვ. ჩუბი-
ნიძე თამაშობს. წარმოუდგენელია ამ როლის
უფრო ბუნებრივი შესრულება. ეს ბავშვი კი არ
თამაშობს, ცოცხლობს სცენაზე, რითაც მაყურე-
ბლის საერთო სიყვარულს იმსახურებს.

ვ. კიკვიძის როლს რენე აბესაძე ასრულებს.
ცხადია, ძველია ერთსა და იმავე დროს იყო
სპექტაკლის რეჟისორი და თამაშობდნ მთავარ
როლს. მიუხედავად ამისა, სცენაზე ჩვენ ვხედავთ
გმირული ბუნების ადამიანს, ფიცხს, მაგრამ
უაღრესად კეთილს, სულგრძელსა და რომანტი-
კული განწყობილ მამაც კიკვიძის.

კარგი თამაშით გამოირჩევიან აგრეთვე: გ. წე-
რეთელი, ა. სოფრომაძე, დ. კამპაძე, შ. ფოც-
ხევარაშვილი, ნ. ჭულელი, გ. კერესელიძე და
ვ. ალაიძე. ჩინებულად აქვს სცენური ფართობი
თვისებელი მხატვარ ჯ. კახიანიშვილს. სპექტაკ-
ლის გაფორმებაში მხატვრის მიერ დატყულია სუ-
სადავე და ზომიერება. მოსაწონია აგრეთვე
ბ. შალაბერიძის მიერ სპექტაკლის მუსიკალური
გაფორმება.

არც ისე შორეულ წარსულში გულსიტკივი-
ლით აღვნიშნავდით, რომ ყვარულს არ ჰქონდა
ჯეროვანი სახალხო თეატრი. ყვარლის სახალხო
თეატრის მიერ კონკურსზე წარმოდგენილმა
სპექტაკლმა, ამჟამად, საწინააღმდეგო აზრები
აღძრა, დაგვარწმუნა, რომ ყვარლის სახალხო თე-
ატრს მტკიცე საფუძველი აქვს და წარმატებით

შეუძლია თავი გაართვას რთულ მხატვრულ
კანასაკე კი.

ახალგაზრდა რეჟისორმა ანზორ შერგილა-
შვილმა განახორცილა გოდერძი ბერიაშვილის
პიესა „სად ხარ ჩვენი მებაღეო“. ავტორის მიერ
მოტანილი ფაქტები და სახეები დამაჯერებელნი
არიან. ერთადერთი, რაც სადაოდ შეიძლება მა-
ვიჩინოთ, პიესის სტრუქტურული აღნაგობაა.
ამბავს დრამატურგი შუა ადგილიდან იწყებს,
შემდეგ უზბრუნდება დასაწყისს და დასაწყისიდან
დასასრულზე გადადის. კინო-სცენარისათვის ასე-
თი სტრუქტურა მისაღებია. რაც შეეხება დრამა-
ტულ თეატრს, მისი სპეციფიკა სხვა არის და
მოთხოვნილებებიც მას სხვა აქვს. პიესის სიუ-
ჟეტი თანმიმდევრულად არ ვითარდება, მის დი-
ნამიურობა აკლია, ეს კი ხელს უშლის მთლიან-
ობას აღიქვას, უკეთეს შემთხვევაში წყვეტილი
შთაბეჭდილება რჩება. ამ ნაკლოვანებათა დამ-
ლვეა უდიდეს ყვარლის სახალხო თეატრს. ერთ-
სულგონმა კოლექტიურმა შრომამ, ძლიერმა ნე-
ბისყოფამ და ნიჭმა სასურველი შედეგი გამოი-
ღო. რეჟისორმა ა. შერგელაშვილმა საინტერესო
სპექტაკლი შექმნა.

ა. შერგელაშვილმა მნიშვნელოვანი მუშაობა
ჩაატარა სცენისმოყვარებებთან, რის შედეგადაც
მონაწილური თავისუფლად და ღალად თამაშობენ
მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია ნიკო
ჯამბუაშვილი. მან პეტრე მეტყევეს მკვეთრი,
მონოლოთური და ტიპური სახე შექმნა.

სრული და შთამბეჭდვითა ც. ახალურის მო-
ხუცი მარიამი.

მნიშვნელოვანია აგრეთვე გ. იაგორაშვილის
თეონა. იგი განსაკუთრებით ლაღი და თავისუფ-
ალია, როდესაც მოზარდ თეონას თამაშობს.

მნიშვნელოვან დონეზე აყვავთ თეონათი რო-
ლები: რ. შეფიაშვილს (ბექარი), შ. ჭავჭავაძის
(არჩილ) და ი. მათიკაშვილს (დათო).

ლაკონურია სპექტაკლის მხატვრული გაფორ-
მება (მხატვარი ა. რუსიაშვილი).

სპექტაკლის მუსიკა კარგად შეუერჩევიდა ც. ახა-
ლურს.

ლაგოდუნის სახალხო თეატრი

თამილა ქაშუშაძე

ლაგოდუნში, მუდმივი თეატრის დაარსე-
ბამდე, შეიღწლიანი სკოლის დირექტორმა, პრო-
კლე ჭუმბურიძემ შეადგინა სცენისმოყვარეთა
წრე. წრემ წარმოადგინა პ. ირეთელის პიესა
„ქრისტინე“. როლები შემდეგნაირად იყო გა-
ნაწილებული: ქრისტინე — ეკ. ტურიაშვილი,
დათია — პ. ჭუმბურიძე, მაკრინე — ნ. თულა-
შვილი, თავადი — გ. ლვინიევი, გოგია —
მ. გოგოსაშვილი. პიესაში თამაშობდნენ აგრე-

თვე თომა ჯმუხაძე და ლევან ჩიკვაძე. ეს იყო
1926 წელს. პიესამ წარმატება მოუტანა სცე-
ნისმოყვარეთა დასს, რამაც ახალგაზრდები მე-
ტად წაახალისა. ამავე წელს ჯაყელის რეჟისო-
რობით დაიდგა შ. დადიანის „გეგეკეკორი“,
ს. რემონიძის „მები“, ი. ეკალაძის „ნომერი 21
ჯვრით“. გავიდა რამდენიმე წელი. ლაგოდუნში
ფეხი მოეკიდა მუშათა თეატრმა, ხალხი მიიზიდა
და დიდი შემოქმედებითი მუშაობა გააჩაღა.

1930 წელს თეატრში მივიდა რეჟისორი მიხეილ იარალი. მან დადგა გ. დარისპანაშვილის „ზღვაში“ და ვიტალინის „მარკიტანტკა სივარტე“. სპექტაკლებში მონაწილეობდნენ: მ. ბოზლაქი, თ. ჩერნოვა, ვ. კაბლელი, ა. გაბენაშვილი, გ. ჯიბლაშვილი.

1933 წელს შ. გოციოძის ხელმძღვანელობით იდგმება ს. შანშიაშვილის „ანზორი“, კ. კალაშის „ხატაჯე“.

ამ პერიოდისთვის თეატრი გასცდა ლაგოდებს და წარმოდგენებს მართავს ახლო სოფლებშიც. თანდათან იზრდება ხალხის სიყვარული თეატრისადმი. მცირერიცხოვანი კოლექტივი თავის ირგვლივ ახალ ძალებს იკრებს.

1935 წელს ჩამოყალიბდა მუდმივი თეატრი. რეჟისორად მიიწვიეს ვასო ალთოშვილი, რომელიც გორის თეატრში მუშაობდა.

ვ. ალთოშვილმა ლაგოდების თეატრის სცენაზე განახორციელა ნ. ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავე“. პიესაში მთავარ როლებს ასრულებდნენ ს. ბაშინჯალივი (სოკო), თ. მარიახანი (ფატი), ვ. კაბლელი (არსენა), გ. ბაშინჯალივი (სალახე), ა. ხიდემული (ყარამანი), გ. დონჯაშვილი (მოხეტე).

1937 წელს მუდმივი დრამატული დასი სახელმწიფო თეატრად გადაკეთდა. თეატრმა სულ იცვალა სახე, შენობა კაპიტალურად გადაკეთდა. გაკეთდა მოძრავი სცენა. ძირეულად განახლდა თეატრის რეპერტუარიც. თბილისიდან მოიწვიეს რეჟისორი ზ. ნორაკიძე და მსახიობი ტასო ერისთავი.

ზ. ნორაკიძემ სახელმწიფო თეატრის სცენაზე დადგა პ. სამსონიძის „სალტე“, ფ. შილერის „ვერაგობა და სიყვარული“, ს. კლდიაშვილის „გმირთა თაობა“, ს. მთვარაძის „სურამის ციხე“, ს. ქორაიანის „ბრმა მუსიკოსი“, კ. კაკაბაძის „ყვარყვარი თუთაბერი“ და გ. მდიენის „სამშობლო“.

1939 წელს ჩატარდა რაიონული თეატრების შემოწმება, რომლის შედეგად რეჟისორმა ვ. ნიჩიძემ ეურნალ საბჭოთა ხელოვნებაში (1939 წ., № 7—8) გამოაქვეყნა წერილი, სადაც აღნიშნა: „ბევრ რაიონულ თეატრში არიან ადგილობრივი ძალები, რომლებზედაც შეიძლება ითქვას, რომ ისინი თავისუფლად გამოდგებიან სერიოზულ და პასუხსაგებ როლებში ჩვენს დიდ, ავადმჯობრ თეატრებში“. და შემდეგ ასახელებს ლაგოდების თეატრიდან მარგო გოგოსაშვილს, ვალერიან ნუცუბიძეს, შოთა ჩუთლაშვილს და ვახტანგ შალიკაშვილს.

1940 წელს აქ მუშაობას იწყებს რეჟისორი რ. ქართველიშვილი. იმავე სეზონში იგი დგამს ა. ცაგარლის „ხანუმას“. ხანუმას როლში გამოდის ამ როლის ცნობილი შემსრულებელი მაკა

ქართველიშვილი, რომელიც თბილისიდან მიიწვიეს.

რ. ქართველიშვილი დგამს აგრეთვე ა. ცაგარლის „ციმბირელს“ და ს. გვედენაშვილის „მსხვერპლს“.

დაიწყო დიდი სამამულო ომი, სხვებთან ერთად რ. ქართველიშვილიც ჩაღდა სამშობლოს დამცველთა რიგებში. ომის წლებში თეატრი ლაგოდებში მუშაობას წყვეტს, დასი სოფელ აფენში გადის და იქ აგრძელებს მუშაობას ვ. კაბლელის ხელმძღვანელობით.

თეატრში დამკვიდრდა პიესები სამამულო ომის თემაზე. ვ. კაბლელმა განახლა აგრეთვე ნ. ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავე“ და ფ. შილერის „ვერაგობა და სიყვარული“.

ომი იყო და, ბუნებრივია, დასიდან ბევრი წავიდა ფრონტზე სამშობლოს დასაცავად. მაგრამ ამას შემოქმედებითი მუშაობა არ გაუნელებია, პირიქით. უფრო ხშირად აწყობდნენ გასვლით წარმოდგენებს რაიონის სოფლებში და მის ფარგლებს გარეთ.

1944-45 წლების სეზონში თეატრის რეჟისორი გახდა დავით დემულებეგი. მან განახორციელა გ. ერისთავის „ყვარყვარე ათაბაგი“, ვ. შალიკაშვილის „უნიდაგონი“, შირვანზადეს „პატიოსნებისათვის“.

1945-46 წლებში თეატრს სათავეში ჩაუდგა რესპუბლიკის დამსახურებული მოღვაწე ვ. როსება. ეს იყო მეტად ნიჭიერი ადამიანი, რომელმაც საქართველოს მრავალ თეატრში მნიშვნელოვანი შრომა გასწვია. ლაგოდების თეატრის სცენაზე გ. როსებას რეჟისორობით იდგმება ა. წერეთლის „ბაში აჩუკი“, ვეკუ-ფეშაველას „მოკვეთილი“, ი. მოსაშვილის „სადგურის უფროსი“. „ბაში-აჩუკი“ მონაწილეობდნენ: გ. ქუთათელაძე (ბაში-აჩუკი), ს. თეთრაშვილი (ბაბუ-შაპილი), გ. გოგოსაშვილი (პირიმზისა და პირიმთვარისა), ვ. თანდაშვილი (ფეიქარხანი), ლიზა ხუზაშვილი (ნინო), ე. ზორიანიცი (თიმსალმაკო).

ლაგოდებელებს უბრუნდება ომგადახდილი რ. ქართველიშვილი. ამ პერიოდში განხორციელდა მრავალი საინტერესო დადგმა, მათ შორის ა. არბუზოვის „შეხვედრა“, რომელიც მიეძღვნა ოქტომბრის 31-ე წლისთავს, ა. აღლაძის „ნათელი დღე“, გ. ნახუცრიშვილის „ის დრო წავიდა“, ალ. ფხაიძის „ჩვებივითან“ და სხვ.

თბილისიდან ჩამოსული კომისია ამოწმებს სახელმწიფო თეატრის მუშაობას. დასმა უჩვენა ძმები ტურისა და შეინინის პიესა „ჭიდილი“ (დამდგმელი რეჟ. რ. ქართველიშვილი).

თუ რა შთაბეჭდილება დატოვა სპექტაკლმა, ამას მოგვითხრობს კომისიის წევრების ბ. ვაძიკელისა და შ. კაშმაძის მოხსენებით ბარათი ხელოვნების სამმართველოს უფროსისადმი, სადაც აღნიშნულია: „...სიამოვნებით უნდა აღინიშნოს



სპექტაკლ „ქიდილის“ მაღალმხატვრული დონე-
ს დადგმა საკმაოდ ფეხმოდგმული პროფესიუ-
ლი თეატრის ნამუშევარის შთაბეჭდილებას სტო-
ვებს.

სპექტაკლი ხალხით გაქვილ დარბაზში ჩა-
ტარდა და მაყურებლის ერთსულოვანი მოწონე-
ბა და მქუხარე ტაში დაიმსახურა. დიდი მუშაობა
ჩატარებია რ. ქართელიშვილს. მიუხედავად
იმისა, რომ პიესა რთულია, ხოლო თეატრს მცირ-
რე ტექნიკური საშუალებანი ვაჩნია, რ. ქართე-
ლიშვილს მაინც მტკიცედ შეკრული სპექტაკლი
შექმნია, სადაც თითქმის ყველა მოქმედი პირი
თავის სიმაღლეზე სდგას. გამოირჩეოდნენ ა. ხი-
დეშელი, ბ. ქუთათელაძე რ. ქართელიშვილი,
ვ. ჯალაშვილი, მ. თანდაშვილი“.

1949 წელს სახელმწიფო თეატრი გაუქმდა
და დრამატულმა კოლექტივმა მუშაობა დაიწყო
კულტურის სახლში. დასში გაერთიანდნენ მ. გო-
გოსაშვილი, ე. ზორიანი, ვ. თანდაშვილი,
ი. იავანაშვილი, მ. თანდაშვილი, ს. სარაული,
ო. ზედლაშვილი, ვ. კაბლელი, შ. ჩანიაშვილი,
ი. ნანობაშვილი. დასს სათავეში ჩაუდგა ახალ-
გაზრდა რეჟისორი ნ. დვისაძე.

დასმა მრავალი საინტერესო დადგმა განახორ-
ციელა, მათ შორის ვ. კანდელაკის „მაია წყნე-
თელი“, ი. მისაშვილის „ჩაძირული ქვები“,
ი. ქუაჯავაძის „გუაზის ნამბობი“.

ნ. დვისაძის შემდეგ კოლექტივს წარმატებით
ხელმძღვანელობს ეახტანე თანდაშვილი.

1959 წელს თვითმოქმედ დრამატულ კოლექ-
ტივს მიანიჭეს სახალხო თეატრის სახელწოდება.

პირველი სპექტაკლი, რომლითაც ლაგოდეხე-
ლებმა სახალხო თეატრის სეზონი გახსნეს, იყო
ი. ჩავახიშვილის „ჩრდილი ყვავილზე“ (დამდგმე-
ლი ვ. თანდაშვილი). სპექტაკლმა წარმატება მო-
უტანა თეატრს. ვ. თანდაშვილი ენერგიულად შე-
უდგა მუშაობას, ზედზედ ხორციელდება სპექ-
ტაკლები.

ლაგოდეხელ მაყურებელს არასდროს დავიწყ-
ყდება მის მიერ დადგმული ი. ქუაჯავაძის „კა-
ცია- ადამიანი“. სადაც თანდაშვილმა ჩინებულად
შეასრულა ლუარსაბ თათქარიძის როლი, წარმა-
ტებით დაიდგა აგრეთვე გ. ბერძენიშვილას
„გზაჯვარედინზე“.

1967 წელს საქართველოს სახალხო თეატრებს
დათვალისწინებულს ლაგოდეხის თეატრი თბილი-
სელ მაყურებელთა წინაშე წარსდგა. აქამებდა
რა სახალხო თეატრების გამოსვლებს თბილისელ
მაყურებელთა წინაშე, ეურნალი „საბჭოთა ხე-
ლოვნება“ წერდა:

„...თბილისელი მაყურებლის ქება დაიმსახურა
ლაგოდეხის სახალხო თეატრმა. ეს ნიჭიერი
ლექტივი თავისი უშუალო და გულწრფელი
სპექტაკლებით ყოველთვის ხიზლავს დედაქალა-
ქის მაყურებელს. თეატრს დათვალისწინებულ
შეურჩევია ახალგაზრდა დრამატურგის ა. სამსო-
ნისა პიესა „ჩემი შვილი სიმონი“. ეს უაღრესად
სადღესიო პიესა პროფესიულად და დამაჭერებ-
ლად განასახიერა დამდგმელმა რეჟისორმა
ვ. თანდაშვილმა. საინტერესო იყო მხატვრების
რ. სანაძისა და ა. დუნდუგოვის მხატვრული გა-
ფორმება. სპექტაკლში საინტერესო სახეები შე-
ქმნეს მსახიობებმა მ. თანდაშვილმა, ე. ზორიან-
ცმა, ვ. თანდაშვილმა. რთული იყო მხიარული და
თავქარიანი სიმონის სცენური სახის ხორცშეს-
ხმა. იგი მშვენივრად განასახიერა ახალგაზრდა
ნიჭიერმა მსახიობმა ვ. ჯიბლაძემ“.

საკუვირო ფესტივალის ეჟერიმ ამ პიესას
პირველი ხარისხის დიპლომი მიაკუთვნა. ლაგო-
დეხელთა თეატრის შემოქმედებით ისტორიაში
სხედასხვა დროს მნიშვნელოვანი წვლილი შეი-
ტანეს მხატვრებმა ლ. ივითხანოვმა, დ. სიღამო-
ნიძემ, ვ. ბაქრაძემ, ლ. ბაზლაძემ და ან. დუნდუ-
გოვმა, რომელიც დღესაც დაუღალავად ემსახუ-
რება საყვარელ თეატრს.

ლაგოდეხელთა თეატრი უყვართ და ყოველ-
თვის მოუთმენლად მოელანი მათ ჩასვლას ზაქა-
თლასა თუ ნუხაში, კახსა თუ ჭავჭავაძის, აგ-
დასა და მინგეჩაურში, სადაც თეატრის კოლექ-
ტივი წელიწადში რამდენიმეჯერ აწყობს გა-
ტროლებს.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი
მიძღვნილ სახალხო თეატრების დათვალისწინებ-
ზე ლაგოდეხის თეატრმა წარადგინა ც. სოლო-
დარის კომედია „ერთი დღე აგარაკზე“. სპექ-
ტაკლი დადგა საკუვირო პრემიის ლაურეატმა
მ. თანდაშვილმა, მხატვრულად გააფორმა ა. დუნ-
დუგოვმა. პიესას კარგად გაართვა თავი თეატრის
კოლექტივმა. ყურადღებას იპყრობს მთავარი
როლის შემსრულებელი მ. თანდაშვილი (გრამი-
ტონი), საინტერესო სახეები შექმნეს ო. ზედ-
ლაშვილმა (კამიტონი), მ. გოგოსაშვილმა (მილი-
ცა), ვ. კიკლაშვილმა (ჩხოლარია). სპექტაკლის
საერთო წარმატებას ხელი შეუწყვეს მსახიობებ-
მა ლ. ლურსმანაშვილმა (მერი), ც. თურმანიძემ
(ნათელა), ლ. აბდუშელიშვილმა (თამარი), ქ. შა-
ხაშვილმა (დაფინო), გ. აფციაურმა (სემიონიძე).
სახალხო თეატრის სპექტაკლებმა ერთხელ კიდევ
დაგვარწმუნა, რომ ლაგოდეხელებს თეატრი უყ-
ვართ და გულსხმიერად ეცილებიან მას.

პოეზი იოსებ ლავითაშვილი და ქართული თეატრი ვივი ჯიჯიშვილი

ცნობილი მუშა მგოსანი იოსებ ლავითაშვილი, როგორც მისი ლექსებიდან, პირადი წერილებიდან და ქართულ მოღვაწეთა მოგონებებიდან ჩანს, თეატრთან დიდად დაახლოებული ყოფილა.

ზ. ჭიჭინაძის ცნობით ის ერთხანს ბანკისეულ თეატრშიც მუშაობდა დეკორატორად, ხოლო შემდეგ ფარდის ამწე-დამწვედ. ს. მგალობლიშვილი იგონებს: „პოეტი იოსებ ლავითაშვილი გვეხმარებოდა დეკორაციების მოწყობაში, საზოგადოდ სცენისათვის დაუფასებელი იყო“.

როგორც ი. ლავითაშვილის პირადი წერილებიდან ირკვევა, მთელ მის საარსებო საშუალებას თეატრიდან მიღებული შემოსავალი შეადგენდა. ნატო გაბუნიას და ს. მგალობლიშვილის ინიციატივით გორელმა სცენისმოყვარეებმა წარმოდგენაც კი გამართეს ი. ლავითაშვილის სასარგებლოდ და მთელი შემოსავალი მას გადასცეს.

ფარდის ამწეად მუშაობისას თითო წარმოდგენაში ორ მანეთს აძლევდნენ. წარმოდგენები იშვიათად იმართებოდა, იოსებიც ხელმოკლედ ცხოვრობდა. ნათესავისადმი მიწერილ წერილში იგი წერს: „ზაფხულია და თეატრს ვერა თამაშობენ სიტყვების გამო“.

გორში სიძისადმი გაგზავნილ ერთ წერილში ვკითხულობთ: „მანდდან ჩამოვედი თუ არა, იმ დამეს იყო თეატრი, მის შემდეგ კი არა ყოფილა, ქართული თამაშობა ღვინობისთვის დაიწყო. მანამდის თუ რუსული ან სომხური თამაშობა არ იქნება, ცუდათ არის ჩემი საქმე, ფულები შემომაკლდება ძალიან“.

აქედან გამომდინარე, შემთხვევითი არაა, რომ ი. ლავითაშვილის ყველაზე პოპულარული ფსევდონიმი იყო „თეატრის მუშა“. ამ ფსევდონიმით ბეჭდავდა იგი თავის ლექსებს ვასო აბაშიძის ვახუთ „თეატრში“.

ქართული თეატრისადმი უზომო სიყვარული პოეტმა თავის პოეზიაშიც გამოხატა. თეატრს საგანგებოდ უძღვნა მესტიური ლექსი „თეატრის მოთამაშეებს“, აგრეთვე დაწერა ცალკეული ლექსები იმ დროის სცენის გამოჩენილ მოღვაწეებზე.

ქართველი მსახიობებიდან ი. ლავითაშვილი ყველაზე მეტად აფასებს ნატო გაბუნიას, რომელსაც ხუთი ლექსი მიუძღვნა, ლექსში „თეატ-

რის მოთამაშეებს“ ნ. გაბუნიას ახასიათებს. როგორც ნიჭიერ მსახიობს, საუკეთესო მომღერალს, „გაკაბასებული, ქვრივი მაქანკლის“ უბადლო სახის შემქმნელს და საოცნებო ქალს:

მომღერალია გაბუნია
კარგად მღერის ისაო;
როლითა სცინებს მაქანკალს,
გაკაბასებულ ქვრივსაო,
ნეტავი იმის საქმრისა,
ვისაც წაშვეება ისაო;
ლხინშია კარგად შეაკცევს,
ეტყვის სიმღერას ტკიბილსაო,
ქირსა გაუყოფს შუაზედ,
გაუზრდის ქართველს შვილსაო.
ქალსა გაუზრდის მომღერალს,
როგორც თვით გახლავს ისაო...

1881 წელს დაწერა ლექსი „თხოვნა“. ეს ლექსიც ნატო გაბუნიას მიუძღვნა. ლექსში ღუბაძის ცხოვრებით გამწარებული პოეტის კვენსა გაისმის, იგი ემუდარება მსახიობს დაეხმაროს ლექსების გამოცემაში. ლექსი აკროსტიხის ფორმით არის დაწერილი და იკითხება — „ნატო გაბუნია“.

ნატო მერაბის ასულო, ყური დამიგდეო:
არ გამირისხდ გლეხის შვილს, თუ ძმად
მიგაჩნდეო!
ტკივილები მაქვს გულისა, ძაღვის,

გამყურნო,
ოცი მანეთით მომარჩენ, თუ რომ მიბოძეო,
გლეხის შვილს რომ ლექსებს მოხოვდი,

აწ დავასრულებო,
ახლა ვთხოვ დანაპირებსა, აბა მიბოძეო,
ბეჭდვას ვაპირებ, ლექსები უნდა გამოვსცეო,
უნდა საჩუქრად მოგიძღვნა, რომ ძმად

მიმიდეო,
ნუ ფიქრობ მუქთად მინდოდეც, მხოლოდ
მასხსნეო,

იმედო გქონდეც, ვით ძმისგან, სიტყვას არ
გავტეხო,

ახლა შენ იცი რას მეტყვი, მე დავასრულებო,
ვინძლო მალე მაცოდინო, ჩემო მოყვარეო.

ლექსში „ჩემს დას, მეგობარს“ ი. ლავითაშვილი კვლავ თავის გულისტკივილებს უმხელს ნატოს. ნატო დასავით უყვარს, ყველაზე მახლობელ ადამიანად თვლის და მხოლოდ მას უმხელს თავის წუხილსა და გაჭირვებას. ნატოს ნიქს თა-

ყვანს სცემს, მიუხედავად იმისა, რომ მსახიობი პოეტზე ცხრა წლით უმცროსი იყო, მას „დიდს“ უწოდებს, — „შენ დიდი ხარ მე პატარა“.

ი. დავითაშვილს ნატოსადმი მიძღვნილ ლექსში ადამიანის ბედი აწუხებს, ადამიანისა, რომელიც შავ ბედზე გაჩენილა და სამღერალიც სატირლად გადაქცევიდა.

... შენ დიდი ხარ, მე პატარა
შეუქნივარ ბედისწერას;

ვმადლობ ღმერთსა, თუ მიხვდები
ჩემ დაჩაგრულ გულსიძგერას!
ენა თუმც მაქვს, მაგრამ რა ვსთქვა,
ჩრდილოს ქარი პირში მბერავს,
ვერც მტერსა და ვერც მოყვარვს,
ვერ ვუბედავ, დაო. ვერას.
სამღერალიც მეტირება,
დახე ჩემ შავ ბედისწერას!

მაგრამ გაჭირვება და ავბედითი დრო პოეტს სასოწარკვეთილებაში ვერ აგდებს, მომავალზე გულს არ იტებს, ხვალისდღელ დღეს იმედით შეჰყურებს:

მაგრამ, დაო, დროს მოველი,
შეგვერთებს ძმურად ყველას,
და თავიდან მოგავაშობებს
უქმულაპია სვავს და ძერას.

ნატო გაბუნიასადმი მიძღვნილია აგრეთვე ლექსი „სადღეგრძელო“. ამ ლექსში ი. დავითაშვილი აღიბებს ნატოს და მშვენიერი ხმის მქონე მომღერალს უწოდებს. პოეტის აზრით, მსახიობი ხალხის მსახურია, მისი ზრახვების გამომსახველი. იგი მოვალეა თავისი ლამაზი ხმითა და ჩონგურით სამშობლო და ხალხი გაამხნევოსო. ი. დავითაშვილი ხედავდა, რომ მშრომელი ხალხი იღვიძებდა და ცხოვრების განახლება გარდუვალი იყო, მხოლოდ ამის რწმენა ათქმევინებდა:

მაგ შენი ხმით გაამხნევ
დაჩაგრული ჩვენი ერი,
უთხარ, გმირო, ნუ შეშინდი,
დრო მოვიდის მშვენიერი.

1886 წელს ი. დავითაშვილმა დაწერა ლექსი „ვისო აბაშიძეს“. ლექსში ვასო აბაშიძე გამოყვანილია თეატრის მნათობად. აქვე ეხება მსახიობის მოვალეობას და აღნიშნავს, რომ მსახიობი სცენაზე ცხოვრების ავ-კარგის გამომახტველი უნდა იყოს, ხალხს უნდა ასწავლიდეს თუ როგორ დაიხსნას თავი გაჭირვებიდან, უნდა ეწეოდეს შრომისა და სწავლა-განათლების პროპაგანდას.

ღმერთმა ქნას ჩვენში თეატრებს
მაგრად გაედგათ ძირია,
ჰყვანდეთ თქვენგვარი ერთგული,
არ აარიდონ პირია.
ავ-კარგის გამოსახატად,
იცოცხლეთ ქვეყნის პირსაო,

განაგრძეთ თქვენი ზელობა მნათობო თეატრისაო.

ზემოთ ნახსენები ლექსი „თეატრის მოთამაშეებს“ პოეტმა დაწერა 1880 წლის ოქტომბერში, ქართული თეატრის აღდგენის ზუსტად ერთი წლისთავზე. ამ ლექსის ირგვლივ თითონ ი. დავითაშვილი გვიამბობს, რომ ნატო გაბუნიამ მოხოვა, მათზედაც დამეწერა რამე, მეჩვენებინა ჩემი შეხედულებით ვინ როგორი იყო სცენაზედ. მეც რანაირათა ვიცინობდი მათ მოქმედებას ისე გავლექსეთო.

ლექსში იმდროინდელი პროგრესული იდეალებია გამოხატული. პოეტს სწორი წარმოდგენა აქვს თეატრის დანიშნულებაზე, იგი ამაყობს მაღალი მოქალაქეობრივი სულისკეთებით გამსჭვალულია ქართველი მსახიობებით, რომლებიც მაყურებელს მამულის სიყვარულს უნერგავენ:

ამბობთ: გიყვარდეთ სამშობლო,
მოგვლით სიხარულიო,
ბედის ჩარხი წალმა ბრუნავს,
ნუ გაგტყიბათ გულიო!

პოეტი გაზაფხულის მოახლოებას გრძნობდა და ზამთარს არ უშინდებოდა. ასე იწრთობოდა ხალხის გულში მომავლისადმი ურყევი რწმენა, რომლის განმტკიცებისათვის ბრძოლის საქმეში თეატრმა დიდი როლი შეასრულა.

ქართველი ერის დიდი მოჭირბახულე ილია ჭავჭავაძე წერდა: „თეატრი დიდი რამ არის ჩვენი სთანა დაცემული ხალხისათვის. მაგის მეტი ნაციონალობის ნიშანწყალი ჯერჯერობით ჩვენ არა გვაქვს რა, ეგ ერთი ადგილია, საცა ჩვენი ენა საჯაროდ ისმის და საჯაროდ მოქმედებს“ ილიას შეხედულებას ვასესებით იზიარებს ი. დავითაშვილი. მისი აზრით თეატრი ერთი პირველთაგანი უნდა იყოს ენის სიწმინდისათვის ბრძოლაში.

ედღა ენა და ერობა
უთენილო წინაპრისაო,
ვინძლო დიციკათ ეს ორი,
ნუ მოარიდებთ პირსაო.
მუდამ ვიბრძოლოთ, ვისწავლოთ,
მზეც მაშინ მოგვეფენს სხვისაო,
დავხნდეთ და ღიზნი გავსწიოთ,
როცა ავიცდნეთ ჰირსაო.

ამის შემდეგ იწყებს თითოეული მსახიობის დახასიათებას:

როლები აბაშიძისა
მარდის და ჭკვიანისაო
.....
ცოლიც ჰყავს თავის ჭკუისა
ტკბილად საუბრობს იხაო.

ლაკონურად არის დახასიათებული ბარბარე კორინთელის, კოტე ყიფიანის და ნიკოლოზ თომაშვილის ამპლუა:

უმწველ ქალობას თამაშობს
ბარბარე კორინთლისაო,
მიმოხვრა იცის კეკლუცი,
ვით შორცხვი პატარძლისაო.
ყიფიანისა რაღა ვთქვათ,
მოხუცსა სცინებს ისაო,
დრამის როლებში პირველი
მნათობი თეატრისაო.
მოურაობა, გლეხობა
უხდება თამაშვილსაო,
მთიულობაც კარგი იცის
მუდამ მიეცით ისაო.

აქვ: ცაგარელი კინტოს როლების საუკეთესო
შემსრულებელია და კარგი კომედიების ავტორი;
კინტოებს სცინებს ლამაზად
ავსკენტი ცაგარელიო,
კარგებს სწერს კომედიებსა,
ღმერთო მოუწეე ხელიო.

ლექსში დახასიათებული ჰყავს აქ: წერეთელი
და ალ. ყაზბეგი, აქაქის მიმართ ასე ამბობს:
ის არის ჩემი ოსტატი,
მას უნდა ვუძღვნა საღამო,
მისი ლექსების კითხვითა,
მეც ხელთ ავიღე კალამი!

ალ. ყაზბეგზე ამბობს:
„ელგუჯა“, კიდეც, „არსენა“
კარგია მოხვეისაო;
ეტყობა ნიჭიერია,
სხვასაც დავვიწერს ისაო.

ლექსს დავითავსილი შემდეგი მოწოდებით
ამთავრებს:

ამას დამჭერდით, აწ ქმარა
მოქმედნო თეატრისაო,
ფხიზლათ იყავით ყოველთვის,
ნუ მიეცემით ძილსაო.

კოტე ყიფიანისადმი მიძღვნილი აქვს უსათა-
ურო ლექსი. ლექსში განსაცვიფრებელი სიტო-
ბით და უღიდესი სიყვარულით არის დახატული
კოტე ყიფიანი, როგორც „ყეთილი მამის“, დიდი
ქართველი საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ყიფი-
ანის ღირსეული მემკვიდრე:

ვიღებ კალამსა,
გიძღვნი საღამოსა
კეთილ მამის შვილს კონსტანტინესა.
ვაქებ თქვენს ნიქსა,
კეთილ ნაბიჯსა,
ქართველობის წინ დამსახურებულს,
ამ ჩვენ ბნელ მხარეს,
ვითა მზე მთვარეს,
უნათლებ გულსა შეწუხებულსა!
ზოგჯერ აციენებ,
ზოგჯერ ატირებ
შენის ნიჭითა მოძმეს მწუხარეს,
დღეს ეს ძმებიცა

და თვით დებიცა
არ დაივიწყებს თქვენსა სახელსა.

ი. დავითაშვილმა დიდი ყურადღება გამოიჩინა
მომე რუსი ხალხის თეატრალური კულტურის
მიმართაც. 1886 წელს, როცა თბილისს საგას-
ტროლოდ ეწვია პეტერბურგის საიმპერატორო
თეატრის დასი ვლადიმერ ჩარსკის ხელმძღვანე-
ლობით, რომელმაც წარმოადგინა „მასკარადი“,
„ოტელიო“, „ჰამლეტი“ და სხვ. ქართულმა თე-
ატრალურმა საზოგადოებამ დასს დიდი ეახში
მოუწყო, რომელზედაც, როგორც გაზეთი „იფე-
რია“ იუწყება, ქართული მწერლობის წარმომად-
გენლებიც დაესწრენ. უნდა ვიფიქროთ, რომ აქ
ყოფი ი. დავითაშვილიც, რომელმაც ჩარსკის მი-
უძღვნა ლექსი „ნიჭიერ არისტოს“, ამ ლექსში
პოეტი უმღერის რუსი და ქართველი ხალხების
შეგობრობას.

ძმანო, არ დავივიწყეთ,
გახსოვდეთ ქართველთა ვერი,
და კვლავაც გაგვაგონეთ
თქვენი ხმა მშვენიერი.
თქვენი ქება-დიდება
ვერ გამოსთქვას ენამა,
ერთობ საღამო გიძღვნა
ქართველთა დასმა ყველამა.
მზად ვართ ფეხქვეშ დავგიოთ
ყვავილთა თაიგული,
და მასთანვე მოგიძღვნათ
ჩვენი სული და გული.

ი. დავითაშვილი ინტერესით შეხვდა ქართულ
სცენაზე „მეფე ლირის“ დადგმას. პრემიერა
შედგა 1883 წლის 16 თებერვალს კოტე ყიფიანის
სახეწიფისოდ. ქართველი საზოგადოებრიობა დი-
დი ინტერესით ელოდა მომავალ სპექტაკლს. ეს
მღელვარება ვახ. „დროებაში“ (1883 წ. № 33)
გაიზიარა: ენახით როგორ ჩაივლის ხელ „მეფე
ლირი“-ო. ი. დავითაშვილი, როგორც ჩანს, სპექ-
ტაკლს დასწრებია და თავისი შთაბეჭდილებანი
გორში, მათე და მარიამ კერესელიძეებისათვის
მიუწერია. ირვეყა, რომ ი. დავითაშვილს სპექ-
ტაკლი არ მოსწონებია. ცუდათ უთამაშნიათ
ვ. აბაშიძეს, მის მეუღლეს მ. საფაროვას და ელ.
მესხიშვილს.

კერესელიძე წერს: „მამო იოსებ! ეს არის მი-
ვიღე შენი წერილი ჩემთან და მაშოსთან ...
ვწუხვარ, რომ „მეფე ლირი“ ვერ გასულა კარ-
გად. იმიტომ უფრო, რომ მეგონა აბაშიძე თავის
მეუღლით და მესხიევი — გამოიჩენდნენ თავს“.

რამდენიმე დღის შემდეგ გაზეთებშიც („დრო-
ება“ და „შრომა“) აღნიშნეს წარმოდგენის მარ-
ცხი. ი. დავითაშვილის აზრსა და გემოვნებას,
ეტყობა, დიდ ანგარიშს უწევდნენ. მის სახელზე
გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში ზ. ჭიჭინაძე
სთხოვს: „აბა, ცერცვაძის პიესა წაიკითხე, ნახე
როგორია“-ო.



ბენიკაშის 90 წელი

ანდრეი საფონოვი

ლენინგრადის ფილარმონიის სიმფონიური
ორკესტრის არტისტი

1942 წლის 9 აგვისტო... ლენინგრადის ფილარმონიას არასოდეს უნახავს ამდენი ხალხი. ბევრი ძლივს მოლასლასდა ფილარმონიაში და ახლა უღონოდ მიეყრდნო ძველებური სავარძლების საზურგეებს. მაყურებელთა უმეტესობას მხედრული და მეზღვაურული ფორმა აცვია, დარბაზში არიან ქალაქის პარტიული კომიტეტის ხელმძღვანელები, ფრონტის სამხედრო საბჭოსა და საპაე-რო თავდაცვის შტაბის წევრები.

სცენაზე ოც კაცს ჯარისკაცის გამოხეხებული ფორმა აცვია, სამოცამდე ადამიანი კი საკმაოდ ჭრელად არის ჩაცმული. დირიჟორის პულტთან დგას მანალი. გამზდარი ფრაკიანი და მანჟეტია-ნი კაცი. ეს კარლ ილიას ძე ელიასბერგია. მისი ფრაკი და მანჟეტი ახლა იმდენად სადღესასწაულოდ ჩანს, რომ ბევრს ცრემლი მოადგა თვალებზე.

ჟღერს დიმიტრი შესტაკოვიჩის მეშვიდე სიმფონიის პირველი აკორდები.

სიმფონიის შესრულებას კანონადაც ახლდა თან. მაშინ გვეგონა რომ ფაშისტები ისროდნენ, მაგრამ გვიან გავიგეთ, სროლა თურმე ჩვენი მხრიდან იყო. ლენინგრადის ფრონტის სარდლის ლ. ა. გოვოროვის ბრძანებით, ფრონტის ყოველმა ბატარეამ ცეცხლი დაუშინა ფაშისტთა კომუნიკაციებს. ერთდროულად დასცხეს მებრძოლებმაც და მუსიკოსებმაც.

ეს იყო ჭეშმარიტი ზეიმის დღე, ტრაგიკული და ბრწყინვალე ქმნილებისა, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში თვით ცხოვრებამ ჩაწერა.

ამის შემდეგ ლენინგრადის ფილარმონიის დიდ დარბაზში არაერთხელ შესრულებულა მეშვიდე სიმფონია. ამ კონცერტების დროს ზოგიერთი მსმენელის

ხელში შეამჩნევდით სათუთად შემონახული პირველი კონცერტის უძვირფასეს პროგრამებს. აკერ უკვე რამდენიმე წელიწადია, ყოველწლიურად, ზუსტად ერთსა და იმავე დღეს, ერთსა და იმავე საათზე ჟღერს ლენინგრადის სიმამაცის უკვდავი მუსიკა. და მე, მუსიკოსს, სიმფონიის ერთ-ერთ პირველ შემსრულებელს, მინდა გიამბოთ რაზე მღერიან ვითლინოები.

ჟღერს პირველი ნაწილის მდორე, პოეტური მუსიკა...

ეს იყო 1941 წლის 22 ივნისს. ჩვენ ჩვეულებისამებრ მოვედით რეპეტიციაზე. მშვენიერი დღე იდგა. განწყობილბაყ კარგი გვექონდა. იმ დღეს პირველად შეხვდით ჩინებულ მუსიკოსს კურტ ზანდერლინგს, რომელიც ოცდაათიან წლებში გამოექცა ფაშისტურ გერმანიას. დილის თერთმეტ საათზე დაიწყო ბეთპოვენის პირველი სიმფონიის რეპეტიცია. მელოდიურ მუსიკაში თანდათან იკვეთება მოახლოებული უბედურების მოტივი. აი, ისიც, ვესმით? ჩვენთვის იგი ცხადი გახდა. რეპეტიციის დაწყებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ გამოგვიცხადეს, რომ დღის 12 საათზე იმნიშვნელოვან ცნობებს გადმოსცემენ... და ბევრ ჩვენთაგანს შინ დაბრუნებისას მაგიადაზე დახვდა სამხედრო კომისარიატიდან მოსული პაწია ქალადლი.

მაღეს თავდაცვითი სამუშაოებისათვის მოზილენიზაცია უწყვეს ორკესტრის მთელ შემადგენლობას. ათასობით ლენინგრადელთან ერთად ტანკსაწინააღმდეგო თხრილებს ვთხრიდით ერთ-ერთ სადგურთან.

ავგისტოს ბოლოს ახალი სამუშაო ობიექტი მოგვეცეს, იგი გატჩინასთან ახლოს იყო. რეპეტიციები და კონცერტები არ წყდებოდა, დიახ, არ წყდებოდა! რამდენიმე ხნის შემდეგ პუშკინოდან ლენინგრადში გადავედით. ცოტა მოგვიანებით გამოირკვა, რომ ჩვენმა მატარებელმა

წერილი დაწერილია ჩვენი ჟურნალისათვის.

გამოასწრო. რამდენიმე საათში გერმანელებმა გზა გადაუჭრეს მგზავრებს.

სექტემბრის ოცისათვის პიტლერმა გამოაცხადა ჩემმა ჯარებმა ლენინის ქალაქი დაიკავესო. ამ განცხადებას ჩვენმა სიმფონიურმა ორკესტრმა ჩაიკოვსკის მეხუთე სიმფონიის შესრულებით უპასუხა. კონცერტის ტრანსლირება ინგლისის რადიოტალღის მეხეხებით მთელ ქვეყნებებს მოედო.

ამ დღიდან კონცერტები რეგულარულად ეწყობოდა. მსოფლიო სუნთქვაშეკრული უსმენდა ლენინგრადს...

1941 წლის 27 დეკემბრის შემდეგ ჩვენ უკვე აღარ შეგვეძლო მთელი ძალეებით ჩაგვეტარებინა კონცერტები. ბევრნი წავიდნენ... მხოლოდ კვარტეტი მუშაობდა რეგულარულად... მოხდა ისე, რომ ამ ძნელბედობის ყამს ვოლგის პირას, კუიბიშევიში შოსტაკოვიჩმა მეშვიდე სიმფონია დაამთავრა. პარტიტურის პირველ

გვერდზე ეწერა: „ფაშიზმთან ჩვენს ბრძოლას, მტერზე ჩვენს მომავალ გამარჯვებას, ჩემს მშობლიურ ქალაქ ლენინგრადს ვუძღვნი ჩემს მე-7 სიმფონიას“.

1942 წლის მარტში ყაზარმულ რეჟიმზე მყოფი რამდენიმე მუსიკოსი გამოგვიძახეს და წინადადება მოგვცეს მოგვენახა ჩვენი მეგობრები, რომლებსაც სიარული მაინც შეეძლოთ. ოცდაშვიდი კაცი ძლივს შეგვროვდით. დანარჩენი პირველივე ბლოკადის ზამთარს წააყვანა თან...

აი, ამ წუთებში ჟღერს ფაგოტის სოლო, უსაზღვრო ნაღველის მუსიკა, რომელსაც მუსიკათმცოდნეებმა „ფაშიზმთან ბრძოლაში დაცემულთა რეკვიები“ დაარქვეს.

მეორე ნაწილში თქვენ გაიგონებთ რუსეთისა და მისი ბუნების, მე ვიტყვოდი, რუსული სულის საოცარი სიწმინდის თემას.

და აი, ეს სული ცხოვრებაში — მარ-

ჩინი იხავდნენ სამოგლოს

„მნაბრალური მოამბის“ ვასული წლის პირველ ნომერში გამოქვეყნდა ნახი ელიაშვილის წერილი „სამართლო ომის წლებში“, სადაც მოხსენებული იყო საქართველოს თეატრებიდან სამამულო ომში მონაწილე მსახიობთა გვარები. იმის გამო, რომ აღნიშნულ წერილში მოხსენებული გვარები სრული არ იყო, ჩვენი რედაქცია ბეჭდავს გამოხმაურებებს და სამამულო ომში მონაწილე თეატრის მოღვაწეთა სიას თანდათან ავსებს. ამჟამად გთავაზობთ სამამულო ომში მონაწილე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის მუშაეების სიას. სია ამოდებულია რესპ. დამს. არტისტის, განსვენებული შალვა ჭავჭავაძის სტატიიდან „მარჯანიშვილის თეატრი დიდი სამამულო ომის პერიოდში ფრონტზე და ზურგში“, რომელიც დაცულია საქართველოს სახელმწიფო თეატრალური მუზეუმის არქივში და მოგეაწოდა ამ მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელმა სულიკო ხეტეშვილმა.

ნ. ელიაშვილის სტატიაში მოხსენებულ მუშაეების გარდა მარჯანიშვილის თეატრიდან სამამულო ომში მონაწილეობდნენ:

- აბაშიძე სიმონ გრიგოლის ძე,
- აბულაძე სერგო ვასილის ძე,
- ავალიანი ივანე ვასილის ძე,
- ბარნაბიშვილი არჩილ ალექსის ძე,
- ბოლქვაძე ნიკოლოზ გერმანეს ძე,

- გელაშვილი ვლადიმერ ალექსის ძე,
- დელიაშვილი სიმონ მორდეხის ძე,
- დოლივეი არშაკ გრიგოლის ძე,
- ელიაშვილი დავით ალექსანდრეს ძე,
- ეშგვარაძე ალექსანდრე მიხეილის ძე,
- ვაშჩოკინი ლევ თედორეს ძე,
- ვეფხვაძე ალექსანდრე ივანეს ძე,
- კალანაძე გიორგი ივანეს ძე,
- კაციაძე ბიძინა ივანეს ძე,
- კიციძე გიორგი მაკარის ძე,
- კერვალიშვილი ვასილ არტემის ძე,
- კულუაშვილი დავით ნიკოლოზის ძე,
- ლარიონი კონსტანტინე ანდრიახ ძე,
- ლოლაშვილი მიხეილ ბაგრატიის ძე,
- ლომონაძე გივი ბარნაბის ძე,
- მამულაიშვილი მარტი გიორგის ძე,
- მაცაბერძე დავით სერგოს ძე,
- მუქელიშვილი მიხეილ მიხეილის ძე,
- ნიკოლაიშვილი ალექსანდრე გიორგის ძე,
- პაპავაძე დავით გრიგოლის ძე,
- პოპიაშვილი გიორგი მიხეილის ძე,
- ტურიევი ივანე დანიელის ძე,
- ტყეშელაშვილი ზორის დიმიტრის ძე,
- ქვლივიძე გაბრიელ დიმიტრის ძე,
- ყარდაშვიანი არმენაკ იოსების ძე,
- შაქარაშვილი ლადო გაბრიელის ძე,
- ჩოფიკინი არამ გარეგინის ძე,
- ჭიჭუარაძე გიორგი სარდიონის ძე.

ხილებით გადაგვყავდა ავადმყოფები, ვუვლიდით მათ, სტაციონარს ვაგებდით იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც შიმშილის საშინელმა ავადმყოფობამ — დისტროფიამ მოჰკვება მუხლი.

ახლა სალამო ხანია და ლენინგრადის მ. გორკის სახელობის დიდ დრამატულ თეატრში სპექტაკლი მიდის. ახლანდელმა მაყურებელმა, ალბათ, არც კი იცის, რომ ორმოცდაორი წლის მარტში აქ ჩვენი სტაციონარი იყო. ბევრმა არც კი იცის, რომ მეორე სართულზე თითო-თითო აგური აგვქონდა. თითო-თითო, რადგან ორის ატანის ძალა აღარ გვქონდა... სწორედ ამ დროს, ორმოცდაორი წლის მარტში გერმანიის ხელმძღვანელობა მოსაწვევე ბარათებს არიგებდა ლენინგრადის სასტუმრო „ასტორიის“ რესტორანში, ბანკეტზე ეპატიყებოდა ხალხს. ამას, ისევე როგორც სექტემბერში, ჩვენი სიმფონიური კონცერტი ვუპასუხეთ. მუსიკოსები სცენაზე დაბამბული „ტელეგრეკებით“ იდგნენ ასეთივე შარვლები გვეცვა. ამ თბილებითვე გვეძინა, რათა ჩვენი გადამრჩენი სითბო შეგვენარჩუნებინა. მალე ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობები შემოგვიერთდნენ ლენინგრადის კომედიის თეატრის შენობაში „ეგენი ონგინს“, „პიკის ქალსა“ და „ტრავიატას“ თამაშობდნენ.

მაისში ჩვენთან მოვიდა მეშიდე სიმფონია. მოვიდა? არა, ეს არ არის სწორი — იგი ფრონტის ხაზის გავლით ჩამოიტანეს მფრინავებმა. გაწამებული და

ძალაგამოლეული მუსიკოსები თავად ანთ პარტიას იწერდნენ. გმირობა როგორ არ შევარქვა ჩემი მეგობრის გრიგოლ ფესტკოს შრომას, რომელმაც უმოკლეს ვადაში გადაწერა ყველა სასულე ინსტრუმენტის პარტია. განუწყვეტელი რეპეტიციები გვქონდა — დილას და საღამოს, საპაერო განგაშისას თუ ვწყვეტდით მუშაობას. მაშინ ჩვენ ჩვენს ადგილებზე გავრბოდით და დროებით მეკავშირენი, მეხანძრენი თუ სანიტრები ვხდებოდით. მე და მევიოლინე მიხეილ შესტაკოვი ნიკოლომორსკის ტაძრის თაღს ვნიღბავდით.

და ბოლოს შესდგა პრემიერაც. ეს იყო ლენინგრადელთა კალმით აუწერელი მღელვარებისა და დღესასწაულის ოთხმოცდაათი წუთი, მუსიკის 90 წუთი, რომლის აკომპანიმენტიც ლენინგრადის ფრონტის საარტილერიო კანონადა იყო. ამას კიდევ ოთხი შესრულება მოჰყვა. ამ ოთხ შესრულებაზე დღეს ტყუილბერალოდ არ ლაპარაკობენ. ეს იყო დღესასწაული, რომელიც იმ დღიდან მუდამ თან მდევს.

მეშიდე სიმფონიის უკანასკნელი აკორდები. ფინალი. ორკესტრის ყოველი ინსტრუმენტის დო მაჟორული ჟღერადობა ზუსტად გადმოგვცემს ბედნიერებისა და გამარჯვების განწყობილებას.

შეხედეთ მაყურებელს, როცა ასეთ ადამიანებს უყურებთ სიტყვები ზედმეტია!



მელიქო მრევლიშვილი

ლამარა ღონღაძე

სასცენო მეტყველების სათანადო შესწავლა-დაუფლებას, მართალია, ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდნენ ქართველი საზოგადო თუ თეატრის მოღვაწეები — ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, გ. ერისთავი, ვ. აბაშიძე და სხვ. მაგრამ ქართული თეატრის ისტორიაში განსაკუთრებული როლის შესრულება მაინც ამ დაფიქრებულ, თეორტიკულ და ნათელთვალეობიან ქალს ხვდა წილად. მან შეუქმნა ქართულ სასცენო მეტყველებას მყარი მეცნიერული საფუძველი.

მალიკო ნიკოლოზის ასული მრევლიშვილი, ლენინგრადის ქალთა უმაღლესი კურსების მოსწავლე, შემდეგ კი უნივერსიტეტის სტუდენტი, უბრალო და უპრეტენზიო სურვილმა — გამოსულიყო მსახიობი, 1922 წელს დაარსებულ დრამატულ სტუდიაში მიიყვანა, აქ იგი ნიჭიერ მოსწავლედ ითვლებოდა. გატაცებით და გულმოდგინედ ეუფლებოდა სასცენო ხელოვნებას. სტუდიის დამთავრების შემდეგ, როგორც მსახიობი, ჯერ რუსთაველის სახ. თეატრში მუშაობდა, შემდეგ კი მარჯანიშვილის სახელობის თეატრში.

ცხოვრებაში ადამიანისათვის ყველაზე მთავარ სიძნელეს თავისი ნამდვილი მოწოდების პოვნა წარმოადგენს. იმის მიგნება თუ სად შეუძლია ყველაზე მეტი გააკეთოს, ყველაზე მეტი სარგებლობა მოიტანოს, დაძაბულ ძიებას მოითხოვს, იგი მიიღწევა დიდი ფიქრისა და განცდის შედეგად. შესაძლებლობის კრიტიკული აწონ-დაწონით. ასე იყო ეს მ. მრევლიშვილისათვისაც. მაგრამ, როცა მისი მოწოდება ნათლად გამოიკვეთა, დამწყები მსახიობის წინაშე სიტყვის

წარმოქმნის ტექნიკური საშუალებების დამუშავების, მისი საიდუმლოებისა და მხატვრული კითხვის ხელოვნების დაუფლების ვრცელი და საინტერესო გზა გაღაიშალა.

1926 წელს მალიკო მრევლიშვილი მუშაობას იწყებს აკ. ფალავას თაოსნობით გახსნილ „სასცენო ხელოვნების კურსებზე“ სასცენო მეტყველების პედაგოგად. შემდეგში (1934 წ.) იგი სამუშაოდ რუსთაველის სახ. თეატრის სტუდიაში გადადის, პარალელურად კი კინოსკოლა-სა და საესტრადო სტუდიის მოსწავლეობთან მუშაობს.

ამავე პერიოდში ახალგაზრდა პედაგოგის ცხოვრებაში მეტად სასიამოვნო და სასარგებლო შემთხვევა ხდება. დიდი მსახიობის აკ. ხორავას რეკომენდაციით მას საშუალება ეძლევა გაემგზავროს მოსკოვში ლუწაჩარსკის სახ. თეატრალური ინსტიტუტის პროფესორ ე. თ. სარიჩევასთან პედაგოგიური კვალიფიკაციის ასამაღლებლად. იმ ორი თვის მანძილზე, რომელიც მ. მრევლიშვილმა მოსკოვში გაატარა, ბევრი რამ შეიძინა. იგი სისტემატურად ესწრებოდა მსახიობის ოსტატობის ლექციებს, სამხატვრო თეატრის პექტაკლებს, მხატვრული კითხვის გამოჩენილი ოსტატების — ზაკუშნიაკის, იახონტოვის, კაჩალოვის ლიტერატურულ კონცერტებს.

1939 წელს მ. მრევლიშვილი ახლად დაარსებული რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის მეტყველების კათედრის ხელმძღვანელად ინიშნება.

ამ თანამდებობაზე დღემდე იგი ნაყოფიერ მუშაობას განაგრძობს. დაულაღავ-



მა სამეცნიერო-პედაგოგიურმა მოღვაწეობამ დიდი გამოცდილება დაუტოვა და საშუალება მისცა გაეღრმავებია და გაემდიდრებია ქართული სასცენო მეტყველების სწავლების მეთოდოლოგია. ამ გამოცდილების საფუძველზე მან დაწერა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად სადისერტაციო ნაშრომი „სასცენო მეტყველების ფონეტიკური საფუძვლები“, რომელიც შემდეგ ცალკე წიგნადაც გამოიცა. ამ ნაშრომმა დიდად შეუწყო ხელი სტუდენტთა და ახალგაზრდა მსახიობთა მეტყველების კულტურის ამაღლებას. ამის შემდეგაც მ. მრევლინიშვილი პრაქტიკულ პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად მეცნიერულ-თეორიულ მუშაობასაც აგრძელებს. მან დაწერა ნაშრომი „მხატვრული კითხვის ხელოვნება“, რომელსაც მალე გაცნობა ვართო მკითხველი საზოგადოება. ამ წიგნში ავტორი აშუქებს სასცენო მეტყველების შემოქმედებით პრობლემებს.

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი მალიკო მრევლინიშვილი 38 წელი ემსახურება მსახიობის აღზრდის საქმით საქმეს. არაერთმა ახალგაზრდა თაობამ გაიარა მის ხელში და ახლა, როცა დავწვდებით პედაგოგის სამოცდაათი წლისთავს აღვნიშნავთ, მას შეუძლია იამაყოს იმით, რომ ბევრი მისი ყოფილი მოსწავლე ახლა სასცენო მეტყველების დამსახურებუ-

ლი პედაგოგია, რომელთაგანაც ერთი სადოქტორო დისერტაცია შეაოხს.

წლებს თავისი კვალი ვერ დაუჩნდვიათ მალიკო მრევლინიშვილის ახალგაზრდული სულისათვის. იგი დღესაც ისეთივე ენერგიით, გატაცებით და თავდადებით ემსახურება თავისსავე არჩეულ საქმეს, როგორც ამ ოცდათვრამეტი წლის წინათ, იგი პედაგოგიურ მოღვაწეობაში უდიდეს სიყვარულს აქსოვს, თავის სტუდენტებს არა მხოლოდ პროფესიულ ცოდნას, არამედ საგნის სიყვარულსაც უნერგავს და დაუღალავი შემოქმედებით აწარმოებს სურვილსაც უღვიძებს. იგი ახალგაზრდებს ასწავლის, რომ არასოდეს მიეცნენ თვითდამშვიდებას მოპოვებული წარმატებებით, მუდამ დაუცხრომლად მიისწრაფვოდნენ უკეთესისაკენ. არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ ჩვენ ვიწრო, პირდაპირი დანიშნულების გარდა, რომელიც შემოფარგლულია სასცენო მოღვაწეობით. — არიგებს იგი სტუდენტებს. — ჩვენ ქართული კულტურის საერთო საქმეს ვემსახურებით. და ამიტომ თეატრის გარეთაც, ჩვენი საზოგადოებრივი და კერძო ცხოვრების პირობებში ყოველმხრივ ხელი უნდა შევუწყუთ ჩვენი მშობლიური, ბუნებით კეთილხმოვანი და ინტონაციურად მდიდარი ქართული ბგერითი მეტყველების განვითარებას“.

მ ი ხ ი ლ ს ვ ა ნ ი ძ ე

პ ა ვ ლ ე ხ მ ა ლ ა ძ ე

ლ. მისხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობმა მიხეილ სვანიძემ შემოქმედებითი შრომისა და ცხოვრების მეტად საინტერესო გზა განვლო.

მიხეილ სვანიძე დაიბადა 1900 წელს, 26 მაისს, ამბროლაურის რაიონის სოფელ კაჩეთში, გლეხის ოჯახში. წერა-კითხვა სოფელში შეისწავლა, შემდეგ სწავლა გააგრძელა ქუთაისის რეალურ სასწავლებელში, რომელიც 1920 წელს დაამთავრა. იგი ერთხანს საბჭოთა არმიის რიგებში მსახურობდა. 1922 წლიდან დღემდე კი, თითქმის უცვლელად, ქუთაისის თეატრის მსახიობია. მხოლოდ ოთხი სეზონი გაატარა თელავის (1934-36) და ფოთის (1936-38) თეატრებში. მიხეილ სვანიძე მუდამ აქტიურ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა, მაყვან რეალებში გამოდიოდა და არა ერთი საყურადღებო სცენური სახე შეუქმნია. მათ შორის აღსანიშ-

ნავია გარსევანი, პეტრე სამსონიძის პიესაში „სალტე“, დავითი, გ. ბააზოვის დრამაში „მუნჯები ალაპარაკდნენ“, ნიოფიტე, იონა ვაკელის კომედიაში „აპარკუნე ჭიჭიძელი“, ბონდო, დია ჩიანელის დრამაში „ნაირმალი“, ვანო კეცხოველი, გ. ნახუცრიშვილისა და ბ. გამრეკელის პიესაში „ლადო კეცხოველი“, დიმიტრი გეგელია, ს. კლდიაშვილის პიესაში „გმირთა თაობა“, ვენეციის მთავარი, უ. შექსპირის ტრაგედიაში „ოტელო“, ხიღობანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჯამლეტი, პ. კაკაბაძის კომედიაში „კოლმეურნის ქორწინება“, ძველი ბოლშევიკი, სამოქალაქო ომის მონაწილე შალვა, ვიქტორ გაბესკირიას პიესაში „მათი ამბავი“, ალექსანდრე, ვალერიან შალიკაშვილის პიესაში „უნიდაგონი“, ხუმარა, უ. შექსპირის ტრაგედიაში „მეფე ლირი“, იასონი, ეგ-



ნატე ნინოშვილის „ქრისტიანეში“, ერისთავი, მ. ჯავახიძის „ბუღარაში“, ბესარიონი, ნ. დუმბაძის და გ. ლორთქიფანიძის პიესაში „მე ვხედავ მზეს“, პოლკოვნიკი, ბ. ლავრენიოვის „რდევვაში“, დოლიძე, თ. მამფორიას პიესაში „ტაგურ“, გრაციანო, უ. შექსპირის „ოტელოში“, ნესტორი, კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარში“, მეჩისქვილე, პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერში“, ჯანმრთელობის მინისტრი, ც. სოლოდარის პიესაში „შემთხვევა აგარაკზე“, არსენა მამა პავლე, ს. შანშიაშვილის პიესაში „არსენა ჯორჯიაშვილი“, ჯამლითი, პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინებაში“, ვატილოვ ა. ოსტროვსკის პიესაში „უშოითოვ“ და სხვ.

მ. სვანიძემ შთამბეჭდავი სცენური სახე შექმნა ვაჟა-ფშაველას პიესა „მოკვეთილში“. თეატრმოდლე ვ. ქუთათელაძე რეცენზიაში „ეროვნული სულით შთაგონებული სპექტაკლი“, წერდა:

„უძმათა სიდუხჭირეში გათეთრებულ თემის წინამძღოლს, ბევრი ჭირვარამის მოწმეს და მრავალი ბრძოლის მონაწილეს, ჯერ კიდევ ვაჟაკის სული უღვას. მისი ხმა შემზარავად სკეპს მოლაღაძე ბახას შერისხვისას. ასე წარმოგედგენს დროშოინის მეთაურის — მოხუც ჭუჭუას სახეს მსახ. მ. სვანიძე“.

და მართლაც მ. სვანიძის ხმა ნამდვილად შეეფერებოდა ხეცსური მოხუცის სცენურ სახეს.

სპექტაკლში „ყვარყვარე თუთაბერი“ მ. სვანიძე მეჩისქვილის როლს ასრულებდა. კრიტიკოსი მიხეილ ტუცკია თავის რეცენზიაში წერდა: „მსახიობ მ. სვანიძის მეჩისქვილე კეთილი მოხუცია, რომელიც ეპისის თვალით უყურებს ყვარყვარეს გეგმების განხორციელებას“.

როცა სავსებით ახალგაზრდა რეჟისორი გივა ლორთქიფანიძე სათავეში ჩაუდგა ქუთაისის თეატრს, გადაწყვიტა სცენურად აემუტყველებინა ქართულ ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის, სახელოვანი პროზაიკოსის ლეო ქვიციანიძის შესანიშნავი რომანი „ტარიელ გოლუა“. რეჟისორმა სპექტაკლში ახალგაზრდა მსახიობებთან ერთად გამოიყვანა სცენის ოსტატები. თავიანთ რეცენზიაში ექუტური გოგიაშვილი და ნინოდა გურუშიძე ვაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ მოწონებით აღნიშნავენ მსახიობ მ. სვანიძის გამოსვლას მაზრის უფროსის როლში. ასევე აღმასხურებული მოწონება ზედა მ. სვანიძეს კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარში“, მან ნესტორის დასამახსოვრებელი სახე შექმნა.

ქართული დრამატურგიის გარდა მ. სვანიძეს წარმატება ზედა რუსულიდან თარგმნილ პიესებშიც. მას საპასუხისმგებლო როლები ჰქონდა დაკისრებული ნ. გოგოლის „რევიზორში“, მ. გორკის „შხის შეილებაში“ და „მტრებში“;

პ. მალიარევსკის პიესაში „ქარიშხლის წიგნი“ და სხვა პიესებში. პრესა და მაყურებელი წმინდაველეთის მადლიერების გრძნობით ახსენებდა და აფასებდა ქართული თეატრის ამ ერთ-ერთი მუყაითი, მართალი, პატიოსანი, ერთგული მუშაკის შემოქმედებას.

სამისოდ საკმარისია მოვიტანოთ ორიოდე მაგალითი:

რუთა ბეროძე რეცენზიაში: „რეალისტური სპექტაკლი“ (ნ. გოგოლის „რევიზორი“ მეხნისვილის სახელობის თეატრში, დადგმა დ. ანთაძისა) წერდა:

„მსახიობმა მ. სვანიძემ ახალი აქტიორული ოსტატობა უჩვენა მაყურებელს სასწავლებელთა ზედამხედველ ხლობოვის როლში. მ. სვანიძე მთელი სპექტაკლის მიმდინარეობაში არ შორადება სწორად გააზრებული სახის ჩარჩოებს, გამომეტყველი, დამაჯერებელი ხერხებით, ავრთვე დნჯი და მკაფიო გამომეტყველებით ჩინებულად ახასიათებს მანკიერი, საზოგადოების ფერხულში ჩაბმულ მშობარა მოხუცს“.

ქუთაისის თეატრის აფხაზეთში გასტროლებთან დაკავშირებით „საბჭოთა აფხაზეთში“ მოთავსებულია შ. ღლონტის რეცენზია ი. ბურაკოვსკის პიესაზე „პრალა მაინც ჩემია“. რეცენზიაში დადებითადაა შეფასებული რეჟისორი. კაკულიას დადგმა, მხატვარ მ. ნასიძისა და კომპოზიტორ პ. მილორავას ნამუშევარი და, აღნიშნულია შემდეგი:

„ფუჩიკისა და მისი თანამებრძოლების საპირისპიროდ ავტორს გამოყვანილი ჰყავს გესტაპოს თანამშრომლები, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში კაცთმძლეობის, ზნეობრივი განხრელებისა და დაკემულობის პრინციპებს ახორციელებენ. გესტაპოს ანტიკომუნისტური განყოფილების კომისარი ბემი ცილიობს ჩხი რევოლუციონერების დათრგუნვას. მსახიობი მ. სვანიძე ამ როლის შესრულებისას დიდ ზომიერებას იჩენს. მაყურებელი გრძნობს, რომ მის წინ დგას ჯალათურ საქმეთა ოსტატი და ამას მსახიობი გარგნული ეფექტის გამოწვევით კი არ აღწევს, არამედ მოქმედების ბუნებრივი განვითარების გზით. მსახიობი უთუოდ ღრმად ჩასწვდა პერსონაჟის ტიპერ ხასიათს და რეალისტურად გახსნა იგი“.

მ. სვანიძე წარმატებით გამოდიოდა შექსპირისა და შოლერის პიესებშიც და არასოდეს არ ეთიშებოდა ანსამბლს.

გ. ვაბუნა ქუთაისში უ. შექსპირის „მეფე ლირის“ (რეჟისორი დ. ანთაძე) დადგმის გამო წერდა: შექსპირის ხუმარა ხალხური სიბრძნის გადმოცემა, რომელიც სულ მუდამ თან დაყვება მოხუც მეფეს, სულს უმშვიდებს და ამხნეებს. მსახიობმა მ. სვანიძემ სწორად გაიგო



თავის როლი, შექმნა სახე, რომელიც ნამდვილად აღლევებს მაყურებელს“.

მ. სვანიძე რიგი წლების განმავლობაში შეთავსებით მუშაობდა ქუთაისის რკინიგზის კლუბთან არსებულ დრამატული კოლექტივის ხელმძღვანელად. აქ განახორციელა მან ერთმოქმედებიანი პიესები „ძველ აგარაკზე“, „სადილობო ნაშრომი“, „ჩვენი მიწა“, „კაბინეტში“ და სხვ.

გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ 1958 წლის 2 დეკემბერს გ. დოლიძე წერდა:

„მსახიობმა მიხეილ სვანიძემ თავდაპირველად არ იცოდა რა ეპაზუხა ქუთაისის პედინსტიტუტის სტუდენტებისთვის, რომლებიც მას ახლად დაარსებულ ინსტიტუტში დრამატული წრის ჩამოყალიბება და ხელმძღვანელობა თხოვეს. მართალია, თეატრში უკვე 18 წელი მუშაობდა, მაგრამ იგი ხომ მსახიობი იყო და არა რეჟისორი. ამიტომ ფრთხილობდა, ვაითუ ახალგაზრდებს იმედი ვერ გავეუპართო და შეერცხეო... კოტა ხნის შემდეგ მ. დადიანის მონტაჟის მიხედვით ინსტიტუტის სცენაზე გაიმართა პირველი წარმოდგენა — „ბატონი და ყმა“.

მას შემდეგ ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრში ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობასთან ერთად მსახიობი მ. სვანიძე ხელმძღვანელობს სტუდენტთა დრამატულ წრეს, რომელმაც მხატვრულ თვითშემოქმედებით კოლექტივთა მართო საკუშირო და რესპუბლიკურ დათვლიერებაზე ოთხი სპატიო სიგელი დაიმსახურა.

მ. სვანიძემ სტუდენტთა ძალებით სხვადასხვა დროს განახორციელა ისეთი სერიოზული პიესების დადგმა (რომ არაფერი ვთქვათ ათობით პატარ-პატარა პიესებსა და სკეტჩებზე), როგორცაა „ბატონი კახი“, „პირველი ნაბიჯი“, „არსენა მარადელი“, „ყვარყვარე თუთაბერი“ და მრავალი სხვ.

ამ წრეში პირველი დრამატურგიული ნათლობა მიიღო დოცენტმა ლ. სანიციძემ, რომლის

ისტორიული პიესა „გაიუს გრაციუს“ წარმატებით იდგმება ქუთაისის თეატრში.

ერთხანს მსახიობი მ. სვანიძე მუშაობდა ქუთაისში ჩამოყალიბებულ სატირის თეატრში (ხელმძღვანელი მსახიობი კიკიკო აბაკელია), რომელსაც დიდ დახმარებას უწყევდა კოტე მარჯანიშვილი.

თეატრს ტექსტები დაუწერეს ე. გოგიაძე, მ. გოგიაშვილმა, ვ. დარასელმა და სხვებმა. ამ თეატრში ქორეოგრაფად მუშაობდა ცნობილი ბალეტმისტიკრი დავით მაკვარიანი.

„სატირის თეატრში“ დიდი წარმატება მოიპოვა საქართველოს დაბაქალაქებში გასტროლების დროს. ამ თეატრის გასტროლებს თბილისში გამოეხმაურა პრესა. გაზეთებმა მოათავსეს ერეგია ქარელიშვილის, ნიკა აგიაშვილის, გენო ქელბაქიანისა და სხვათა რეცენზიები. თეატრის წარმატებებში თავისი წილი ედო მსახიობი მ. სვანიძესაც.

მ. სვანიძეს მრავალი წლის განმავლობაში მუშაობა მოუხდა გამოჩენილ რეჟისორებთან და მსახიობებთან. მას არა ერთი საინტერესო სცენური სახე შეუქმნია.

მ. სვანიძეს მის მიერ განხორციელებულ როლებს შორის მეტად დამახასიათებლად მიიჩნევა პლატონ სამანიშვილის სახე დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“, ზახარ ბარდინი გორკის პიესაში „მტრები“, მშენებლობის უფროსი დიმიტრი გეგელია სერგო კლდიაშვილის „გმირთა თაობაში“, ფრანცი შილერის „ყაჩაღებში“ და სხვ.

ახლა მიხეილ (მიშა) სვანიძე 70 წლისაა. ეს მარად ჭაბუკი ქუთაისის თეატრის ტრფიალი კვლავ ახალგაზრდული ენერგიით განაგრძობს საინტერესო შემოქმედებით მუშაობას. იგი დღესაც სცენაზეა. მიმდინარე სეზონში მ. სვანიძე ასევე წარმატებით ასრულებს დაკისრებულ როლებს.

სცენას უსაზღვროდ შეყვარებული ახლაც მუდამ სიახლის ძიებაშია.

ი უ ბ ი ლ ე კ ი ე ვ შ ი

ნელი თვაური

ბუნებრივი ის დიდი სიყვარული, რომლითაც დიმიტრი (დოდო) ალექსიძე საქართველოში სარგებლობს. რამდენიმე ათეული წლის მანძილზე მან თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ქართული თეატრის ტრადიციების გამდიდრების საქმეში. მაგრამ განსაკუთრებით სასიამოვნოა

ის გულწრფელი სიყვარული და პატივისცემა, რომელიც მისდამი უკრაინის დედაქალაქის მაცურებლები და კულტურის მოღვაწენი იჩენენ. ქართველი რეჟისორი ხუთ წელიწადს მოღვაწეობდა უკრაინაში. „საქართველოს შვილი — უკრაინით პატრიოტი“, — ასე უწოდებენ იქ დო-



დო ალექსიძეს და ამ სიტყვებში უსაზღვრო გულწრფელი სიყვარულია გამოხატული. ამ სიყვარულის მძლავრ დემონსტრაციად იქცა კიევის თეატრალური საზოგადოების მიერ 4 მარტს მოწყობილი დღოდ ალექსიძის დაბადების 60 წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

იუბილე გამართა კარპენკო-კარის სახელობის კიევის თეატრალური ინსტიტუტში, სადაც დიმიტრი ალექსიძე რეჟისურის კათედრას ხელმძღვანელობს. აქ უკვე ზეით წელია მისი ხელმძღვანელობით იზრდება არა მარტო უკრაინელი, არამედ უცხოელი ახალგაზრდობა.

ინსტიტუტში შესვლისთანავე საზეიმო განწყობილება იგრძნობა, დიდი ტრანსპარანტი გაუწყებთ ზეიმის მიზნს. აპყვებით საფეხურს და კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი შემოგანათებს, საიდანაც დიმიტრი ალექსიძის გალიმბული თვალები იშორება. შეჩერდებით გაზეთთან და ის უკრაინულ ენაზე მოგიყვებით საქართველოსა და უკრაინის სახალხო არტისტის დღოდ ალექსიძის დამსახურებაზე.

ყვავილებით სავსე სცენაზე შეკრებილან ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები, კიევის თეატრალური საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, სტუმრები. საღამოს ხსნის ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი ი. კ. კორნიენკო, რომელიც ლაბარაკობს იმ დიდ ღვაწლზე, რაც დიმიტრი ალექსიძეს მიუძღვის უკრაინის თეატრალური კადრების აღზრდაში. ინსტიტუტში ბევრი მნიშვნელოვანი სპექტაკლი დადგა, მათ შორის გამოჩენილი საბჭოთა დრამატურგის ა. კორნიჩუკის პიესა „გულის სასლოვარი“ დრამატურგი ადტაცებულთა თავისი პიესის რეჟისორული ინტერპრეტაციითა და სტუდენტების კარგი შესრულებით. ამის გამო იყო, რომ კორნიჩუკმა ინსტიტუტს დაუწესა ორი სახელობითი სტიპენდია. საღამო გრძელდება. კორნიენკო აქვეყნებს უკრაინის კულტურის სამინისტროს დადგენილებას დიმიტრი ალექსიძის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

დიმიტრი ალექსიძის შემოქმედებაზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ინსტიტუტის პრორექტორი ისანწყოლო და სამეცნიერო დარგში, უკრაინის სახალხო არტისტი, პროფესორი ვ. ი. ხარჩენკო. მომხსენებელმა სიყვარულით ილაპარაკა იუბილარის მოღვაწეობაზე საქართველოსა და უკრაინაში. მის დამსახურებაზე სტუდენტო ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. სწორედ ალექსიძემ „ადმოაჩინა“ ბევრი ახალგაზრდა მსახიობი, რომლებიც ახლა ძლიერ ძალას წარმოადგენენ უკრაინაში. დღეს მისი აღზრდილები მთელ კავშირში ცნობილი მსახიობები არიან.

იუბილარს მიესალმნენ: უკრაინის თეატრალური საზოგადოების სახელით — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, უკრაინის თეატრალური საზოგადოების პრეზიდენტის თავმჯდომარე ნატალია უუცი, ივანე ფრანკოს სახელობის კიევის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სახელით — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ოლია კუსენკო და მსახიობი მ. კრაპივენკო. მათ მთელი კოლექტივის სახელით მადლობა გადაუხადეს დიმიტრი ალექსიძეს — დიდ რეჟისორსა და მოქალაქეს, რომელმაც პირველმა აზიარა ფრანკოს თეატრი ანტიკურ დრამატურგიას.

მისკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის სახელით იუბილარს მიესალმა თეატრის დირექტორ-განმკარგულებელი ა. ა. ბეგაკოპიტოვი. მან სიამოვნებით მოიგონა ის დღეები, როცა დიმიტრი ალექსიძე მათ თეატრში შემოაბოდა ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის „მე ვხედავ მზეს“ დადგმაზე და სპექტაკლში მონაწილე ყველა მსახიობისა და მთელი დასის მადლობა გადასცა.

საქართველოს თეატრალური საზოგადოებრიობისა და კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სახელით იუბილარს მიესალმა თეატრის დირექტორი ანზორ ქუთათელიძე, საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლისა და პროფსაბჭოს მხატვრულა თვითმომქმედების რესპუბლიკური სახლის სახელით — თეატრმცოდნე ნელი თვაური; დნეპროპეტროვსკის ტ. შევჩენკოს სახელობის თეატრის სახელით — თეატრის დირექტორი, უკრაინის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ი. გ. კობრინსკი; ლესია უკრაინკას სახელობის რუსული დრამატული თეატრის სახელით — თეატრის დირექტორი ი. გ. კუნიცა, მან მთელი კოლექტივის სახელით მადლობა გადაუხადა იმ შემოქმედებითი სიხარულისათვის, რომელიც მას მიანიჭა მისმა მოღვაწეობამ ლესია უკრაინკას თეატრში; კიევის თეატრალური ინსტიტუტის რეჟისურის კათედრის სახელით დ. ალექსიძეს მიესალმნენ პროფესორები: ი. ი. ჩაბანენკო, დ. ა. ნელი და დოცენტი ვ. ბიკოვეცი; სამსახიობო ოსტატობის კათედრების სახელით — პროფესორები მ. მ. კარასოვა, ლ. ა. ოლიენკი; თეატრალური ინსტიტუტის კინოს განყოფილების კათედრის სახელით — დეკანი ი. ა. ოლენკო და დოცენტი ვ. ი. პარხომენკო; თეატრის ისტორიის კათედრის სახელით — პროფესორები ი. ა. ვოლოშ



ჩინი; ლიტერატურისა და ენების კათედრის სახელით — პროფესორი ნ. ფ. პივერაოვი; სასცენო მოძრაობისა და ფარეკაობის კათედრის სახელით იუბილარს ქართულ ენაზე მიესალმა უფროსი პედაგოგი ი. მ. ნოვატსკაია; მუსიკის კათედრის სახელით — დოცენტები ნ. ელნისი და ფ. ბაკლაი.

სალამოზე სტუდენტმა გოგონებმა წაიკითხეს მისალმელი დეკლამაციები, რომლებიც იუბილარის სახელზე ჩვენი ქვეყნის მრავალი ქალაქიდან მოვიდა.

საზეიმო საღამოს თან სინანულიც ახლდა, რადგან დიმიტრი ალექსიძე უკრაინის სტოვებდა და ამიტომაც ყველა იქ გამოსული მოღვაწე

თხოვნით მიმართავდა მას — არ დაეწყებოდა კიევი, სადაც ის უსაზღვროდ უყვართ, პატივს სცემენ როგორც ჩინებულ მოქალაქეს და ხელოვანს, იზიარებენ მის შემოქმედებით მრწამსს.

დასასრულს იუბილარმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას, თავის კოლეგებს, რომლებთანაც 5 წელი ვაატარა, და განაცხადა: მართალია აღამიანს ერთი სამშობლო აქვს, მაგრამ მას სამშობლოსავით უყვარს კიევი და უკრაინელი მეგობრები.

ფეხზე ამდგარი დარბაზი დიდხანს უყრავდა ტაშს ღვაწლმოსილსა და მუდამ ახალგაზრდა ხელოვანს.

60 წელი სსენაზე ნიკო ბაბრიელიძე

თბილისის სცენისმოყვარეთა წრების ერთ-ერთ ვეტერანს, მუშა-მსახიობს დავით მთვრალაშვილს დაბადებიდან 75 და სასცენო მოღვაწეობის 60 წლისთავი შესურულდა.

60 წლის მანძილზე იგი ერთგულად ემსახურებოდა ქართული თეატრალური კულტურის განვითარებისა და მშრომელთა მხატვრული მომსახურების საქმეს, როგორც მსახიობი და რეჟისორი.

მუშის ოჯახში დაბადებული დ. მთვრალაშვილი ათი წლისა იყო, როცა შრომითი საქმიანობა დაიწყო, ცოტა რომ წამოიზარდა ხელოვნებამ გაიტაცა. დღისით მუშაობდა, საღამოობით კი ავღაბრის ე. წ. მურაშკოს თეატრში დაიარებოდა. ი. გედევანიშვილის „მსხვერპლში“ პირველი გამოსვლის შემდეგ, სადაც მან პატარა ბიჭის როლი შეასრულა, იგი ამ თეატრის დასის წევრად მიიღეს.

დავით მთვრალაშვილი პირველი მსოფლიო ომის დროს ჯარში გაიწვიეს და თურქეთის ფრონტზე გაგზავნეს.

ომის დამთავრებისა და შინ დაბრუნებისთანავე დ. მთვრალაშვილი ქართული თეატრის დიდმა სიყვარულმა კვლავ თეატრში დააბრუნა. იგი მუშაობას იწყებს თბილისის სახალხო სახლთან არსებულ ქართულ თეატრში მსახიობად და რეჟისორის თანაშემწედ.

დავითმა აქ რამდენიმე როლი შეასრულა, მათ შორის მიხა — ი. გედევანიშვილის „მსხვერპლში“, მოსამსახურე ბიჭი რ. ერისთავის პიესაში „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ და სხვ.

1924 წლიდან დ. მთვრალაშვილი ავტორის აუდიტორიაში განაგრძობს სპექტაკლების მომზადებას. მან დადგა ალ. ყაზბეგის „არსენა“, ა. ცაგარელის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“ და სხვ.

ცნობილი მწერლისა და თეატრალური მოღვაწის შალვა დადიანის მეთაურობით ხელოვნების მუშაკთა კავშირმა განიხილა დ. მთვრალაშვილის მიერ მომზადებული სპექტაკლები, მოიწონა ისინი და ნება დართო დასს ეს სპექტაკლები ქალაქებსა და დაბა-სოფლებში ეჩვენებინა. აღნიშნულმა მოძრავმა თეატრმა იმოგზაურა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს რაიონებსა და სოფლებში.

1930—1940 წლებში დ. მთვრალაშვილი მოღვაწეობდა პლენარის, ნავთლულის რკინისგზის, არსენალის და სხვა მუშათა კლუბებში.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, დ. მთვრალაშვილი დღესაც ახალგაზრდული ენერგიით განაგრძობს შემოქმედებით მოღვაწეობას მ. გორკის სახელობის კულტურის სახლთან არსებულ სახალხო თეატრში.

28 მაისს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და გორკის სახელობის კულტურის სახლმა აღნიშნეს მუშა-მსახიობის დავით მთვრალაშვილის დაბადებიდან 75 და სასცენო მოღვაწეობის 60 წლისთავი. მაღლიერი მაცურებელი გულთბილად შეხვდა ღვაწლმოსილ ხელოვანს, რომელიც თავის ნიჭსა და უნარს უანგაროდ ახმარს ხალხის სამსახურს.

საქართველოს განსახლება

ალექსანდრე თაყაიშვილი

ანა ლვინიაშვილი

ალექსანდრე თაყაიშვილმა თბილისის პირველი გიმნაზია დაამთავრა და უმაღლესი იურიდიული განათლება მიიღო, ჭრი კიევის უნივერსიტეტში სწავლობდა, შემდეგ კი მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე განაგრძო მეცადინეობა. იგი წარმატებით ეუფლებოდა იურიდიულ მეცნიერებას და შეიძლება გამოჩენილი იურისტიც გამხდარიყო, მაგრამ ბავშვობიდანვე შეყვარებულმა თეატრალურმა ხელოვნებამ გაიტაცა და ამ საქმეს მთელი თავისი ნიჭი და ენერჯია დაუწოგავად მოახმარა.

ალ. თაყაიშვილი მრავალმხრივი მოღვაწე იყო, იგი მუშაობდა კინოში, რუსთაველის და გრიბოედოვის თეატრებში, მაგრამ ყველაზე მეტი მან ბავშვებისათვის გააკეთა, მისი სახელი განუწყურვალდა დაუკავშირდა ქართულ მოზარდ მაცურებელთა თეატრს. იგი თითქოს დაბადებული იყო ბავშვების თეატრისათვის, არა მარტო როგორც მხატვრული ხელმძღვანელი, დამდგმელი რეჟისორი, არამედ როგორც პედაგოგიც. მას ბავშვები თავდაიწყებოდა უყვარდა და შინაგანად, მდიდარი ინტუიციით გრძნობდა მათ მოთხოვნილებას, კარგად ესმოდა ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის ინტერესები.

ალ. თაყაიშვილი 18 წელიწადს ემსახურა მოზარდ მაცურებელთა თეატრს. ადგილი სათქმელია 18 წელიწადი! ეს თეატრი მისი მეორე ოჯახი იყო. დღეცა და ღამეც ამ თეატრის შენობაში ტრიალებდა. რამდენჯერ უთქვამს: „დღეს წინ ვერ წავედი და დედა არ მინახავს. როცა მივალ, ალბათ, უკვე ეძინება!“ თითქმის ყოველ საღამოს ესწრებოდა სპექტაკლს, სულ ერთი იყო, ეს სპექტაკლი თავისი დადგმული იყო თუ სხვა რეჟისორისა. თეატრის ნამუშევარი ერთნაირად უყვარდა. ამიტომ მსახიობებიც ყოველთვის სრული პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ თავის მოვალეობას, მუდამ არტისტულა მგზნებარებით თამაშობდნენ. ამა თუ იმ სპექტაკლს, რაც უნდა, რომ იტყვიან, „გაკვეთილი“

ყოფილიყო, ყოველთვის პრემიერის იერი ჰქონდა, მსახიობებმა იცოდნენ, რომ სამხატვრო ხელმძღვანელი თავს დასტრიალებდა მათ და მის მახვილ თვალს არაფერი გამოეპარებოდა.

ალ. თაყაიშვილი ამ თეატრის ნამდვილი რაინდი იყო, დაუღალავი მშრომელი და ფართო გაქანების შემოქმედი, უნაგარო მოსიყვარულე ბავშვებისა.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ მოზარდ მაცურებელთა თეატრს და მის მსახიობებს წინაპრები არა ჰყოლიათ. ეს გარემოება თეატრის მეთაურისაგან ცოდნასთან ერთად დიდ დაკვირვებასაც მოითხოვდა.

თეატრის შემოქმედებითი ცხოვრება, პირველ ყოვლისა, მსახიობების შერჩევითა და აღზრდით იწყება! ამიტომ ალ. თაყაიშვილი ამ თეატრის მარტო ერთ-ერთი დამაარსებელი კი არა, საბავშვო თეატრის მსახიობის აღმზრდელიც და მსწავლებელიც იყო. მსახიობთა უმეტესობა თეატრთან ერთად დაიბადა. ალ. თაყაიშვილმა მოძებნა, შეარჩია და მიიზიდა ნიჭიერი და ბავშვების თეატრისათვის გამოსადეგი ახალგაზრდები. მათ სცენისათვის საჭირო გამოცდილება აკლდათ, მაგრამ მისთვის აუცილებელი მონაცემები ჰქონდათ, ასეთებია: გ. კუპრაშვილი, თ. თვალთაშვილი, ი. ნინუა, გ. დეისაძე, თ. ლივარდი, თ. ტუშიშვილი, ვ. ურუშაძე, ი. ბერიაშვილი და მრ. სხვა, რომლებიც სცენაზე მაცურებლის თანატოლებივით თამაშობდნენ და სრულ ილუზიას ჰქმნიდნენ გოგო-ბიჭებისას.

ალ. თაყაიშვილმა, თვითონაც ახალგაზრდამ, დასახლებულ მსახიობების დაოსტატება მაღელ შემლო. რით? მსახიობებთან მაგიდასთან მუშაობით. მისი მუშაობა მაგიდასთან ბეისის წასაკითხად უზარალო შეკრება არ იყო, რეჟისორის მიერ თვითულ ამ შეკრების დროს შინაარსიანი ლექცია იკითხებოდა პიესაში ასახული ეპოქის, მოვლენების, გმირების შესახებ. მეტსაც ვიტყვი, ეს იყო ლაბორატორია, მთელი სკოლა-მსახიო-



ბის შესაძლებლობათა გამოსავლენად. ალ. თაყაიშვილი თავიდანვე დიდ ყურადღებას აქცევდა მსახიობთა ურთიერთობას. მსახიობებიც მთლიანად თეატრით ცხოვრობდნენ, საქმით გატაცებული იყვნენ და თბილისი მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ. ასეთ განწყობას თაყაიშვილი თეატრში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

როდესაც მოზარდ მსახურებელთა სახელმწიფო თეატრმა თავისი არსებობა დაიწყო, ქართული საბავშვო პიესები არ გვქონდა. ვიდრე ქართული პიესები ვაჩვენებოდა, თეატრი თარგმნილი პიესებით სარდლობდა. რუსული მოზარდ მსახურებელთა თეატრის რეპერტუარშიც პიესების მთარგმნელებად თაყაიშვილმა მიიწვია ჩვენნი გამოჩენილი მწერლები: ი. გრიშაშვილი, კ. კალაძე, ს. ჩიქოვანი, ავ. ბელიაშვილი, რეიხსორი ალ. მიქელაძე, განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობდა მწერალი ს. შთვარაძე, რომელსაც თითქმის უმეტესი პიესების თარგმანი ეკუთვნის. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს პიესები ზუსტად თარგმნილი კი არა, ვამოქართულებული იყო, ჩვენს სინამდვილესა და პირობებთან შეფარდებული. ამიტომ რუსული პიესებიც ამ სტენაზე საცირად ქართულად ქდებოდა — გააზრებითაც, ტემპერამენტითაც.

ალ. თაყაიშვილმა ფასდაუღებელი ამავი დასალო ქართული საბავშვო დრამატურგიის დაბადებასა და განვითარებასაც. მან შემოიკრიბა უკვე ცნობილი დრამატურგები და წახალისა ახალგაზრდები. თეატრისათვის დიდი ხალისითა და სიყვარულით მუშაობდნენ შ. დადიანი, ს. შთვარაძე, ვ. ნახუციანიშვილი, გრ. ბერძენიშვილი, დ. თაქთაქიშვილი, კ. გოგიაშვილი, კ. გოგოძე, თეატრის მსახიობები ბ. გამრეკელი, ალ. კაკაბუშვილი, გ. დარისბანაშვილი. ალ. თაყაიშვილი თავგამოდებით იღწვოდა, რომ თეატრის დანარჩენი კომპონენტებიც მაღალ დონეზე მდგარიყო. თეატრის მთავარ მხატვრად დიდხანს იყო მიხ. გოციანიძე. თეატრის სცენის გაფორმებისათვის გატაცებით მუშაობდნენ პ. ოცხელი, ელ. ახვლედიანი, ნ. ყაზბეგი, თ. აბაქელია, განსაკუთრებით დიმიტრი თავაძე. ეს მხატვრებიც იმ დროს ახალგაზრდები იყვნენ, მაგრამ, ალ. თაყაიშვილის შთაგონებით, მათი დეკორაციები არ იყო პიესის უბრალო ილუსტრაცია, არამედ საქმე გვქონდა ჰუმორისტ ხელოვნებასთან, პიესის იდეის რეალისტურ, რომანტიკულ გააზრებასთან. დეკორაციებს თითქოს სული ედგა, ეხმარებოდა მსახიობებს, რათა ნორჩ მსახურებელს სპექტაკლის მიზანიც ადვილად გაეგო და ესთეტიკურადაც დამტკბარიყო.

ვინ არ წერდა თეატრისათვის მუსიკას, მაგრამ აქ პირველ რიგში შავერზაშვილების მუსიკალუ-

რი ოჯახიდან მოსული ვასო შავერზაშვილი უნდა და დავასახელო. იგი 12 წლის განმავლობაში დაუწარებლად წერდა თეატრისათვის მუსიკას. იგი ერთგული იყო ამ თეატრისა. ვ. შავერზაშვილის მუსიკა იყო ჭანსადი, მელოდიური, მსუბუქი, ქართულ მუსიკალურ ფოლკლორზე დაფუძნებული. სპექტაკლები მუსიკალურად გამდიდრეს აგრეთვე რ. გოგინიაშვილმა, ო. ბარამიშვილმა, ა. კერესელიძემ, ა. მაკავარიანმა, რ. ლალიძემ და სხვ.

მხატვრებთან და კომპოზიტორებთან ალ. თაყაიშვილი ისევე მუშაობდა, როგორც მსახიობებთან. იგი არც მხატვარი იყო და არც მუსიკოსი, მაგრამ ფერებსა და ნახატებში მხატვრულით ერკვეოდა და მუსიკა ჩინებულად ესმოდა. ბევრი ესკიზი მხატვარს გადასაკეთებლად დაჰბრუნებია, მოტანილი ნოტებიც გადაუხაზავს და მელიოდის შეცვლა მოუთხოვია.

არ იყო დავიწყებული არც პედანაწილი. პედანაწილის გამგებად საუკეთესო პედაგოგები იქმნენ მოწვეული, მართო ქსენია ჭულელის დასახელებაც კმარა.

შესანიშნავი თვისება ჰქონდათ იმ დროს თეატრალურ რეცენზენტებს. თითოეულ სპექტაკლს რამდენიმეჯერ ნახავდნენ და პირუთვნელ რეცენზიებს წერდნენ. თეატრის პირველი დანტერესებული რეცენზენტები იყვნენ: გ. ჭილაძე, ბ. გორდენიანი, ბ. ქლდტი, კ. მელაძე.

ალ. თაყაიშვილის დროს სამხატვრო საბჭო, რომლის წევრი მეც ყავიყი, ნამდვილ სეროზულ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა. მის სხდომებზე იმართებოდა ცხოველი კამათი, საქმიანი მსჯელობა, საფუძვლიანად ირჩეოდა თითოეული სპექტაკლი, ზოგჯერ სხდომა ღამის 3 საათამდე გრძელდებოდა, მაგრამ დაღლას არავინ გრძნობდა. სამხატვრო საბჭოს თავმჯდომარე, საზოგადოებრივი დატვირთვით, იყო ერემია ქარელიშვილი. თეატრში უამრავი პიესა შემოდიოდა. სამხატვრო საბჭოზე ყველა პიესა იკითხებოდა და ირჩეოდა. ბევრი პიესა უბრუნდებოდა ავტორებს, მაგრამ არც ერთი მათგანი არ განაწყენებულა, უცმაყოფილო არ წასულა, რადგან მათთვის თეატრის კარი არ დახურულა. ავტორები შენიშვნების მიხედვით გადაამუშავებდნენ ხოლმე თავიანთ პიესებს და კვლავ წარმოადგენდნენ საბჭოზე ხელახლა გაჩვენებისათვის. ყველა სხდომის მომწვევი ალ. თაყაიშვილი იყო, მისი წამყვანი კი ერ. ქარელიშვილი.

ალ. თაყაიშვილი პირველ რიგში ანგარიშს უწევდა მსახურებელს, მის გონებრივ გამდიდრებასა და სულეირ ამადლებას ემსახურებოდა.

ალ. თაყაიშვილი თავისთავადი ხელოვანი იყო, მან საკუთარი ხელწერა გამოიმუშავა და დიდ მხატვრულ ოსტატობას მიაღწია, მისი



სპექტაკლები დახვეწილობითა და სიფაქიზით იქცეოდნენ ყურადღებას.

აღ. თაყაიშვილის 18 წლის განმავლობაში დადგმული აქვს 32 სპექტაკლი. ამავე დროს, არ ყოფილა შემთხვევა, რომ თეატრის სხვა რეჟისორების მიერ დადგმული სპექტაკლებს მისი მადლიანი თვალი არ მოხვედროდეს. იმ დროს ახალგაზრდა რეჟისორები მის ხელში დაეჯიკადნენ, დაოსტატდნენ.

აღ. თაყაიშვილის სპექტაკლების ფორმა ყოველთვის უჩვეურობითაა პიესის ფსიქოლოგიურ ქსოვილს, სპექტაკლის ზეამოცანა იყო ნორჩი მაყურებლებისათვის ეჩვენებინა ჩვენი დროის მოწინავე ადამიანის სულიერი სიღამაზე და ძალა, ეჩვენებინა რომ სიყვითლე ყოველთვის ამარცხებს ბირობებასაც და სულიერ სიმბინჯესაც. პიესის მოქმედ პირებში რეჟისორი ცოცხალ ადამიანებს ეძებდა, იგი ადამიანის, ბავშვი იყო თუ დიდი, სულიერ სამყაროში ეძებდა ხელოვნების დასაყრდენს, მშვენიერების საფუძველს.

აღ. თაყაიშვილი განსაკუთრებული სიფაქიზითა და სიფრთხილით უდგებოდა კლასიკურ დრამატურგიას. იგი აკადემიურობისაკენ ესწრაფებოდა და მიზანს ყოველთვის აღწევდა კიდევაც. ასეთი იყო აკაკი წერეთლის, აღ. პუშკინის, აღ. ოსტროვსკის, შექსპირის, მოლიერისა და სხვათა ნაწარმოებების განხორციელება თეატრის სცენაზე.

და, რაც საგანგებოდ აღსანიშნავია, ისტორიულსა და კლასიკურ სპექტაკლებში თქვენ ღირსივით იმ ეპოქასაც, რომელსაც პიესა გამოხატავდა და თვით ჩვენს დიად ეპოქასაც. აღ. თაყაიშვილის სპექტაკლები ამდრეებენ ქართულ სასცენო ხელოვნებას და ისინი მუდამ მადლოებები მოიხსენიება ჩვენი თეატრის ისტორიაში.

ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს როგორც მოზარდა თეატრში, ისე გრძობედოვის თეატრში დადგმული სპექტაკლები. ჩვენი თეატრალური ხელოვნების ისტორიის განსაკუთრებულ ნიშანსვეტად დარჩება მისი კ. მარჯანიშვილის თეატრში დადგმული „რევიზორი“, რომელმაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

აღ. თაყაიშვილი მოზარდ მაყურებელთა ქართული და გრძობედოვის თეატრებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებით ჩვენი მდიდარი თეატრის ისტორიაში საპატიო ადგილს დაიმკვიდრებს, როგორც დიდი ხელოვანი. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული კინემატოგრაფიის განვითარებაშიც.

აღ. თაყაიშვილი ღირსეულად იქმნა დაფასებული ჩვენი მთავრობის მიერ. იგი დაჭილდოებული იყო ლენინის, შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით და მედლებით. ამასთან იგი იყო საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

მოგონების ერთი ფრესკა

ნიკა აბიაშვილი

რამთღმის პირველი წლებიდანვე ჩვენს სოფელ დიხაშოში (ვანის რაიონი) ადგილობრივმა სცენისმოყვარეებმა დაიწყეს საღამო-წარმოდგენების მართვა-მოწყობა, მაგრამ, პირველ ხანებში, ეს ხდებოდა ძალზე იშვიათად, თითქოს რაიმე განსაკუთრებული შემთხვევის გამო. საქმის ინიციატორი ყოველთვის იყო არადადეგებზე ჩამოსული თითო-ორი ან რამდენიმე მასწავლებელი ან რომელიმე მოწინავე ინტელიგენტი.

შემდეგ და შემდეგ ამ შემთხვევით საღამოებს სისტემატური ხასიათი მიეცა და ჩამოყალიბდა სცენისმოყვარეთა ნამდვილი დასი ანუ წრე, რომლის საქმიანობაშიც ხალისითა და მოხიბვებით ჩაებნენ სოფლის ახალგაზრდები და ახლად გახსნილი თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტობა. სათანადო რეპერტიტებით გვარიანდ მომზადებულ და შეძლებისამებრ, გავორძელებულ-დადგმულ სპექტაკლებს მაყურებელი ბოლომდე ჰყავდა, ესწრებოდნენ სხვა სოფლებიდანაც. წარმოდგენათა შემოსავალი ხმარდებოდა საკვლავად მიზნებს: სამკითხველს გახსნას, ყურნალ-ვაჭრების გამოწერას, ხიდებისა და გზების შეკეთებას.

იდგებოდა, უმთავრესად, ადვილად მოსამზა-

დებელი და გასაფორმებელი პიესები, სადაც ბევრი მოქმედი პირი არ იქნებოდა და აუცილებელი არ იყო დეკორაციები და საგანგებო რეკვიზიტები.

საღამო-წარმოდგენები იმართებოდა ზაფხულში, ადგილობრივ მცხოვრებთა დაბალაიქნიან, სოფლის სცენისათვის გამოსადეგ ოდებსა და კარგად შემოღობულ კრეკელ ეზოებში.

„პარტერი“ და „ლოქები“ პირდაპირ ციხეში იყო მოთავსებული.

„იქნენ“, „გაყრა“, „კაცო ყაჩაღი“, „პატარა კახი“, „არსენა“, „დედინაცვალი“, „ხაფანგი“, „მშისმკელი“, „დაბრუნებული დედა“, „ისიონის ოინები“, „უბედური დღე“, „სამონელი შერისძიება“, „შენი ქორიმი“, „კუთუაზიარული“, „სტუმარმასპინძლობა“, „ადვოკატი მელაქი“, „ციმბირელი“, „ორი მშვიტი“, „ადვოკატთან“, „მასეხე 25 მანეთი“, „დაჭირი ორბი“, „რეკლუციის მოლოდინში“, „როს ნადიმოდნენ“, „ელონორა“, „რეკლუციის მსხვერპლი“, „ბურუსი“, „ქრისტინე“, „ნომერი 21 გვით“, „ქართული დედა“, „და-ამა“, „უკის ქალი გულჯავარი“... აი დაახლოებით ჩვენი დრამების იმდროინდელი რეპერტუარი (1917-დან 1925 წლამდე). ერთგულ, ქუთაისის თეატრის მსახიობის — ჭუჭუა ბედნელის (ლორთქიფანიძის) მო-



ნაწილებით, რომელიც პიესის დამატებად, შილერის „უაჩადების“ მეოთხე მოქმედებაც კი დაიღდა.

ისტორიული პიესებისათვის საჭირო ტანსაცმელსა და რეკვიზიტს ქუთაისის თეატრიდან სათხოვრობდნენ.

წრის მუშაობას დიდად უწყობდნენ ხელს, ყოველმხრივ ეხმარებოდნენ მას და აქტიურ მონაწილეობასაც იღებდნენ სცენისმოყვარეთა მიერ გამართულ სპექტაკლებში სათაურთა ზელოვნების დიდად მოყვარული, სოფელ ტყაჩიანის მკვიდრი მშენი კოკლაძეები — ბარნაბა და გარბა (უქანასცემლი ახლა ცნობილი კომპოზიტორია).

ბარნაბა კოკლაძე იმ ხანებში ქუთაისის თეატრის მსახიობი იყო და განსაკუთრებით კარგად ასრულებდა აკაის პატარა კახს და ლეონ ბერგის როლს ია ვეკლასის რეოლუციური პიესაში — „ნომერი 21 ჯვრით“. ამ ორი მძის სახელებთანაა დაკავშირებული პირველი საღამო-წარმოდგენების მართვა-მომწყობის საქმე, საერთოდ, ვახის რაიონში და, ყველაზე უფრო — მათ დედულეთ დიხაშვილში... პირველი წარმოდგენა ჩვენს სოფელში სწორედ ამათა კოკლაძეებს თაოსნობით გაიმართა: 1917 წლის ზაფხულზე — მათი ბიძის — კოლა სუბატკაშვილის ეხმარ. დაიღვა ა. ცაგარის ისტორიული პიესა „ლეკის ქალი გულჯავარი“, სადაც მთავარი როლს — პატარა კახს — თვითონ ბარნაბა ასრულებდა.

... ჩვენს ღრამურეს ჰქონდა სათანადო წესდება, ჰყავდა გამგებმა და ეწოდებოდა „სხივი“. რამდენიმე წელიწადს ამ წრის უცვლელი სუფელიორი ვიყავი და მრავალი საინტერესო ამბის მომსწრე და მონაწილე ვავსდი, მაგრამ ყველაფერს ვინ მოიგონებს... ის კი მასთვის, რომ სულ „წყალივით ვიცოდი“ დასადგმული პიესების მთელი ტექსტი, ყველა როლი, რეპლიკა და რეჟარკა. ერთხელ, როცა ონავარმა ბავშვებმა ჩემთვის განუთვნილი სასუფლიორო ჩუხურიდან ანთებულთ ფარანი მომტაცეს და ჩამჭრეს, ბნელში დავრჩი, მაგრამ მოქმედ პირებს ზეპირად ვუყარახე მთელი პიესა და სპექტაკლი „ჩაბრუნდა“ გადავარჩინე, რისთვისაც, გამგებობის თავმჯდომარემ, შემდეგში ცნობილმა პედაგოგმა ისიღარე გოგორიშვილმა, დიდად შემაქო.

ამ „სხივის“ საქმიანობა ერთ ორჯერ ქუთათურ პრესაში იყო აღნიშნული და შექმნილი ერთი შენიშვნა — „თეატრსა და ცხოვრებაშიც“ დაიბეჭდა. რეცენზიებში დიდად აქებდნენ დიხაშვილ თეატრალთა საქმიანობას, მათ ინიციატივის სოფლის კულტურული გათვითცნობიერებისათვის, აქებდნენ სპექტაკლების მონაწილეებს, მეტადვე მთავარი როლებს შემსრულებლებს: ამბერჯი და ირაკლი გოგორიშვილებს კარგი ხმა ჰქონდათ, სიმღერაც მშვენიერი იცოდნენ და გმირთა როლებსაც საუცხოოდ ასრულებდნენ; ჩენდიქტე საღრიშვილი დასის „პრემიერი“ იყო — შეუღარბელი არსენა და კაკო უაჩილი... ასევე აღიშნა პრესაში კაკო გოგორიშვილის, ნინო, ლათიო და ვლადიმერ მალაქიძის, სპასონ მარგველაშვილისა და სხვათა აქტიური მონაწილეობა „სხიველთა“ წარმოდგენებში...

ჩემზე კი, ე. ი. სუფლიორზე, არც ერთ რეცენზენტს კინტი არ დაუძრავს. აღბათ ამან გამაბრაზა, ავიღე და, სიმონ კვრინლის ხელმოწერით, ერთი რეცენზია მეც გავგზავნიე ქუთაისის გაზეთ „ხალხის მეგობრის“ რედაქცია-

ში. უნდა აღიარო, იმ წერილში, სხვათაგანგანადაც, მეტისმეტი გადაჭარბებით შევაქე დაწვრილა და შევასხი... ჩემს საკუთარ თავს. სიტყვა-სიტყვით ასე დავწერე: „ამ დასს ძლიერ კარგი სუფლიორი ჰყავს — ნიკოლოზ დიმიტრის ძე აგიაშვილი-მეთუქი“, და შემდეგ კიდევ, ისევე და ისევე გავიმართე რამდენიმე ჩემი საქუბარის სიტყვა, საიდანაც ჩანდა, რომ ასეთი სუფლიორი მეორე არ იყო მთელ დღენსე...

წერილი დაიბეჭდა 1920 წლის აგვისტოს ერთ-ერთ ნომერში. მაშინვე მიხვდნენ, თუ ვის იყო სიმონ კვრინელი, და გამგებობის წევრებმა კარგადაც გააჩივრეს საკუთარი თავის შექმნა-განდიდებისათვის. ერთხანს დარცხენილი დავდილიდი, როცა ამ ამბავს ვიგონებ, ახლაც მიუცხივება, მაგრამ ის უბედურევი რეცენზია, ხომ გაზეთში დაბეჭდილი ჩემი პირველი წერილი იყო და ახლადგამომცხვარ, 16—17 წლის დამწყებ რეცენზენტს მეტიც არ მოეთხოვებოდა და ბევრი რამ ებატებოდა კიდევ.

„ხალხის მეგობარი“ ხშირად მოდიოდა, სხვა ჟურნალ-გაზეთებთან ერთად, ჩვენს სამკითხველოში, გაზეთის ყოველ ნომერს სათანადო აღგოშნ ეწერა: რედაქტორ-გამომცემელი სერგო გერსამია. ამ ყვადალეული ჩემი რეცენზიის შემდეგ ძალიან მომბინდა მისი ნახვა და გაცნობა. უნახავად, ასე ერთჯერ — დაუსწრებლად შემიყვარდა ის კაცი, რადგან ჩემი წერილი თითქმის უცვლელად და შეუმოკლებლად დაბეჭდა თავის გაზეთში, მაგრამ იმ ხანებში მისი გაცნობა არ მოხებოდა.

მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ გავიცე, რომ სერგო გერსამია „ხალხის მეგობარდ“ სცემდა და რედაქტობოდა: 1912 წელს ქუთაისში — საოხუნჯო აღმანახ „მაშხალას“, იმავე წელს — ექვე — ყოველწარბეულ საბირულ კარიკატურებთან აღმანახ „ანკის“. 1914 წელს ქუთაისში მისი რედაქტობობით გამოდიოდა ყოველდღიური გაზეთი „ჩვენი ერთი“. 1914 წლის 8 ივლისს სასამართლომ მას ათი დღის პატიმრობა მიუსჯა და ეს გაზეთიც დაიხურა.

სერგო გერსამიას აქტიური თანამშრომლობით გამოდიოდა: 1913 წელს ქ. თბილისში მუშა-რეკოლუციონერი მწირობის მიხედვით ლულაშვილის საოხუნჯო აღმანახი „ქრისტე აღსდგა“; 1913—1914 წლებში თბილისის — საქართველოს მემარცხენე სოციალ-ფედერალისტების ყოველკვირეული ორგანო „ახალი ნაკადი“; 1923 წელს ბათუმში — დავით კასრაძის რედაქტობობით გამოსული ყოველკვირეული სალიტერატურო გაზეთი „მწვერვალი“ და სხვა მრავალი ჟურნალ-გაზეთი. ამ „მწვერვალი“ სერგოს დასა და მონაწილეობდნენ ეკატერინე გაბაშვილი, კოტე მაყაშვილი, კონსტ. კანაველი და სხვა ცნობილი მწერლები.

1926 წლის გაზაფხულის ერთ მზიან დღეს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციას ეწვია ვასილ ბარნოვი.

ვასილ ბარნოვი თან შემოყავა ერთი შავგვრამანი, კარგად ჩასკენილი ჯმუხი კაცი; ვრძელე შევი თმა უკან ჰქონდა გადავარცხნილი და ფართორგოლებიანი სათავლე მაგრად მორგო ცხვირის კეხზე. შავი კოსტუმი ეცვა და ცისფერი აბრეშუმის სარჩლიანი რუხი პლავში მარცხენა კეხავზე გადადიოდა. ცალ ხელშიც ლამაზი, კეწეკეწე შლავა ეჭირა. მაშინვე ვიცანი, თუშეცა 10—12 წლის წინათ მენახა იგი, მაგრამ ახლაც მისი არც სახელი ვიცოდი და არც გვარი.

აქ ცოტა უკან უნდა დავხიო...

1914 წლის სექტემბრის ბოლოს ჩვენს სოფელში ჩამოვიდა ცნობილი პედაგოგი და პოეტი, მაშინდელი გაზეთების აქტიური კორესპონდენტი ლადო ბზვანელი (ნაცვლიშვილი).

ყველასთვის საყვარელმა ჩვენმა სასიქადულ-ლო მკვლანამ აკაცი წერეთელმა იმ წლებში თითქმის უწყევ მოათავა მოგზაურობა საქართველოს მთელი კოხი რაიონში. 1913 წლის ზაფხულზე ჩვენი კოხის ახლომდებარე სოფელ მუხიანსაც ეწვია ახალგაზრდა პოეტებთან ერთად და ახლა მისი მოგზაურობის მინაწილად და მემბატანე ლადო ბზვანელს სურდა რიონს გამოეღმა. ჩვენში, ვანისა და ბაღდათის სოფლებში ჩამოეყვანა ძვირფასი პოეტი. შემდეგ გერციხა და აქარაში აპირებდნენ გასემდებარე რიგორც (ცნობილია, იმ შემოდგომაზე აკაცი მძიმედ ავად გახდა, 1915 წლის ზამთარში კიდევ გარდაიცვალა და ლადო ბზვანელის ეს საგულგოლო განზრახვა ჩაიშალა...

იმ დღეს, 1914 წლის სექტემბერში, ლადო ბზვანელს თან ახლდა ის შავგვებანი კაცი, ვასილ ბარნოვს რომ შემოყვია „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციისთვის. მაშინაც სათვალეს ატარებდა, ისეთივე კლავში იცეა და შავი კეწეწე ქუდი ეხურა, მაგრამ, რასაკვირველია, უფრო ახალგაზრდა იყო. მაშინ მათ დაიარეს ვანის სოფლების სკოლები, მოწაფეებს დავეროდეს ლადო ბზვანელის „აკაციის მოგზაურობა რაქა-ლენინებში“ და ქართულ გაზეთთა სურათებიანი დამატებები, სადაც ამ მოგზაურობის ცალკე ეპიზოდთა ფოტოები იყო მოთავსებული. იმ ახალგაზრდა კაცის ენაობა მაშინ ჩვენთვის სკოლაში არავის უთქვამს, მაგრამ ახლა, როცა „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციის პასუხისმგებელმა დივანამ ვარლამ მუქათამ თანამშრომლებს გასილ ბარნოვი გაგვაცნო, ვითბრა: ეს მეორე სერგო გერსამია, მწერალი, რედაქტორი და საზოგადო მოღვაწე. გამოირკვა, რომ „ხალხის მეგობარი“ იმ რეცენზიის დაბეჭდვამდე სერგო უკვე ნანახი მყოლოდა და მეკვ ამ ხნის მანძილზე ვნატრობდი მის ახლოს ნახვასა და გაცნობას...

შემდგომად ძალიან დიდხანს ვერ დავუახლოვდი. მხოლოდ ჟურნალ „მნათობის“ 1947 წლის მე-4 და მე-5 ნომრებში რომ მკაც საფაროვა-ამაშიმის მოგონებები დაბეჭდა. ის მოგონებები რედაქციის თხოვნით სერგომ მოიტანა თეატრალური მუხუმიდან. როგორც თვითონ ამბობდა, მას ჩაუწერია გამოჩენილი მსახიობი ქალის ეს მოგონებები, საბოლოო რედაქცია გაუშვითეობა, და ისე წარმოადგინა დასაბეჭდად. ამ დღიდან ხშირად დადიოდა „მნათობის“ რედაქციაში და ძალზე დაუახლოვდა მის თანამშრომლებს.

„მნათობის“ 1948 წლის მე-4 და 1950 წლის მე-11 ნომრებში დაბეჭდა პოეტ გიორგი სამხარაძისა და აწ განსვენებული საშა ბურთიაშვილის რეცენზიები სერგო გერსამიას ნაშრომებზე („ვასო დაშაშაძე“, „ქუთაისის თეატრი“).

სერგო უდიდესი მადლიერების გრძნობით შეხვდა ამ რეცენზიებს და ამის შემდეგ უფრო გაახშირა ჩვენთან სიარული. რამდენადაც მახსოვს, „მნათობში“ საკუთარი ნაწერი არაფერი დაუტყმავეს, მხოლოდ, ძალიან უყვარდა რედაქციის თანამშრომლებთან საუბარი.

განსაკუთრებით საინტერესო იყო მაშინ, როცა ჩვენი გამოჩენილი პოეტი და „მნათობის“ მაშინდელი რედაქციის წევრი იოსებ გრიშაშვილი და სერგო დასდებოდნენ ხოლმე გერციხევერდ რედაქციაში და იგონებდნენ მრავალ მივიწყებულ ამბავს, რაც მხოლოდ და მხოლოდ მათ ახსოვდათ. მეგრედა რამდენიმე რამ იცოდნენ ბევრჯერ ვთხოვე ორივეს, დაეწერათ დაწერილობით ყველაფერი, რის მოწმენი და მინაწილენიც იყვნენ. ამით ძალზე დიდი საქმე გაკეთდებოდა, მაგრამ სერგომ უთარა: ჩემთვის ვერ ნადრევედა დემუარების წერაო, რა მეჩქარება, უფრო დიდი საქმეები მაქვსო. იოსებ გრიშაშვილმა კი ასე მითხრა: წერა უკვე შემიძლება, ისედაც ბევრი რამ მრჩება აღწერსხვებში, თუ ასე გინდა და ვენატრება ჩემი მოგონებები, წამოიყვან სახლში, წამო ჩემთან, მე ვილანარავები, მოვიგონებ ყველაფერს არეულ-დარეულად, რაც გამიგონია, რაც მინახავს. შენ დაჯე, წერე და წერე, მეგრე დალააგე, მონტაჟი უყავი და ერთი დიდი წიგნი გამოგვიყავი.

მაშინ ძალიან გიზარამეც და დიდად დავაშვეე, რომ, სერგო გერსამიასავით, მეც ვუთხარი: ვერადრე, რა გეჩქარება, მავსაც მოვესწრებით-მეთქი. მეგრე, როგორც ყველას მოეხსენება, ისე უტბად დაარტყა რაღაც საშინელმა სენმა და ეს უბრწყინველის გონებისა და ნათელი მეხსიერების არამქონი ასევე უტბად და მოულოდნელად გავვშორდა. ძალიან ენახობ, რომ ჩვენს საყვარელ სოსოს გერსამეუსსრულე თხოვნა და არ ჩაეიწერე მისი ბევრი ნახაობები, მაგრამ ახლა გვიანდა!

საერთოდ მოგონებებსა და მემუარებს სიბერეში წერენ, რაც არაა სწორი. ჯობს, მაშინ დაწეროს კაცმა, როცა ერჩის ძალდონე და არ დალატობს მეხსიერება. რამდენმა ჩვენმა მწერალმა და სახელოვანმა მოღვაწემ ჩაატანა საპარეში დიდებულო ამბები!

„მნათობის“ რედაქციაში ყოფინისა სერგო გერსამიასა და იოსებ გრიშაშვილს გავუმხილე ჩემი პირველი რეცენზიტრბა „ხალხის მეგობარში“. ბევრი იცივნეს. სოსომ მითხრა: რატომ აქამდე არ იციოდი ეგ ამბავი. ჩემი ძველი მძა და დღსტი ყოფილხარო. მეც ხომ სუფილორი ვიყავი პირველად და ორიოდ რეცენზია მეც მოვთავსე მაშინდელ გაზეთებში სხვისი საწვლით და შენგნ შევაქე ხარფუხელი ფირფუსს სუფილორობაო. ასე რომ, ამ დიდებულ საქმეში პრიორიტეტი მეც მეკუთვნის, შენ არა ხარ მავას პირველი მგალითითო.

აქვე მინდა გავიხსენო ერთი საყურადღებო ამბავი: ამჟამოც სერგო გერსამიასავან მოვისმინე:

ცნობილია, თუ როგორი გულსტიკვილითა და ავადყოფური თავმოყვარეობით განიცდიდა წინათ ყოველი ქართველი და ახლაც ყველას ეჩოთიერება ლერმონტოვის „დემონის“ ერთი უხერხული ადგილი; ესაა: **Бежали робкие грузины...**

ისიც ცნობილია, თუ როგორი მანევრიობითა და მორიდლებით უფლიდნენ გვერდს ამ ფრანხის ქართულად გადმოგნის პოემის მთარგმნელები. მამია გურიელმა თვითნებურად შეცვალა: „ფრთხალი ოსები გაიქცნენ მთაში“; კონსტანტინე ჯაფარიძემ: „მექარავენებმა ველარ გუფუსლეს და ბრძოლის იელიც მალე დასტავილეს...“



ერთმა ახალგაზრდა პოეტმა ჯერ თარგმნა: „გაიქცნენ მხდალი ჭარისკაცებიო“, მაგრამ უფრონალ „ჩვენ თაობაში“ რომ დაბეჭდა, იქ არის: „ფრთხილი ქართველნი გასცდნენ ბრძოლის ველს“. ელისაბედ ორბელიანი, „დემონის“ ფრანგულად თარგმნისას, დაერიდა გადაკეთება: და სულ გამოტოვა ის ორი ბწყარი. დიდებულმა იაყა-ფაშევლამ მისთვის უჩვეულო ათმარცვლიანი ლექსით თარგმნა „დემონი“, უწოდა მას „ქაჯი“ და 1896 წელს წარუდგინა ვალერიან გუნიას — მის „საქართველოს კალენდარში“ დასაბეჭდად. მაგრამ, როგორც სერგო გერსამია იგონებდა თეთი ვალერიან გუნიას ნათქვამს, მას დაუხედავს ქართველთა იმ „თავისმომკრელი“ ადგილისათვის და გულს შემოყრია. ვაჟას ხელით თავდაპირველად ასე წერებულა: „გაიქცნენ მხდალი მსწრაფლ ქართველები“.

ვ. გუნიას შეკითხვაზე, ეს რად ჩაიღინეო, ვაჟას განუთხვადებია: ლერმონტოვი ისეთი დიდი და შეუღარებელი პოეტია, ისე მიყვარს და იმოღონა პატივსა იცემ, რომ მისი სტრიქონების შესწორებას არც მას ვაკადრებ და არც მე გავ-

ბედავ, ასე დაბეჭდეთ. აქ მთელი ქართველები ლანძღვა-გინება სულაც არ არის, ლერმონტოვი კარგად იცნობდა ქართველ მეომრებს ერთობლივ ბრძოლაში, მხდალებად არ თვლიდა მას და უმარტებულო იქნება ამ ფრაზის შეცვლა ან ამოღებაო.


მაგრამ ვალერიან გუნიას დაყინებითი მოთხოვნით ბოლოს დათანხმებია და ასე გადაუკეთებია:

„მაღე გათავდა ბრძოლა და ომი,

შემოეფანტნენ თავადს მხლებლები“.

სერგოს ნაამბობი იოსებ გრიშაშვილმაც დაადასტურა და ასე თქვა: ერთხელ ვალერიან გუნიამ ამის თაობაზე მითხრა: აბა მე რაღა ვალერიან გუნია იქნებოდი, რომ ჩემს კალენდარში ქართველთა იმ გამაწბილებელ, საუფო და შემარცხვენილ სიტყვებს გავუშვებდიო. იაყაც დამეთანხმა და როგორც მე მინდოდა, ისე თარგმნაო.

მართლაც, რამდენი ამბავი იცოდნენ და რამდენი რამ ახსოვდათ. თანაც, რა სიამოვნებით უყვარდათ ძველი ამბების თხრობა და მოგონება.



ბათუ ქრავიშვილი

პართულმა ვოკალურმა ხელოვნებამ მძიმე დანაკლისი განიცადა, უღროდ გარდაიცვალა გამოჩენილი მომღერალი, თბილისის საოპერო თეატრის ერთ-ერთი სიღამაზე და მშვენივლი. ამ თეატრის ბეგნიდან ველარ მგვისმენთ ბათუს ხავერდოვან და ძლიერ ხმას, ველარ დავსტკებთ მისი მომზიბლავი არტისტიზმით.

გარდაიცვალა! — რა შეუფერებლად ჟღერას ეს სიტყვა ბათუს სახელის გვერდით. სიცოცხლის განსახიერება ბათუ და სიკვდილი?! შვეზნელ ძალას, ალბათ, გზა აებნა და შეცდომით წაგვართვა ესოდენ საყვარელი ადამიანი სწორედ შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში, როცა ვერა კიდევ ბევრი სიკეთის მოტანა შეეძლო მშობლიური კულტურისათვის.

ბათუ კრავიშვილი გარდაიცვალა ჯანდონით სავსე და შრომას მოწყობილი, შემოქმედებითი შეპართების სტულისკვეთებით აღვზნებული, ენდომულული. ბობოქარი და დაუფიქვლი, თვითმყოფილების მოძულე ბათუ მარად წინ მისწრაფოდა და ბევრით შრომით სულ უფრო და უფრო სრულყოფოდა თავის ოსტატობას.

ხელოვნებამ, საერთოდ, და ვოკალურმა ხელოვნებამ, კერძოდ, იგი აღრიდანვე გაიტაცა. ბავშვობაშივე კარგი ხმა ჰქონდა და სიმღერა უყვარდა. შემდეგ კი, როცა ცამეტი წლისა პროფინციული ქალაქიდან თბილისში გადმოვიდა და ისეთი ოჯახში მოხვდა, სადაც სწორად თავს იყრიდნენ გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები, მისი სიყვარული და გატაცება ხელოვნებით კიდევ უფრო გაღრმავდა და განმტკიცდა.

საშუალო სასწავლებლები რომ დაამთავრა, მშობლების დაფინებით ბათუ სამედიცინო ინსტიტუტში შევიდა, მაგრამ, ინსტიტუტშიც ისეთი აღმზრდელები შეხვდნენ, რომელთაც ხელოვნებაში ბათუს ნამდვილი მოწოდების განვითარებას. იგი იგონებს, რომ ჩემი ხმა ძალიან მოსწონდა ცნობილ პროფესორს, მიხეილ წინამძღვრშვილს და ხშირად მამღერებდა ხოლმე. ერთხელ უთქვამს — სტუდენტობის დროს მეც მუსიკით ვიყავი გატაცებული. მაგრამ მედიცინამ ჩემში მუსიკალური ნიჭი შებოჭა, შენში კი, მე მგონია, პირიქით მოხდებოდა. პროფესორის ამ სიტყვებმა თითქმის გადამწყვეტი როლი ითამაშეს ახალგაზრდის ცხოვრებაში. ჩიტი აფრენაზე იყო და ხელის აწენვას ელოდა, — ამბობს ხალხური ანდაზა და ბათუსაც ასე დაემართა. მართალია, ინსტიტუტში წარმატებით სწავლობდა, მაგრამ პარალელურად მუსიკალური განვითარება მიიღო.

და აი, იმ დღიდან, როცა 1937 წელს თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე პირველად გამოვიდა ოპერა „დანიშნა“ და კიაზოს პარტია შეასრულა, მის წინაშე შემოქმედებითი ცხოვრების ფართო ასპარეზი გადამიშალა. კიაზოს მალე არანაკლებ რთული და მნიშვნელოვანი პარტიები მოჰყვა და მუსიკალური საზოგადოებრიობის აღიარება და მათურებლის სიყვარული დაიმსახურა.

ოცდაათ წელზე მეტხანს ემსახურა ბათუ კრავიშვილი მშობლიურ ვოკალურ ხელოვნებას. ამ ხნის მანძილზე ორმოცზე მეტი სხვადასხვა ხასიათის მნიშვნელოვანი პარტია შეასრულა, ერთნაირი წარმატებით გამოდიოდა იგი ქართულ, რუსულ და ევროპულ კლასიკურ და თანამედროვე რეპერტუარში.

ბათუ კრავიშვილი ასევე მიმზიდველი იყო როგორც ადამიანი, ხალისიანი, იშვიათად გულდი და მშვენიერი მოსაუბრე ბათუ ყოველი შეხვედრისას სიხარულს განიჭებდათ და თქვენს სულში სასიამოვნო გახცდების წარუშლელ კვალს სტოვებდა. ბათუს პოეტური ბუნება ჰქონდა და მის ხასიათში კეთილ მიამიტობასაც ედო წილი. მართალსა და გულწრფელს ყველა უნაგაროდ უყვარდა, გატყუებით იცოდა ლაპარაკი თავის მეგობრებზე, მათს მიღწევებზე, სატყუაძენში არ იყო სხვის ქებაში. თავის ადგილზე კარგად იცოდა ხელოვნებაში და სხვისაც მსახიობთაგან არ უნდა მიწყინოს ვინმემ, თუ ვიტყვი, რომ არავის ისე არ ეხერხებოდა ლლი, ხატოვანი და რომანტიკულად ამაღლებული წერა, როგორც ბათუს. ამ მშვენიერ მომღერალსა და არტისტში მწერლისა და მხატვრის ტალანტიც თვლემდა. როცა კი ეს ტალანტი გააღვიძებდა და გზას იპოვიდა, სიამოვნებას განიჭებდათ წუდომის სიღრმითა და ფერების უშუალოებით. ფრანგის ლამიადარულობით და არტისტიზმით, ამ სიტყვის კარგი გაგებით, ყოველივე ამას ანალიტიკური ალღოც ამშვენებდა.

ვიმეორებ, წერა ეხერხებოდა, უყვარდა, და ჩვენი დახალოების შუამავალიც სწორედ ეს იყო. ბათუს არტისტული ნიჭით მიხიბლული, პატრივისმცემელი ვიყავი მისი მეორე ნიჭისაც. დიდი ჯავა არ დაგპირდებოდათ, რომ მისგან რაიმე სტატია მიგვლით. თქვენს წინადადებას სიხარულით შეეგებებოდა; რეპერტუარის გადატვირთულიც რომ ყოფილიყო, დანაპირებს დროზე ადრე შეგისრულებდათ. ასე მოჰქონდა მას მოგონებები და ნარკვევები გაზეთ „ლიტე-



„თეატრი და თეატრის მიღმა“

ვასილ კიკნაძე

ოთარ ევაძის წიგნი „თეატრში და თეატრს მიღმა“ ავტორის მრავალწლიანი შრომის ნაყოფია. მასში თავმოყრილია სტატიები, რეცენზიები, ისინი სრულ წარმოდგენას გვაძლევენ იმ რთულსა და საინტერესო პროცესებზე, რომელიც ჩვენს ხელოვნებაში მოხდა უკანასკნელი ათი და მეტი წლების მანძილზე. იგი მოიცავს ხელოვნების ყველა დარგს, — ეს არის თეატრი თუ კინო, ქორეოგრაფია თუ დრამატურგია. მხატვრობა თუ მუსიკა.

წიგნის ყოველ სტატიას აერთიანებს მაღალი მოქალაქეობრივი პათოსი, მაღალი იდეური შემართება და გულსტიკილი იმისადმი, რაც ხელს უშლის ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარებას. თითქმის ყოველი სტატია დაწერილია დადებითი ტენდენციების წინა პლანზე წამოყვებითა და პუბლიცისტური მგზნებარებით.

ო. ევაძის ახალი წიგნი არაა სტატიების უბრალოდ კრებული, მასში ნათლად არის მოცემული თუ რა პრობლემები და საკითხები აღიძვროდა ქართული კულტურის განსაზღვრულ პერიოდში. კრიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის თვალთ დანახული მოვლენები ჩვენ წინ ცოცხლებიან თავისი ავ-კარგიანობით და ეს მომენტი განსაკუთრებულ ფასს დებს წიგნს. ამასთანავე წიგნი განკუთვნილია არა მარტო ხელოვნების სპეციალისტებისათვის, არამედ მკითხველთა ფართო წრისათვის. ო. ევაძე როგორც ამ წიგნში, ისე საერთოდ თავის სხვა შრომებშიც დიდი ყურადღებით ეკიდება მკითხველის ინტერესებს. ამიტომ არის, რომ მკითხველიც გულწრფელი სიყვარულით აჯილდოებს ავტორს.

ქართული თეატრის დიდმნიშვნელოვან პრობლემებს ეხება წერილები „მეფე ლირი“, „რე-

ცენზიის მაგიერ“, „მოსკოვის პრესა თბილისის თეატრებზე“ და სხვა. არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს სტატია „პრესა და ხელოვნება“, სადაც ასე ნათლად არის განხილული ქართული თეატრის ავ-კარგიანობა.

ქართული საბჭოთა ქორეოგრაფიის ძირითადი პრინციპები, მისი მიღწევები და განვითარების პერსპექტივებია განხილული სტატიებში „გორდა“, „სინათლე“, „ოტელო“, „ე. ჭაბუკიანი“. აქ არის ქართული ბალეტის ყველაზე საუკეთესო მონაპოვარის პროფესიული, მკაფიო და დამაჯერებელი ანალიზი. საბალეტო ხელოვნების ისეთი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, როგორც ო. ევაძეა, მკითხველს საესეზო ნათელ წარმოდგენას აძლევს განხილულ თემაზე. ეს სტატიები არა მარტო შემეცნებითი, არამედ მხატვრული ღირებულების შრომებია.

ო. ევაძე ფართო ინტერესების მოღვაწეა და ბუნებრივია, რომ მრავალფეროვანია მის წიგნში წარმოდგენილი სტატიების თემატიკაც. მათში ჩანს მკვლევარის ერუდიცია, ნიჭი და ენერჯია, ჩანს ის „მეორე პლანიც“, რომლის გარეშეც წარმოდგენილია ო. ევაძის შრომები, ქვეტექსტებით, შორეული მინიშნებებითა და მკვეთრი აქცენტებით გამორჩეული სტატიები შესანიშნავად ავლენენ მათი ავტორის მოქალაქეობრივ მრწამსსა და პიროვნულ თავისებურებებს. ამ მომენტს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მკითხველი.

ქართველ მკითხველსა და თეატრალს კარგად ახსოვს ო. ევაძის წერილები თეატრის შესახებ, რომელიც სხვადასხვა დროს იყო გამოქვეყნებული. ახლა მას საშუალება ეძლევა ერო წიგნში იხილოს ყველა და ერთხელ კიდევ გა-



ისვენოს თუ რა მძაფრი ბრძოლები გარდახდენია სტატიების ავტორის წელთა მანძილზე, როგორი დაძაბული რიტმით უცხოვრია და რამდენი სიხარული მიუნიჭებია რეჟისორებისა და მსახიობებისათვის, დრამატურგებისათვის. იგი იყო მათი შემოქმედების საუკეთესო მხარეების უპირველესი ქომაგი. მათი ნაკლოვანებების გულწრფელი კრიტიკოსი. გარდა თეატრისა, მკითხველი წიგნში გარკვეულ პასუხს მიიღებს ქართული პორტრეტისა და საერთოდ ფერწერის საკითხებზე.

წიგნში წარმოდგენილია სტატიები ილიას, აკაკისა და ვალაკტიონის პორტრეტების, მათი მხატვრული ღირებულების შესახებ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „ლამაზი ადამიანების პორტრეტები“ (ნატო, ვასო). ეს ძალზე ორიგინალურად მიგნებული თემაა და დიდი ინტერესითაც იკითხება. მკვლევარი დიდი ტაქტით და სითბოთი ხატავს „ლამაზი ადამიანების“ პორტრეტებს, იძლევა მათ ზუსტსა და დამაჯერებელ შეფასებას.

წიგნის იდეურ ძალას, მის მაღალ მოქალაქეობრივ შემართებლობას ბევრსა სძენს სტატია „ქმედითი და იდეური ხელოვნებისათვის“. წერილში ბევრი საჭირობოროტო საკითხია გან-

ხილულია. წამოყენებულია რამდენიმე თეორიული და პრაქტიკული ხასიათის პრობლემები.

ო. ეგაძის წიგნის მრავალფეროვან თემატიკას ერთგვარი რეჟიმის სახით ლაკონურად აერთიანებს სტატია „ბაკურიანის სიმღლეზე“. ამ პუბლიცისტურ წერილში განხილულია ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დიდ-მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც ახალგაზრდობის ფორუმზე წამოიჭრა ბაკურიანში. წერილი პოლემიკური ხასიათისაა და არ შეიძლება მკითხველის ინტერესი არ გამოიწვიოს.

წიგნში მოთავსებულია აგრეთვე სტატიები: „ტურბინების დღეები“, „თეატრი, კინო“ და სხვა.

ო. ეგაძის წიგნში მოთავსებული სტატიები დრო და დრო იბეჭდებოდა ჟურნალში. ამჟამად ისინი ავტორმა სრული სახით წარმოგვიდგინა, ცალკეული შესწორებებით, ფრთხილი კორექტივებით.

წიგნში განხილული თემების, საკითხების აქტუალობა და მათი საერთო მნიშვნელობა კარგად მიესადაგება თანამედროვე მკითხველის ინტერესებს.

ო. ეგაძის ახალი წიგნი იმის დასტურიცაა თუ რაოდენ მნიშვნელოვან პრობლემებზე უფიქრია ცნობილ საზოგადო მოღვაწეს.

თეატრალური მალაზია

აბრამ აპიაშვილი

„თეატრალური მალაზიის“ გამგე

ალბათ ბევრმა არ იცის, რომ თბილისში, კიროვის ქუჩაზე, № 2-ში გახსნილია საქართველოს თეატრალური საზოგადოების საფირმო-საჩვენებელი მალაზია, რომელსაც „თეატრალური მალაზია“ ეწოდება. ამ მალაზიის უპირველესი ამოცანაა მომსახურება გაუწიოს ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფო და სახალხო თეატრებს, კულტურის სახლებს და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ამ ორგანიზაციებს საშუალება აქვთ ჩვენს მალაზიაში შეიძინონ სხვადასხვა დანიშნულების თეატრალური საგნები როგორც ნაღდად, სათანადო ანგარიშის გამოწერით, ისე გადარიცხვით.

საქართველოს თეატრების ხელმძღვანელებს გვინდა შევახსენოთ, რომ ჩვენს მალაზიაში მათ შეუძლიათ შეიძინონ:

თეატრალური გრიმები, როგორც ნაკრები, ასევე თხევად ტონებში. საბალეტო ჩუსტები და ფესხაცმელები, თეატრალური პუდრები, თეატრალური გრიმის წებო, წამწამების სხვადასხვა ფერის ტუში, წარბების ფანქარი, თმის ლაქი, თმის საღებავი გამა, თეატრალური გუმოზა, თმის ზეთი და ბრიოლინი, გრიმის მოსახსნელი ლაქი. სხვადასხვა ფერის მისაცემი ყელოფანის ფურცლები შუქისათვის, ფრჩხილის ლაქები, პერლამუტრის პასტა, ლაქი ფუნჯით და მრავალი სხვა საქონელი.

ჩვენ ვიცით, რომ ამათგან ბევრი რამ ძალზე ესაჭიროებათ თეატრებს, განსაკუთრებით კი რესპუბლიკის პერიფერიაში განლაგებულთ. მოგვმართონ და ყოველმხრივად დაეკმაყოფილებთ მათ მოთხოვნილებას.

გარდა ამ საგნებისა, ჩვენი მალაზია სისტემატურად ღებულობს საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებსა და ქალაქებში

გამოსულ სხვადასხვა სახის თეატრალურ ლიტერატურას, მემუარებს, პიესებს, თეორიულ გამოკვლევებს, მონოგრაფიებს, დამხმარე სახელმძღვანელოებს.

ჩვენს მალაზიაში იყიდება აგრეთვე თეატრალური საზოგადოების ბიულეტენი „თეატრალური მოამბე“, რომელიც აშუქებს რესპუბლიკის თეატრალურ ცხოვრებას. მასში წაიკითხავთ რეცენზიებს სახელმწიფო და სახალხო თეატრების სპექტაკლებზე, წერილებს თეატრის აქტუალურ საკითხებზე, გამოჩენილ მოღვაწეებზე, ჩვენს იუბილარებზე, საინტერესო საარქივო მასალებს, მოგონებებს.

ამ ჟურნალ-ბიულეტენის შექმნა მხოლოდ ჩვენს მალაზიაში შეიძლება. მასზე მოთხოვნილებაც დიდია და ვისაც სურს აუცილებლად შეიძინოს, უმჯობესია წინასწარ შეგვიკვეთოს.

როგორ შეიძლება საქონლის შექმნა გადარიცხვით?

პერიფერიაში განლაგებული თეატრების ხელმძღვანელებს შეუძლიათ გამოგვიზავნოს მომართვა, რომელშიც ჩამოთვლილი იქნება მათთვის სასურველი საქონელი. ჩვენ გამოვწერთ ანგარიშს და გავუზავანით. თეატრი კი ბანკის მეოხებით ჩავგირიცხავს ფულს. ამ ოპერაციის შემდეგ თეატრს შეუძლია გამოგზავნოს წარმომადგენელი და მიიღოს საქონელი.

ფული უნდა გადმოირიცხოს შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, სახ. ბანკის კალინინის რაიონის განყოფილება. ანგარიშის ნომერი 60910.

ჩვენი მალაზია ყოველთვის მზადაა საქმიანად მოემსახუროს თეატრალურ ორგანიზაციებსა და კერძო მომხმარებლებს.

მაშ ასე, არ დაგავიწყდეთ თბილისის კიროვის ქუჩაზე მდებარე „თეატრალური მალაზია“.

შ ი ნ ხ ა რ ს ი

ტრიუმფალური მოგზაურობა

ტრესთაველის სახელობის თეატრის გასტროლები დემოკრატიულ გერმანიასა და პოლონეთში **5**

რესპუბლიკის თეატრალურ აფიშასთან

გურამ ბათიაშვილი — ვეჟას პოემები სცენაზე **5**
 ალექსანდრე ეგუტია — „ჰაკი აშბა“ **7**
 ია აბულაძე — ახალი სცენური სიცოცხლე **8**
 მერაბ გეგია — ცისფერ ეკრანზე **10**

გულახდილი საუბარი

მირა ფიჩხაძე — ფიქრები მუსიკალურ ხელოვნების პროპაგანდაზე **12**
 სოლომონ ლეიშვილი — გ. შარვაშიძის დაკარგული პიესა „კომლი უცეცხლოდ“ **15**

სახალხო თეატრებში

ელენე კვიციანი — როცა რეჟისორი დაკვირვებით მუშაობს **18**
 თამილა ჯამუშაძე — ლაგოდების სახალხო თეატრი **19**
 გივი ჭიოშვილი — პოეტი იოსებ დავითაშვილი და ქართული თეატრი **22**
ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 25 წლისთავი
 ანდრეი საფონოვი — ბედნიერების 90 წუთი **26**

ჩვენი იუბილარები

ლამარა ღონაძე — მალიკო მრეველიშვილი **29**
 პავლე ხმალაძე — მიხეილ სვანიძე **30**
 ნელი თვაური — იუბილე კიევში **32**
 ნიკო გაბრიელიძე — 60 წელი სცენაზე **34**

ღვანულამოსილთა გახსენება

ანა ღვინიაშვილი — ალექსანდრე თაყაიშვილი **35**
 ნიკა აგიაშვილი — მოგონების ერთი ფურცელი **37**

გამოთხოვება

ერემია ქარელიშვილი — ბათუ კრავეიშვილი **41**
 ოთარ კუპრავა — გამოთხოვება (ლექსი) **42**

თეატრალური წიგნის თარი

ვასილ კიკნაძე — „თეატრში და თეატრის მიღმა“ **43**
 აბრამ აჯიაშვილი — თეატრალური მაღაზია **45**

СОДЕРЖАНИЕ

Гастролы театра имени Руставели в ГДР и Польше	3
У театральной афиши республики	
Гурам Батиашвили — Поэмы Важа Пшавела на сцене	5
Александр Эгუтия — «Хаки Адзба»	7
Иа Абуладзе — Новая сценическая жизнь	8
Мераб Гегиа — На голубом экране	10
Откровенный разговор	
Мира Пичхадзе — Мысли о пропаганде музыкального искусства	12
Соломон Лекишвили — Утерянная пьеса Г. Шарвашидзе «Очаг без огня»	15
В народных театрах	
Елена Квирквелиа — Когда режиссер работает вдумчиво	18
Тамила Камушадзе — Лагодехский народный театр	19
Гиви Джошвили — Поэт Иосиф Давиташвили и грузинский театр	22
25-летие победы над фашистской Германией	
Андрей Сафонов — Счастливые 90 минут	26
Наши юбиляры	
Ламара Гонгадзе — Малико Мревлишвили	29
Павле Хмаладзе — Михаил Сванидзе	30
Нелли Тваури — Юбилей в Киеве	32
Нико Габриелидзе — 60 лет на сцене	34
Вспомним заслуженных	
Анна Гвиниашвили — Александр Такайшвили	35
Ника Агиашвили — Страница воспоминаний	37
Прощание	
Еремиа Карелишвили — Бату Кравейшвили	41
Отар Куправа — Прощание (стихотворение)	42
Книжная полка	
Василий Кикнадзе — «В театре и вокруг театра»	43
Абрам Аджиашвили — Магазины ТОГ	45

В Е С Т Н И К

ТЕАТРАЛЬНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ

(на грузинском языке)

Тбилиси — 1970

№ 3 (55)

ფასი 25 კობ.
Цена 25 коп.

გადაეცა წარმოებას 8/VI 1970 წ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/VI 1970 წ.

ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 3.

შეკვ. 2011.

უე 11367.

ტ. 700.

საქართველოს თეატრალური საზ.-ბის სტამბა. თბილისი, გორკის ქ. № 3
Типография Театрального Общества Грузии. Тбилиси, ул. Горького № 3